ק 92214
3

Feci, quod potui. პირველი რვეული

Vademecum.

# ახალი მკურნალობა

## Modern madicine.

გამოცემული მთ. ნ. თძრთფჭელიშვილისა.

**ვუძღვნი ყველა უდროვოდ დაღუპულ ჩვენს მოღვაწეთ.**

„კაცი სცადე და სახლი ააზატეო". (ხალხური ანდაზა).
„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს." ნ. ბ.
„ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინენ." (სახარება).

ვისაც ამ ჩემი ნაწერის საქმეში გამოყენება რამე მიზეზით არ შეგიძლიათ, მას ვთხოვ უმორჩილესად: ეს წიგნაკი სხვას გადასცეს, შეიძლება სხვამ ისარგებლოს,

„არ იხმარებ? — რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?"

ჩემი ექიმობის მასწავლებლის ს. სმირნოვის 1896 წ. წერილიდან ჩემთან:

„Главная вина медленнаго распространенія электро—гомеопатіи заключается въ изумительной привязанности общества, до сихъпорь хранящаго завѣты „допотопной медицины, не взирая на многочисленные „примѣры роковаго исхода болезней, лечимыхъ аллопатіей. Это очень трогательно, что люди остаются вѣрны традиціямъ, существующимъ 2000 лѣтъ, но вредъ „подобнаго консерватизма и застоя, и то по отношенію „только къ одной аллопатіи, очевиденъ самъ собою"...

---

ტფილისი
ელექტრო-მბეჭ. ა. ძერესელიძისა, გაბაშვილის ქუჩ. № 1
1918

ვინც ავადმყოფთაგანი წამლობის დაწყობისათვის ჩემს დახმარებას საჭიროებდენ, უნდა წარმომიდგინონ ამ კითხვათა სრული პასუხები და 7 კაპ. მარკა რჩევის გასაგზავნათ. 1) რამდენი წლისა ხართ? 2) სახელი და გვარი. 3) დაქორწინებული ხართ? 4) შვილები გყავან და ჯანმთელებიც არიან? 5) ადრე,ავათმყოფობა ან ნაკლულევანება რა ნაირი გქონდათ? 6) რითა სწამლობდით? 7) რა ხნის სნეულება გაქვთ, რა ნიშნებს იძლევა—დაწვრილებით? 8) გარეგნული ტანის აგებულება: მაგარი, შუათანა, სუსტი,მჭლე თუ მსუქანი? 9) სისხლი გივარდებათ თავში,თავბრუს სხმა ან თავისტკივილი რა ნაირი გაქვთ?10)ღონე წინანდელი და ეხლანდელი როგორია? 11) სულიერი და გონებრივი მდგომარეობა ახლანდელი და წინანდელი. 12) სიცხე გაქვთ, გაციებთ, ოფლს გასხამთ? 13) ცხვირში, პირში, ყელში, თვალებში ან ყურებში ან ეხლა ან წინათ ხომ არაფერი გიშლიდათ? 14) მადა წინანდელი ან ახლანდელი როგორია? 15) ბოყინი, გულის რევა ან ღებინება გაქვთ? 16) ყაბზობა გაქვთ, თუ ფარალათობა? 17) რას გრძნობდით წინათ ან ეხლა მუცელში? 18) განავალი სისხლიანია, თუ ლორწოიანი? 19) უკან ტანში ზოკოები გაქვთ? 20) მუცლის ქია გაქვთ? 21) შარდის დენა ან სქესობრივი ასონი კარგებია: ჩირქის-დენა, თეთრის-შლა ან დედათ წესი როკორი გაქვთ? 22) სასუნთქ აირალებში ან გულში, (მარცხენა ძუძუს ქვეშ), რას გრძნობთ: გიფრიალებთ, ან ხველა, ნახველი, ხრინწიანობა, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება გაქვთ? 23) კანი სუფთა გაქვთ თუ გაყრით რასმე? 24) წვივებზე, ძარღვთ სიგანივრე ხომ არა გაქკთ? 25) ტანზე, ხელ-ფეხზე ნაკლულევანება რა გაქკთ? 26) პირადი შენიშვნა—დამატებანი.27) სწორე მისამართი თქვენი და ხელის მოწერა.

მისამართი: თბილისი, ორბელიანთ ქ. № 20.

დ. ნ. ოქრომჭედლიშვილს.

## ახალი, უვნებელი, უოპერაციო, და უებარი მკურნალობა „ელექტრო-გომეოპატია.“

## წინასიტყვაობა.

ღვთივ განსვენებული, სასიქადულო მამულის შვილი, ტკბილ სამშობლოსათვის მოწამებრივი ტანჯვით მოკვდარი, დიმიტრი ყიფიანი თურმე პირველად ექ. განემანის გომეოპატიას მისდევდა და შემდეგ კი ელექტროგომეოპატიას მიჰყვა გრაფი მატტეისას, რა კი მისი უებრობა და უპირატესობანი სჭარბობდნენ პირველს. მისმა შვილმა ბ. ძოტე ყიფიანმა მომიტანა ცხონებული მამისაგან ნაწარმოები უბის წიგნი, სადაც სწერია: სოფელში ვისთვის,ან რა სნეულებისთვის რა წამალი მიუცია და ვისთვის ურგია, ან არ ურგია—(იშვიათ შემთხვევაში,) საიდგანაც მაგალითისთვის ორიოდე შემთხვევას ამოვწერ: 4 თებერვალს უწამლია„მიტროს 10 წლის ბიჭისათვის. 31 იანვარს, მთვარის 4—6 ბნედა მოსვლოდა ორშაბათს, დღეს პარასკევია. 4 მარტი,კრიზისმა მშვიდობიანად გადიარაო,“ ე. ი. ვადაზე სულ აღარ მოუვიდა ბნედაო.

„ 6 თებერვალს უწამლია“ სოლო გოგიტაშვილისათვის მკერდ. გულს ჰხუთავს, ახველებს და თავი სტკივაო. მოკვდა 14—ში. კარში გასულიყო 9—ში, შინ შემოსვლისას დავარდნილიყო და გვერდი ადგილზე ძლიერ დაეკრა და ბნედა მოსვლოდა, რაზედაც სიკვდილამდე ჩემთვის არ გაუგებინებიათო.“

„26 თებერვალს, „პატარა ბაბუცა, ზაზა ყიფიანის ქალისთვის, ხურმას უწყენია, გულს ეჭიდება, სიცხე აქვს. ჩქარა მორჩა.“

„16 მარტს, ფუფუდია ტასია, 60 წლისა, 6 თვე ძლიერ ავად არის, მგონი გაციების ქარებია, ავდარში დასველე-

ბის გამო, სრულიად ვერ იძვრის." 24 მარტს უწერია: მორჩაო."

„17 მარტს, მიქელა სირაძის ქალს, 20 წლისას, კბილი სტკივა. ყბა აქვს გასივებული, 3 დღეა. წამლის მიცემის შემდეგ დედაკაცებს დალაქისთვის ყბა გაეჭრევინებინათ, ანთება მოსვლოდა და თან გაეტანა."

„27 მარტს, „სიდო გუგბერიძის ქალი, ღონღაძის ცოლი, 60 წლისა, ზერე-ქვერედ არის. 1 აპრილს გამოირკვა, დღე გამოშვებითი ციებ-ცხელება. ჩქარა მორჩა."

„28 მარტს, „მელანა გომარელი, თამარ ციცქ. ქალი, 12 წლისა, სახადის ნიშნები აქვს. 9 აპრილს მარტო ხველადა ჰქონდა. სრულად მორჩა".

„19 ივნისს "ნუნისელი დათიკა მანჩხაშვილის ცოლს, ტასიას, 28 წლ. შიშისაგან აციებს 2 კვირა. 30-ში მორჩა."

„ნინას, იოსებ მესხის ცოლს, ტაბასტა დაემართა. მორჩა ადვილად."

„გიგო კიკნაძის 6 წლის ბალღს, ვანოს, გველმა უკბინა ხელზედ. მორჩა." ბართლომე კიკნაძის ქალი მატატია, 11 წლისა, სოკოს ნაწყენია 2 მაისს აქათ. მორჩა 7—ში

ყველამ ვიცით, რომ ცხონებული დ. შიფიანი ექიმი არ იყო ნასწავლობით, მაგრამ, რადგანაც ხალხის სიკეთისათვის გული მრავალ-ნაირად ერჯოდა, მან შეისწავლა ეს წამლობა და როგორც ამ უბის წიგნაკიდან სჩანს, 1882 წლ. ნოემბრიდან ის მიჰყოლია წამლობას და 270 სულისთვის უწამლია ზემოხსენებულისამებრ 20 მაისამდე 1884 წლისა, წიგნაკი დათავებულია და ამ ნაირად 18 თვეში ამდენ გაჭირებულ ხალხისთვის უწამლია და განა ეს ხუმრობა საქმეა? ჩვენმა სოფლის ინტელიგენციამ თვალი გაახილოს, მისებურად გამოადგეს გაჭირებულ ხალხს, თორემ მკითხავ—მარჩიელებზე ხალხის მოყოლაზე ცარიელი წერა და ჯამობის ძრახვა ვერავის რას არგებს. აქ საქმეა საჭირო, სულ-მნათ შოთასი არ იყოს: თუ არ გიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისაო"? თუ კაცი მოინდომებს, ყველა სიძნელეს დასძლევს, ეს ყველამ ვიცით

და კიდევ, ვიმეორებ, რომ რუსულის მცოდნეთათვის (4 კლასის რუსულიც კმარა), რუსულ წიგნიდან ამ წამლობის შესწავლა არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენს, ვისაც კი ტვინის განძრევა არ გეზარება. რუსეთის უნივერსიტეტებში ჯერ არ ჰღირსებიათ, სამზღვარ გარეთელ უნივერსიტეტების მაგალითისა-მებრ, გომეოპატიურ კათედრის ქონა და იმიტომ ყველანი უფლება მოსილ მკურნალობას, ალლოპატიას, მისდევენ, და, მათ რომ ჰკითხო გომეოპატიაზე, ან ელექტროგომეოპატიაზე კარგს ძვირად გეტყვიან და უფრო კი მასხარობენ, ის კი ეთაკილებათ, რომ გამოსცადონ და, ავი თუ კარგი მასზედ, ამ გამოცდილებას დაამყარონ და გამოუცდელად-კი, ავის, თუ კაის თქმა, დიდი სირცხვილი და დანაშაულობაა. მე რამდენჯერ მიძაგეს გომეოპატია, I2 წელიწადი მალარიამ გამლია, კიდევ კარგი: ვერ მამკლა. ამ ნაირ უსვინდისო, დაუფიქრებელ მრჩეველთ ედოთ მათი დაღუპვის ცოდვა, ვინც მათგან გაბრიყვებულნი ასცდნენ ამ წამლობას და ურიგო წამლობის მსხვერპლნი შეიქმნენ და უდროოთ დაობლეს თავისიანნი. ბოლოს ვიფიქრე: მეტი საშუალება აღარ დამრჩენია, სხვისაგან გომეოპატიის ძაგებას ნუ დაუჯერებ, „გაგონილს თვალით ნახული და გამოცდილი სჯობიაო,“ ნათქვამია, და ვიწამლე გომეოპატიით, ცოტა რამ მარგო, მაგრამ მერე ელექტრო-გომეოპატიას გავეცან და ამან კი სრულიად გამომამთელა ჭირ-კოდილა კაცი! გამომამთელა, მაგრამ მოგეხსენებათ: მთელ კაცსაც სიფთხილე ჰმართებს: ან არ გაცივდეს, ან ჭამა-სმაში რამემ არ აწყინოს, მაგრამ თავის გაფრთხილება არც ისე ადვილია, ხან უნებურად გაცივდება, ხან სხვაფრივ გაუფთხილებლობით ავად გახდება და მეც ხშირად აუცილებელ გარემოების გამო, სწორედ ასეთი გაუფთხილებელი გახლავართ: უკალოშებოდ წირვა-ლოცვამ ზამთარში ბევრჯერ ავად გამხადა; ეგრეთვე პილპილ—წიწაკა—ნივრიან საჭმლის სიყვარულმა და არც ვიშლი, ავად გავხდები, ვიწამლებ, მოვრჩები და ისევ ძველებურად მივეცემი გაუფთხილებლობას. ასე გავიყვანე ამ წამლობაში 19 წელი, ბევრი ჩემზე

კაი ჯან-მთელი ადამიანი დავმარხე, მე კი ისევ ყოჩაღად ვარ და ასევე ვიქნები, მინამ სისხლი, ძვალი და რბილი, კბილი და კუჭ-ნაწლევები დამიბერდება, როცა წამალი ამ მიზეზით ვეღარ გასჭრის, ასე 80 წლის გადასულს და მაშინ კი, აუცილებელია ჩემზედაც: ასრულდება ეს წესი ბუნებისა და მეც-ჩავბარდები ჩემს მამა-პაპათ. სწორედ ამაზე ამობს ცხონებული მგოსანი ბრ. ორბელიანი თავის ლექს „ეპიტაფიაში:“ „კაცს შეუძლიან სძლიოს ყოველი, მხოლოდ დრო მისგან არს უძლეველი.“ ავის თქმა ამ წამლობაზე ბევრს ეადვილება სვინიდისის უმხილებლად, რადგან იციან, რომ ამ წამლობას ეგრე რიგად თავგადაკლული (ჩემსავით) დამცველი არა ჰყავს და მათ ყველას ასე მოვახსენებ: 4 თუნდ 10 კაცი ამოვირჩიოთ, კამათი დავიწყოთ არა ცარიელი სიტყვებით, არამედ თვით საქმით, როგორც გაზ. „სინათლეში“ (№ 77—1911 წ.) გამოვაცხადე: „წერილი რედაქციის მიმართ.“ „არსაიდან ხმა არსით ძახილი.“ ი. ჰავჰავაძე.

„ბ. რედაქტორო, გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რათა ბნელში მყოფთ სინათლე მოვფინოთ და ყრუთ შევასმინოთ.

22 მარტს პატივცემულმა ბ. ზაქარია ქიქინაძემ მიამბო, რომ ალლოპატიურ წამლობის მიმდევარნი ლაპარაკობდნენო შენი წერილების გამო ელექტრო-გომეოპატიაზე „სინათლეში,“ „რომ გომეოპატიური და ელექტრო-გომეოპატიური წამლობა ჯადოსნობააო, სიყალბე და მოტყუებააო.“ თუმც თვით, ბ, ქიქინაძესაც არა ერთხელ გამოუცდია თავისდა სასარგებლოდ ეს წამლობა, მაგრამ მას ვერ დაუცავს იმ ლაპარაკში მათი ღირსება და თუ ეს ასე ადვილად ტყუვდება და მარცხდება, სხვაზე რა იმედი მქონდეს, რომელთაც არ უგრძვნიათ ამ წამლების სიკეთე? ამისთვის „უნდა მტყუანს მტყუვნის კარამდე მომყვეთ,“ როგორც ნათქვამია და პატივცემულმა საზოგადოებამ დამინიშნოს რამდენიმე სანდო, მოცლილი პირი, რომელთა ზედამხედველობის ქვეშაც მე ვუწამლებ ჩემს ავად-მყო-

ფებს და სინამდვილე მათ გამოააშკარავონ გაზეთით, ან კიდევ: ვისაც არა სწამს ამ წამლობის უებრობა, ის შემეჯიბროს, სანაძლეო დავსდვათ; მე ან ჩემი ოჯახის წევრთაგანი ვინმე, ვინც გინდათ, ამოგვირჩიეთ, ავიცრით ექიმებისგან: ცოფის სასიკვდილე შხამს, დიფტერიტისას, ქუნთრუშას, ტიფს, შავ ჭირს, ხორველას, ათაშანგს, ან მოწამლულ იარაღით გამკაწრონ უძარღვო ალაგას, (რომ ძარღვი არ გაიჭრას მხოლოდ, თორემ რა წამალი გადააბამს მას და ამ ნაირად ახლო დაუშავდება კაცს,) და მე, ამ წამლებით, თუ უნდათ, ისე ვიზამ, რომ სენი სულაც არავის შეგვეყაროს და თუ უნდათ სენს გაუშვებთ, რომ შეგვეყაროს და შემდეგ, ამ წამლებით მოვირჩენთ სენს, მე სიცოცხლეს ვსდებ, რაც ყველასათვის ძვირფასია, და თუ მომკლას ამ რომელიმე აცრილმა სენმა, ალალი იყოს, თუ ცოცხალი დავრჩეთ და მონაძლევე: მოპირდაპირე მხარემ კი საბრიყვო [1]) გადაიხადოს ჩვენ სასარგებლოდ ყოველ თითოულ ცდაზე ასი თუმანი. მაშინ დამტკიცდება აშკარად ამ წამლების სიავ-კარგე, მაშინ „აბანოში“ გამოჩნდება ჩვენგანის „თეთრობა“ თუ „შავობა,“ თორემ ცარიელი ლაპარაკი რა საკადრისია? ვთხოვ სხვა გაზეთებს ეს გადაბეჭდონ.“

თფილისის ქვაშვეთის მთავარი ნ. ოქრომჭედლიშვილი, ორბელიანთ ქუჩა, № 20.

სირცხვილი მათ, არავინ გადაბეჭდა ეს, რასაც ეხლაც ვთხოვ ყოველ გაზეთს, ვისაც უნდა და გული ერჩის „მომყვნენ მტყუნის კარამდე,“ „კაცი მნახონ და სახლი ისე მიაზატონ.“ ესე, სიცოცხლესაც არ დავიშურებ, ოღონდ დავამტკიცო ქართველებისთვის, რომ ძალიან უებარი წამლობაა, რომ ეგება ყველამ ხელი მოჰკიდონ ამ წამლობას ცხონებულ დ. ყიფიანივით და იხსნან ჩვენი ხალხი გაქლეტა-გადაგვარებისაგან, რასაც ამისა ქვემორე სტატისტიკით დაგიმტკიცებთ,

---

[1]) ხალხური ტერმინია, მწიგნობრულად ჯარიმა.

რომ ჩვენი ხალხი დღეს გაღაშენების და გაქრეტის გზაზე დგას და მშველელთ დამხსნელთ მოელის. ამ მეთოდით კუის აცილებაც შეიძლება, რომ აღარ გამოვიდეს და თუ გამოუვა მისი მორჩენაც შეძილება, თუ ადრე მიასწრობთ წამალს, მინამ ჯანში გაუჯდებოდეს, განვითარდებოდეს და გამოირწევებოდეს. მაგრამ ხათაბალა ისაა, მინამ არ გამოირწყვება კუი და არ გადმოკუჰუჰდება, მინამ კუს კი არ ეძახიან, უბრალო სიმსივნე ჰგონიათ ექიმებს და ვითომ მორჩენას ლამობენ, მაგრამ რაკი მათ წამლობაში თავათ გამოირწყვება და გადმოკუჰუჰდება, მაშინ იცნობენ, რომ კუია, მაგრამ მაშინ ველარც ეს წამლები მოარჩენს, ან ძნელად მოარჩენს, რადგან იმ დროს ავადმყოფს აღარ ახლავს ის ღონე და გამძლეობა, რომ ებრძოდეს მედგრად სნეულებას, მინამ წამლობა დასძლევდეს სენს. ამიტომ კეთილ გონიერება მოითხოვს, რომ სიმსივნეს ყოველნაირს ამ წამლობით ეწამლოს ჯერ „სკროფულოზოს“ წამლებით, რომლებიც უბრალო სიმსივნეს არჩენენ და თუ მათ არ დააცხრეს და არ გააქრეს სიმსივნე, „მაშინ კანჩეროზოს“ წამლები არგებენ და გააქრობენ კიდეც; თუ კუს სისხლიც სდის, მაშინ „ანჟიოიტიკოს“ წამალი შესწყვეტს. რამდენიმე უიმედო კუიანი სნეულებისთვის დამიწყვია წამლობა მარტო იმისთვის, რომ ამ წამლების ძალა მეჩვენებინა ექიმებისთვის: როგორ შეიკუმშება ხოლმე გადმოკუჰუკებულად იხრა მორგვალდება და გარშემო ძირს ასძვრება, შემოერღვევა და თავის თავად მოვარდება ხოლმე და ავადმყოფი ამ პროცესს ვერ უძლებს მიტომ, რომ ღონე და წელი აღარ მოსდევს და კვდება. ამ წამლის პროცესს კი არა ნახავენ ხოლმე ექიმები, თუმცა ბევრისთვის მითხოვნია, იმის დასარწმუნებლად რომ, წამლის ამ ნაირი მოქმედებიდამ გამოიყვანოს დასკვნა, რომ „მართლა კაი წამლები ყოფილაო და კიდეც მოარჩენდაო, რომ ასე გვიან არ მიემართათო“ და შორიდან მეუბნე-

ბიან: „როცა მოარჩენ, მაშინ დავიჯერებთო.“ [1]) არითმეტიკული ძნელი ამოცანა რომ ნახევრობამდე გაუჭირვებლივ გავაკეთო, ნუ თუ ძნელი დასაჯერებელია, რომ ბოლომდისინაც კარგა გავაკეთებ? ნუ თუ ნახევრის ამოცნობიდან კაცი ვერ უნდა მიხვდეს, რომ მე მისი ბოლომდე გაკეთება არ გამიძნელდება? ისეც ამ წამლობაში; ჰხედავ, რომ წამლები მშვენივრად მოქმედებენ, მაგრამ, წამალი რა დამნაშავეა, რომ მას გვიან მიჰმართოთ? ცოფის მორჩენა პასტერის მეთოდით მაშინ შეიძლება, თუ ნაკბენის შემდეგ 9 დღე არ გაატარეთ, მერე კი შეუძლებელია დაცოფილის მორჩენა, მაშ, რატომ ექიმები არ ამობენ, რომ პასტერის მეთოდი უვარგისიაო, თუ კარგია, აბა 20 დღის ნაკბენი მოარჩინოსო?! ისეც კუვს აქვს ვადა, როცა ამ წამლებით შეიძლება მორჩენა და თუ ვადის შემდეგ ვერ მოარჩენს, მაშ წამლები არ ვარგებულა? წამლები კი ვარგა, მაგრამ დამნიშავენი ისინი არიან, ვინც ხელზე იხვევს ავადმყოფს: მოგარჩენ, მოგარჩენო, მინამ გამოირკვევა: კუია თუ უბრალო სიმსივნე, და რაკი გამოირკვევა, რომ ნამდვილად კუია, მაშინ თავს გაანებებენ ხოლმე. ალლოპატიური, ადამის ქმის ექიმობა კი ისრე უსრულო და გამოურკვეველია, რომ არ იცის ექიმმა დამტკიცებით: მოვარჩენ თუ არაო და ფულებს კი იღებს. ამას ბევრის სვინდისი ვერ კისრულობს და ამისთანები ექიმობას თავს ანებებენ და სხვა საქმეს ჰკიდებენ ხელს: როგორც ქნა ცხონებულმა გრ. ვოლსკიმ, რომ თბ. ქართულ გიმნაზიაში გადმოვიდა ქართულ ისტორიისა და სიტყვიერების მასწავლებლად, ეგრედვე თბილისის, ქუთაისის და სხვათა ქალაქის მმართველობაში და ეგრეთვე სხვა სამსახურში რა-

---

[1]) პეტერბურღშია კუიან ქალების საავადმყოფო, საცა მარტო ელექტროგომეოპატიულ წამლებით სწამლობენ, რადგან მას სხვა არავითარი წამლები არ უდგება. თუ ეინტერესებათ ჩვენს ექიმებს, იქ ნახონ. „**Домъ Милосердія для раковыхъ женщинъ имени Свѣтлѣйшаго Кн. Воронцова, Гр. Шувалова.**

მდენი ექიმი მსახურობს, ექიმობას სრულიად აღარ მისდევენ, ფერშლებზე ხომ ნუღა იტყვი: კანდუკტორად და მწერლებად არიან. ერთი ცნობილი ექ. ბ. ვერესაევი მწერლობას მისდევს და ბევრი სათაკილო პირობები და ჩვეულებები გამოაშკარავა ალლოპატ—ექიმებისა და მათ ამის გამო ის ექიმთა საზოგადოებიდან გამორიცხეს, თითქოს ძალიან საჭირო ყოფილიყვეს მისთვის ამ ნაირ ექიმთა საზოგადოებაში თვლა-(იხ. ექ. ვერესაევის თხზულება „Записки врача.“

ჩვენს მწერლებს ვერა შევასმინე რა, რომ ეს წამლობა შაესწავლათ და თავიანთ ოჯახობაში ან სხვისთვის გამოეყენებინათ ეს „უკვდავების“ წამლობა. მხოლოდ ვაჟა-ფშაველას მივაღებინე ეს წამლობა, რომ მთაში გაჭირებულ ხალხს გამოსდგომოდა ამით, მაგრამ ქართულმა დაუდევრობამ სასურველ ნაყოფი ვერ გამოაღებინა! საჭიროა ამაზე წერა და ლაპარაკი, რომ ჩვენს მეგაზეთეებს „სახალხოელებს“ ამაზე ყურადღება მიაქციევინონ, რომ ბევრი მათგანი სხვა და სხვა ტკივილებით არ იტანჯებოდნენ, თორემ მარტო მე ვერა შევასმინერა სხვათა ურიგმარიგო წამლებზე კი სწერენ თავიანთ გაზეთში (იხ. „სახალხო გაზეთში“ № 271-ში და № 429-ში ქლექის წამლობაზე და № 839-ში სურდოს წამლობაზე ახალ ამბავში). ამათგანი ქლექის წამლობაზე იყო ფასიანი განცხადება დაბეჭდილი კოტესი (ფურცელაძეა) და რადგან ჩემი წამლობა ქლექისა ძვირად ჯდებოდა და ამიტომ ყველასთვის ხელმისაწდომი ვერ იყო (მაშინ), მე, როგორც გატაცებულმა მით, რომ ქლექიანებისთვისაც იაფი და ნამდვილი წამლობა გამომეძებნა, ეს წამალი, (ბალახის ნახარშია), გამოვცადე ერთ საწყალ ავადმყოფზე ჩემს ხარჯზე 6 მანეთისა და 6 გროშისაც ვერ არგო და ჩემს, ყველაფერში უებარს, გამოცდილს, თითქმის უკვდავების წამლებზე კი ვერც ფულით და ვერც უფულოდ ერთი სიტყვაც ვერ დავაბეჭდინე. ვაი სირცხვილო! ამ წამლობის ქება. ჩემგან გაზვიადებულად არავის ეგონოთ,

მას სხვანიც ბევრნი ჰყვანან მაქებელ—მიმდევარნი ევროპაში, სადაც ხუთ ალაგას სამეცნიერო თვიური ჟურნალი გამოდის ამ წამლობაზე: ლონდონში, ბოლონიაში, ჩიკაგოში, ლეიპციგში და ლისაბონში: ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად და, ვინც ქართველებმა ეს ენები იციან, კიდეც იწერენ ამ ჟურნალებს; ბ.ბ. ფ. გოგიჩაიშვილი და მიწის მზომელი დ ზედგინიძე და ძმა მისი ნაფ. ვექილი ბ. ივანე. იქ ნამდვილი მედიცინის ექიმები მუშაობენ და რუსის კანონით კი, ჩვენდა საუბედუროდ, ექიმებს აკრძალული აქვთ, რაც უნივერსიტეტში არ უსწავლიათ მკურნალობის მეთოდი, მით ისარგებლონ; ამას კი, უფრო თამამნი და რჩეულნი მათგანნი არ ემორჩილებიან და ქართველ ექიმებში ამ ნაირ სითამამეს ვერავინ იჩენს: ექიმობის ატტესტატს წაგვართმევენ და მკურნალობას აგვიკრძალავენო. სინამდვილეში კი ამას არაფის უშვრებიან; თორემ არც ერთი ექიმი-ჰომეოპატი აღარ იქნებოდა. თავიანთ ჯიუტობას ამ გაზეთის ხელ მძღვანელნი ასე უსუსურად მიხსნიან: რომ დაგიბეჭდოთ რამე წამლობაზე, ხალხი ექიმებს თავს მიანებებსო, შენ მოგეტანებაო და შენ კი ქვეყანას ვერ გასწვდებიო და ხალხი დაზარალდებაო და განა მე იმას ვამობ ან ვბეჭდავ, რომ ხალხი ჩემთან მოვიდეს საწამლებლადაო? სულიც არა! მე ვამობ და ვწერ: „ყველა შეგნებულ განვითარებულმა ქართველმა ისწავლეთ ეს წამლობა სულ განათლებულ დ. ყიფიანივით და ნოტარიუს ბ. ილია წინამძღვრიშვილივით და ხალხს გამოადგექით და თუ ვისმე შესწავლაში დახმარება დაგჭირდეთ გამოცდილი კაცისა მუქთად დაგეხმარებით მეთქი“, და ამ ჩემი წადილის სარჩულის სიწმიდეს და გულწრფელობას უგონოც უნდა მიმიხვდეს, არათუ გაზეთების მუშაკნი და ხელმძღვანელნი, მაგრამ “ბედაურები დაიხოცნენ და მათ სინიბარას დავრჩენილვართ. სიტყვის და წერის თავისუფლება მათ მარტო თავისთვის უნდათ, ესენი ერთნაირი დოგმატიკოსნი არიან, მოვლენ, მუქთად გაგრჯიან და სიკეთეს კალთიდან გადაიბერტყენ! რას იზამ, სამართალსსად იპოვნი? რასაც ეს ბატონები ბიუროკრატიას უწუნებენ, თი-

ონაც, დაბრმავებულნი თავისი მიუხვედრელობით, ბიუროკრატიულ უსარგებლო, მყრალ წამლობას შეუგნებლად მხარს აძლევენ და ამაგრებენ ხალხის მუზებივით საცლეტად. ქვეყნისთვის ამისთანა გაურკვეველ „ზრუნვასაც" რა უთხრა! მოდი და ამათთანა ხალხს სამართალი სთხოვე.

„სახალხო გაზეთში" № 849 ბ. ქართველი ოსებში ნამყოფი იწერებოდა, რომ: ქათმები ჭირით გვიწყდება და წამალი ვინმე გვასწავლეთო. მე, როგორც გამოცდილი მაქვს ამ 19 წელში, ასეთი უებარი ყველა გამოურკვეველ ჭირის დროს კაცისთვის, პირუტყვისთვის და ფრინველისთვის არის სკროფელოზო № 1 და დავწერე როგორც აქაა მოხსენებული ამ წამლის ხმარება და მივიტანე „სახალხო გაზ-"ის რედაქციაში 21 მარტს 1913 წ. მითხრეს: გავშინჯავთ და თუ ღირს, დავბეჭდავთო და მეორე დღეს დაუბეჭდავი ქაღალდი ქონში გასვრილი, უკან დამიბრუნა არ. ჯაჯანაშვილმა ზედ წარწერით „არ დაიბეჭდება". ადამიანის წამლობაზე მიმქონდა, არა ბეჭდავდნენ: შენთან რომ ყველანი მოვიდნენ, რომელ ერთს აუხვალო და ამის პასუხი ხომ ზემოთ მთისმინეთ და ქათმის წამლობას ხომ მე არა ვკისრულობდი, ვწერდი: ამა და ამ ალაგას იყიდეთ ეს წამალი და ასე და ასე იხმარეთ მეთქი. აქ ხომ პირადი საინტერესო არაფერი იყო, რატომ არ დამიბეჭდეს? დღეს თუ არა, შემდეგში მაინც, როცა ჩემი ნაქადაგები ამ წამლობაზე ცხოვრებაში დამტკიცდება, მაშინ სამარცხვინო ბოძზე იქნებიან გაკრულნი ხელმძღვანელნი ამ გაზეთისა, ბეცნი თვალით, ბეცნი გულით. ეს დღე ნიშნად იყოს. არჩილ ჯორჯაძის სურათი არც კი აქვთ რედაქციაში' რომელიც მათი ბურჯია და მე მთხოვეს: გვათხუევო, მაგრამ ამაზე კაი პასუხები მოვახსენე და წამოველ. ახლა სამეურნეო ჟარნალ „მოსავლის" რედაქტორს მიუტანე. მეორე დღეს მეუბნება: შენი ქათმების წამლობაზე წავიკითხე, მაგრამ ვინ დაუდებს თავს ქათმების წამლობას, რომელ ერთ ფრინველს

ასვან ან აჭამონ მასში შეზავებული საჭმელითა, ან ეგეთი წყალ-წყალა წამალი ვის რას არგებსო? ამის გამო შესადარებლად გადუშალე თვისი ნათარგმნ-გამოცემული სამეცნიერო, წიგნი: „მცენარენი და ცხოველნი“ 114 გვერდი, სადაც სწერია: „რენინი—ენზიმია, რომელიც ადედებს რძეს... ერთ ნაწილ რენინს 400,000 იმისთანავე ნაწილი რძე შეუძლიან შეადედოსო,“*) და თუ ეს ასეა, მაშ რატომ არ შეიძლება ერთი წვეთი ამ წამლისა ჩაის სავსე ჭიქაში ჩაგდებული არგებდეს ფრინველსა მეთქი? თუ შენი დაწერილი შენვე არ გჯერა მეთქი? „შეიძლება ეგ ეგრე იყოსო, მაგრამ მინამ არ ვნახავ, არც დ ვიჯერებ, არც დავბეჭდავო“, მითხრა. აი, ესეთი გადაბრჯნილები არიან ჩვენი მწიგნობრები. მეცნიერული თანაბარი მაგალითით უხსნი, მაინც არა სჯერათ და უნდათ რომ საქმით ნახონ და დარწმუნდნენ, მაგრამ არც თუ ამისთვის სცალიანთ, არც თავს იცხელებენ! ხათაბალა არ იქნებოდა, რომ ქრისტესთვისაც ასე ეთქო ხალხს: თუ მართლა სიკვდილის შემდეგ ცხონება არის, თვალით გვაჩვენე და გირწმუნებთო. ასე მარტო ფარისეველნი და ცრუ-მწიგნობარნი ეუბნებოდნენ ჩვენი მწიგნობრების მსგავსად და ამიტომ ქრისტემ თავის წმიდა სარწმუნოების გასავრცელებლად უსწავლელი მეთევზენი ამოირჩია, რომელნიც სწორედ უგონებდნენ ყველაფერს და თავის ჭკუას ჩვენებივით ძალას არ ატანდნენ. მეც, მეტი ღონე არ არის, ისევე უნდა ვქნა: თუ შიშისათვის ურიათასა არ დაფეთხი და კაი ქარმა მიქროლა, უნდა ვბეჭდო რეცეპტები ამ წამლობაზე, იქნებ ჩემებრ „სულელნი“ მაინც მიჰყვნენ მას. გაუშვი მათ „აწყინოს“ ამ წამლობამ: ჩემი სულისა იყოს. მოკლას ხარი თივამ.

ეს რომ უფრო გასაგები იყოს. მე ასე გამოვიანგარიშე: ავიღოთ ერთი წვეთი მაწვნის დედა და მივუმატოთ 400,000 წვეთი რძე. მე ასე მოვიქეცი: კაპელნიცათი ჩაწვეთებული ერთ საწყაო ჩაის კოვზში ჩადის 80 წვეთი. ჩაის საწყაო ჭიქაში ჩადის 43 ჩაის საწყაო კოვზი, ანუ 3440 წვეთი.

*) ასევე სწერია ენც. ლექსიკონში ბროკჰაუზისა. იხ. „[illegible]“ [illegible]. 836.

400,000 წვეთი რომ გავყოთ საწყაო ჩაის ჭიქის წვეთების მიხედვით 3440-ზე, გამოვა 124 ჩაის ჭიქა, მაშასადამე ამ მოსაზრებით: ერთმა წვეთმა უნდა შეღედოს 400,000 წვეთი ანუ 124 ჩაის საწყაო ჭიქა რძე და ეს რომ თუნგად გადავაქციოთ, გამოვა 6 თუნგი ანუ ერთი ჩაფი და ნასამეღი, რადგან ჩარექში ჩადის 5 საწყაო ჩაის ჭიქა. ამ ნაირად ერთმა წვეთმა მაწვნის დედამ უნდა შეადედოს ერთი ჩაფი და ნასამეღი რძე, მაშასადამე: ამ კანონის მიხედულობით, ერთი წვეთი წამლისა ერთ ჩაის სამსე ჭიქაში ჩაგდებული რძის დედაზე ნაკლებ ძალას არ იქონიებს, არამედ მეტს და მართლაც აქვს და ვისაც გინდათ ჩემს ავადმყოფებზე დაგიმტკიცებთ. აქ გასაკვირველი არაფერია. თუ კი უმავთულო ტელეგრაფია შესაძლებელი და ის, რომ ტელეფონში შორიდან მოლაპარაკის ხმაც ჩანსო, რაც ახლად ამერიკაში გამოიგონეს, ეს რატომღა არ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ ასეთი სუსტი წამალი მართლა რგებდეს ადამიანს ან ფრინველს? ესეც ვიცით, რომ თუ მეტი დედა მიეცით რძეს, რძე აიჭრება და ასევე უგვანად და უსარგებლოდ მოქმედებს კაცზე მაგარი ალოპატიური წამალი; ძნელი ასატანი და ძნელი მოსანელებელი ხდება ადამიანის კუჭ-ნაწლევებისთვის და ამიტომაც სარგებლობის მაგიერ, ვნებას და მოშხამას გამოიწვევს ხოლმე. ამას მარტო ბრმა და მოუსაზრებელი ალოპატიის ცხარე მიმყოლი არ დაიჯერებს და ვისაც არ გინდათ, ნუ დაიჯერებთ, ბატონებო, ეს მე პირად რას მაწყენს? მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის კი საზარალოა, რომ თქვენს კუბოს ადრე გავიტანთ სასაფლაოზე რომ, იქნებ, შუაკაცობას ვერ კი მიგეხრწიოთ-და ესეთი უდროო სიკვდილი კი ხდება სულ შხამიანი წამლების წყალობით! ისინი ერთ ფელეტონში სწერდნენ: № 275 „ჩვენი ერის ორგანიზმის ყოველი ნაწილი ღრმად დაავადმყოფების მწარე სიმპტომებს იძლევიან, მაგრამ ძნელია ადამიანის ფიზიკის განახლება და გადასხვაფერება, რომელიც რამდენიმე ხ ის განმავლობაში ფანატიზმამდე მისულ მოძღვრების გავლენას განიცდიდა,

რომ მთელი ისტორია კაცობრიობისა ასეთ დრამატიზმით არის მოცული: 70 წლის მოხუცი გალილეი იძულებულჰყვეს, უარ ეყო თვისი მოძღვრება დედამიწის ბრუნვაზე; რომ გალვანი მწარე დაცინვას განიცდიდა თანამედროვეთაგან და „ბაყაყის მოცეკვავის" სახელიც კი დაარქვეს; რომ ტომას გრეი, რომელიც ამტკიცებდა რკინის გზებზე მოგზაურობის შესაძლებლობას, კინაღამ სატუსაღოში არ ჩასვეს; რომ დიდებული ბუნების მეცნიერი არაგო, პარიზის სამეცნიერო აკადემიამ მასხარად აიგდო, როდესაც იგი სერიოზულად შეეხო ელექტრონის ტელეგრაფსაო"... და მიკვირს, ღმერთმანი, ამ ნაირ კაცთ მტანჯველ ბრმა დოღმატიკოსთ თუ გაზეთში დასცინიან, საქმით თვით რაღად ბაძავენ? ნუ თუ ჩემი ხნის კაცს, 19 წლის გამოცდილს ამ წამლობაში, რიგორც თავის რვა შვილზე, ისე ბევრ სხვაზე, არაფერი დაეჯერება? რაც ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოსაქვეყნებელია და გამოსაკვლევ-დასამტკიცებელი, ამას, არამც თუ უნდა გაურბოდნენ, არამედ თვით უნდა სანთლით ეძებდნენ და ეტანებოდნენ, თუ მართლა ქვეყნის სიკეთისათვის მათ გული ერჩით, რომ რამე ნაირად ჩვენი ხალხი გაწყვეტისა და განადგურებისაგან დაიხსნან, თუნდ თვისი თავიც ზედ წააგონ ქვეყნის სიკეთისათვის თავგანწირულთა.

ეს ხომ ქვეყნის რჩეულთ ხვედრია და ნუ თუ ჩვენს მოღვაწეებში რჩეული ერისა არავინაა? ნუ თუ ქვეყანა მარტო არაკების, ლექსების და მოთხრობების წერით აშენდება? მაშ, თუ ხალხი გაგვიწყდება, მაშინ მათი ნაწერების მკითხველი მომავალში ვინღა უნდა იყოს, რატომ ამას არა ფიქრობენ? მე კი ვამტკიცებ, რომ უეჭველად რჩეული არაფერ შუაშია, აქ თავგანწირულობა საჭირო არაა. ელექტროგომეოპატიის გამოსაცდელად და მის უებრობის დასამტკიცებლად, ღმერთი რჯული: არაფერი საზ-ფათო თავის-განწირულება არავის შეხვდება, არავის რას ავნებს ეს წამლობა, ან მე რა მრჯის, რის სიხარბით გავბედავ, რომ ვისმე ურიგო რამ ურჩიო და

მის ჯანმრთელობას ზიანი მივცე? გამოაშკარონ ყველა ექიმებმა ამ 19 წელში მათთან ვისთან მიწამლია მე და ჩემს შვილებს? ან თუ სახიფათოა ეს წამლობა, მაშ ჩემი ჰირკოდილა შვილები როგორ ცოცხლობენ, როგორ იკურნებიან ხშირ ავადმყოფობისაგან? რომ ნესტიან სახლში დგომაც კი ვერაფერს გვაკლებს!? ვისაც თითონ გამოცდა ამ წამლების ვერ გაუბედია, ის მე მამყვეს, ნუ დაიზარებს და მე უჩვენებ მათს კეთილ გავლენას ჩემს ავადმყოფებზე[1]). ჩვენი უკვდავი ილია რომ ამბობს: „ცხოვრებას რომ ცოტათი მოუხუჭავ თვალს, წაგვთვლემს, წაგვძინება და მერე გაგანადგურებს და გაგთქერავსო." სწორედ მიტომაც განადგურდა ჩვენი ქვეყანა და ეხლაც ნადგურდება, რადგან ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საქმეებს მეტად სუბუქად და უგულოდ ვეკიდებით და თვალის მოხუჭვა-წათვლემაც ამას ჰქვიან. ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი და შეუდარებელი მოღვაწე ბ. ილია წინამძღვრიშვილი დღესაც მისდევს თავისდა სასარგებლოდ განემანის გომეოპატიურ წამლობას და სხვებსაც ურჩევს: „შეისწავლეთ და გაჭირების დროს იხმარეთ, კარგი და უებარიაო," მაგრამ ამაზედ ჩვენი ახალგაზრდები მხოლოდ იკრიჭებიან და ზურგთ უკან კიდეც მასხარაობენ... როგორ?! ნუ თუ, მეტი რომ არა ვთქო, ეს მეტად დიდი გონების დაბნეულობა, აჯმობა და წინ-დაუხედაობა არ არის, რომ მისი გამოცდილებით და დარიგებით არავინ ხელმძღვანელობს.? მე თუ პატარა კაცი ვარ და ამიტომ არად ჩასაგდები და მიტომ არა დამეჯერებირა, ნუ თუ ბ. წინამძღვარიშვილს ჯერ ჩვენი ხალხის წინაშე იმდენი არ დაუმსახურებია, რომ იმის გამოცდილებაზე დამყარებულ რჩევაზედაც ვმასხარაობდეთ და არ ვუგონებდეთ? „წინა კაცი, უკანასი ხიდიაო," ნათქვამია და თუ ამისთანა წინაკაცებს, ცხოვრე-

[1]) „მოძმეთა ხსნისთვის თავის დადება წმიდა მხედრია მხოლოდ გმირთა, ამას ვით შეეძლებს თავმოყვარება, რომელიც ჩვენთა ექიმთა სჭირთა?

ბაში ყოველნაირად საქმეში გამოცდილ-გამობრძმედებულებსაც არას გაუგონებთ, მაშ ხალხი და ქვეყანა წარმატებისა და სიკეთისაკენ როგორ წავა? აკი არც გვეტყობა რამე წარმატება! ახლა კი, ჩემის რჩევით ბ. წინამძღვრიშვილმა ელექტრო გომეპატიის შესწავლას და ხმარებას მიჰყო ხელი მისგან წინად გამონაცად გომეოპატიასთან შესადარებლად უებრობაში და სიავკერგეში და ამ მოკლე ხანში დარწმუნდა ელექტრო-გომეპატიის უკეთესობასა და ყველაფერში უპირატესობაზე. ისევ ბერი კაცს უფრო ერჯის გული ქვეყნის სიკეთისათვის, ვიდრე ჩვენს ჯეელ ნასწავლებს! ვაშა მას! სოფლის ნასწავლმა სამღვდელოებამაც შეიგნეთ, რომ მარტო „უფლისა მიმართ ვილოცოთ“ ძახილით ქვეყანას ვერ ავაშენებთ. თქვენ, უკეთ ნასწავლთ, ამაზე მეტი მოგეთხოვებათ, ხომ მოგეხსენებათ: „უსაქმოდ სარწმუნოება მკვდარ არის“? ხალხისა და თქვენი თავის და ოჯახის საკეთილდღეოდ სხვაფრივაც მრავალ მხრივ უნდა შეიტკიოთ თავი და გაანძრიოთ ტვინი და შეეცადოთ და თუ ჩემს რჩევას მიჰყვებით, სწორედ მაშინ დაიმსახურებთ ჩვენი ხალხის და ისტორიის კეთილ ხსენებას და ღვთის კურთხევას. ხალხს ესაყვედურებით: „აღარას გვაძლევთო“. „უსწავლელ ხალხს (და ბევრს ნასწავლსაც) ჰკუა თვალში აქვსო“, ნათქომია და თქვენის მარტო ლოცვიდან ვერაფერ სარგებლობას თვალით ვერ ჰხედავენ და მიტომაც არ ემეტებათ მოსაცემელი. აბა, როგორც ნემცის და ფრანგის მღვდლები სჩადიან: ხალხს უწამლეთ, მათზე ნამდვილი მამაშვილური მზრუნველობა გამოიჩინეთ, მაშინ ნახავთ, რომ ხალხიც დაგაფასებთ და მეტსაც მოგცემთ, ერთიორად. ყველანი უნდა დევგმირებად გადვიქცნეთ, რომ ჩვენს ბედშავ ხალხს ეშველოს რამე. მე ჩემი სოფლელები-გიორგიწმინდელები (თბ. მაზრისა) სწორედ ამისთვის მაძლევდნენ წელიწადში ას თუმანს ნაღდს და ოც თუმანს წამლებისათვის, რომ მე, მათი სულიერი ექიმობის დროს, [illegible] ექიმიც ვყოფილიყავ და მეც პირობას ვაძლევდი, რომ [illegible] ვინც გადაიცვლებო

და რამე სატკივრით, თითო მკვდარში თითო თუმანი დაეჭირათ ჯამაგირიდან დაზარალებულ ოჯახის სასარგებლოდ, მაგრამ ჯერ ხანობით ეს ჩემთვის სახერხოდ ვერა ვცანი: ჯერთბილისში შვილების დაზრდაზე ვარ მიბეჯითებული და ამ წამლობის გავრცელებაზე, თორემ სოფელში აბა რას გავაწყობდი და ჩემი იდეალი შეუსრულებელი დამრჩებოდა და ამ საქმეებისთვის მრევლისა და მამულის გადამკიდე ვეღარ მოვიცლიდი. სხვებისთვის კი ეს საქმე ძრიელ სასარგებლო იქმნებოდა. რომ ეს შესაძლებელი არ იყვეს, რომ ელექტროგომეპატია უებარი არ იყვეს, ასე თავგანწირვით მე მას არ მოვეკიდებოდი და 19 წელიწადს მე მასზედ ტყუილად არ მოვიშრიტებოდი ან რა ჩემი საქმე იყო ექიმობა, მაგრამ იძულებული ვარ მის უებრობას და ჭეშმარიტებას ვემსახურო. „რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება, რა საქართველო დანგრეული მამაგონდება". ვ. ორბ. თუმცა ამისთვის მზაკვრულ დაცინვასაც ბევრს განვიცდი უთავბოლო ხალხისაგან, მაგრამ, საცა უმანკო უფალს იესოს დასცინოდნენ მათთანანი, ჩემი რა საკვირველია? მაგრამ თვის იდეალის მედგრად მიმყოლი მიაქცევს მათს როტვას ყურადღებას, რადგან მათ არ იციან: რას იქმან! „რა იციან: ჩემი გული რით არის მკვდარი, რომ სიცილი თვით ცრემლზედაც როს არის მწარი?.. ამ წამლობის მომგონის ბიოგრაფია:

იტალიელი გრაფი მატტეი, ელექტრო-გომეპატიის წამლობის მომგონი, დაიბადა 11 იანვარს 1889 წ. ქალაქ ბოლონიაში, ჩრდილოეთ იტალიაში, მდიდარ, ძველ გვარიდგან ამ ქალაქისა და ახალგაზდობაში ის ეკუთვნოდა „იმ ოქროს ახალგაზდობას," რომლისთვისაც არ არსებობს სხვა მიზანი სიცოცხლისა, გარდა უზრუნველ ცხოვრებისა. მას აღმზრდელად ჰყვანდა იმ დროს ცნობილი მსწავლული და პროფესორი Paolo Costa, რომელმაც თავის შემგონებელი ნიჭით ძაან შეჩვია ახალგაზდა მატტეი და დაარწმუნა იგი, რომ მთელის გულმოდგინებით მისცემოდა შესწავლას ლიტერატურისას, ფი-

ლოსოფიისას და ბუნების მეცნიერებათა. ცეზარ მატტეი შეურყეველის სურვილით მიჰყვა რჩევას თვისის მასწავლებლისას, დაეწაფა მეცნიერებას მის ზედამხედველობის ქვეშ გატაცებით და იშვიათის სიმტკიცით, ხანდახან კი მოგზაურობდა იტალიაში და საზღვარ გარედ სწავლისა და განვითარებისთვის.

1846 წ, რომის პაპის პიოს IX ტახტზე ასვლისას, დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა მატტეისა და თუმცა ეს მოღვაწეობა მოკლე ხნისა იყო, მაგრამ მაინც მას ეჭირა ხოლმე სხვა და სხვა მაღალი თანამდებობანი, რასაც დააჩნია თვისი წრფელი ნიჭი და გულმოდგინება. თვისი უძრავ მამულის შეწირვის გამო პიოს მე IX-მ დააჯილდოვა 1847 წ. პირადი გრაფის ღირსებით, მაგრამ მისი განუწყვეტელი ფიქრი ის იყო, რომ მედიცინა შეესწავლა და ამის გამო 40 წლისამ მიატოვა პოლიტიკური სარბიელი და სულით და გულით მიეცა მკურნალობის შესწავლას და მისთვის აუცილებელ ბუნების მეცნიერებათა. მისდია გალილეისებურ სკოლის წესრიგს და შემდეგ გრძელ და დაუღალავ ძიებისა, შესძლო სხვა და სხვა უშხამო ბალახებიდან წვენის გამოღება, რომელნიც ცალკე ან სხვასთან შეერთებით წარმოადგენდა სამკურნალო საშუალებას, ახალ წამლობის მეთოდისას, რასაც მან ელექტრო-გომეპატია უწოდა. ამ წამლებში არაფერი სამავნებლო საწამლავები არ შედიოდა, არ იყვნენ დროებითი მარგებელნი, არამედ სწორედ და სწრაფად მოქმედნი თვით ავათმყოფობის წარმომშობ მიზეზზედ, რომელთაც გარეთ ერეკება სისხლის დაწმენდით, რა თვისებისაც უნდა იყვნენ იგინი.

მან პრაქტიკაზედაც სცადა თავისი სამკურნალო მეთოდი. მისი საკვირველი შედეგი ბოლონიაშივე გამოსცადა თავის სასახლეში. იქ მუქთად აძლევდა იტალიიდან და საზღვარ გარეთიდან მიმსვლელ ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას, რომელზედაც ხშირად ესწრებოდნენ ცნობილი მსწავლულნი და ექიმნი. 1868 წ. თვისი წამლობა მან იხმარა რომის წმ. ტერეზიას საავადმყოფოში პროფესორ პასკუჩის ზედამხედველობის

ქვეშ. იქ ისეთი ბრწყინვალე შედეგი ჰქონდა მას, რომ დამსწრენი განკვირვებაში მოდიოდნენ. იგი იყო მისთვის ნამდვილი ტრიუმფი და გრაფ მატტეის სახელი გაითქო არა მარტო იტალიაში, არამედ ევროპაშიც და ამერიკაშიაც.

საცა მისი მკურნალობის მეთოდი აჯმობასა და ახალ გამოგონებათა მტერთ ასცდა და განერიდა ბოროტის მსურველთ პირთ ან მოქეიფე ცხოვრებისადმი მიზიდულთ და სადაც ზნეობრივ სიმახინჯეს არ ეხეჩებოდა, ყველგან ამოწმებდნენ ბრწყინვალე შედეგებს, მის შეუდარებელ სიკეთეს და უებრობას. ეს ჭეშმარიტებაა. ამ ნაირ ყოფაში სულაც საკვირველი არ იყო, რომ მისმა მკურნალობის მეთოდმა თანდათანის წარმატებით დაიმსახურა ნდობა, იმიტომ რომ ავადმყოფთ თავისი იმედი ყოველთვის უსრულდებოდათ და გაიჩინა თავისი ლიტერატურაც, თუმცა წამალი წყალივითაა და ჩვეულებრივ ალოპატიურ წამლებს არაფრით არ ჰგავს.

ვინც პირად იცნობდა გრაფ მატტეის, მას შეუძლიან სთქოს, რომ ის იყო გულწრფელი და სათნოიანი და მასთან რაღაცა უცნაური ხასიათისა. მისი უცნაურობა გამოიხატა იმაშიც, რომ მან ააშენა ციხე-დარბაზი სახელად “la Roshetta“, Verqato-ს ოლქში. მისი ნაშენობა მოგაგონებთ შუასაუკუნეთა ბატონების ციხე-დარბაზების არქიტექტურას: იგივე კოშკები, დოლაბებიანი კედლები თოფის სასროლ ჭუჭრუტანებით, მაღალი თაღებით და გუმბათებით, რომელნიც შორიდან უფრო მონასტერს ჰგავანან. ეს ციხე-დარბაზი რუხვი ქვისაა, მიშენებულია კლდეზე ისე, რომ საცა კლდე გამოზიდულია ან შეწეულია, ისეც ოთახებია მოწყობილი ადგილმდებარეობისდა გვარად. ერთს თავისებურობას ამ შენობისას შეადგენს: გასავლელი დერეფანი ვიწრო სარკმელებით, მაღალ ფერადის შუშებით, კედლები საოცარი აღმოსავლეთური მხატვრობით, ხის ავეჯის ჭაჭანებაც არ არის ზალებში და თვით კლდისაგან გამოჭრილია ჩამოსაჯდომი გრძელი ტახტები და მთელ ამ ციხე დარბაზში ერთი საცხოვრებლად ვარგისი ოთახიც არ მოიპოვება, გარდა თვით გრაფის ხალვათ-ხანისა.

მეორე თავისებურება ამ ციხე-დარბაზისა ის არის, რომ შიგნით არის ღრმა სავარდნი მთელ თავის ბნელი დერეფნის სიგანისა, რომელიც მდებარებს აღნიშნულ ხალვათ-ხანის კარებ წინ. ეს სავარდნი დღისით დახურრულია რკინის ბადიანი კარით, რომელზედაც სიარული შეიძლება, ღამით-კი, როცა უნდა, ეს ხუფ-კარი, ჴოჴონაქით მოწყობილი, აეხდებოდა და ასრულებდა ხალვათ-ხანის კარის მაგიერობას, სავარდნიკი რჩებოდა. პირდია, მინამ გრაფი ისევ არ ინებებდა მის დაშვებას და დახურვას. ეს მოწყობილობა ჰქონდა გრაფ მატტეის გამართული მისთვის, რომ თვისი თავი დაეფარა, თუ ვინმე მის სიცოცხლის მტრად რამე მიზეზით გამოჩნდებოდა, მიმსვლელი მაშინვე იმ ბნელ სავარდნში ყლაპას მოადენდა. იქ მოდიოდნენ ავადმყოფნი და ბევრი ცნობილი პირნი ყველა ხალხისა, რომელთაც უნდოდათ ესარგებლათ გრ. მატტეის პირადი რჩევა-დარიგებით. აქვე ცხოვრობდა 1879 წ. რამდენიმე თვეს სტეფანე ვლადიმერის-ძე სმირნოვი, თვისი წერილებით ჩემი ექიმობის მასწავლებელი, რუსეთში ამ წამლობის შემომღები, გრ. მატტეის მიწვევით, რომელიც სწავლობდა მის პირადი ხელმძღვანელობის ქვეშ მის წამლების ხმარებას, რომელმაც შემდეგში დასწერა და მეათე გამოცემად გამოსცა 1908 წ. ამ წამლობის კარაბადინი: „Электрогомепатія гр, Маттей въ II частяхъ. С.П.Бургъ". (ამ წიგნის ქართულად გამოცემას ვსთხოვ უმორჩილესად ბ.ბ. ძმათა ზუბალაშვილებს, ქნ. ე. ი. სარაჯიშვილის ქვრივს ან ბ. პავლე თუმანიშვილს, რომელმაც უკვე თვისდა სასარგებლოდ გამოსცადა ეს წამლობა ან სხვა გამომცემელთ ჩემის რედაქტორობით და ნაცადის ჩამატებით, რასაც 50 ან 60 თუმანი დასჭირდება და ფულსაც ხომ ისევ აიღებენ წიგნების გაყიდვით. აბა ვის შეგტკივათ გული ჩვენი ხალხისთვის?! ამ წიგნით მასსა, ყველა ქართულის მცოდნე ისარგებლებს, თორემ ნასწავლნი ნიადაგ მეტმეცნიერობენ და სხვა ახალ რამეზე ძნელად მოსაბირებელნი არიან, როგორც ქრისტეს ფარისეველ-მწიგნობარნი და ამიტომ ქრისტემაც მათ თავი მიანები და თვისი

განმაცხოველებელი სწავლა ქვეყანაზე გაავრცელა უწიგნო მოციქულების მეოხებით უსწავლელ და უზაკველ ხალხში. აქაც ასევე მოხდება. გრაფი მატტეი ყველა მიმსვლელთ და სტუმართ ერთნაირად გულუხვ მასპინძლად უხვდებოდათ, რადგან, არც ეროვნებას, არც სარწმუნოებას, არც სოციალურ მდგომარეობას მისთვის არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ის ყველას იწვევდა თავისთან სასადილოდ ერთ სუფრაზე, ვინც და როგორიც უნდა ყოფილიყო.

ამ ციხე-დარბაზში მან იცხოვრა ნამდვილ ფილოსოფოსად სხვა და სხვა მოთხოვნილებათა მიუხედავად, უკანასკნელი 17 წელი და აქვე აღსრულდა 22 მარსტ 1896 წ. 87 წლისა.

კურთხეულმა გრ. მატტეიმ თავისი სიცოცხლე შეალია თავის გამოგონებულ მკურნალობის სრულ-ყოფას. დაბერდა უცოლშვილოდ და არა ჰყვანდა პირდა-პირი მემკვიდრენი, რომელთათვისაც თავის წამლების შედგენილობის რეცეპტები და თავისი ქონება გადაეცა სიკვდილის შემდეგ და ამიტომ გადასწყვიტა 1888 წ. შვილად აეყვანა ქ. ბოლონიის მცხოვრები, 30 წლისა, მარიო ვენტუროლი, რომელიც რამდენიმე ხანს გრ. მატტეისთან თანამშრომლობდა და იყო დირექტორი უმთავრეს წამლის საწყობისა ქ. ბოლონიაში. ეს შვილობილობა სამართალმაც დაამტკიცა 31 დეკემ. 1888 წ. და მისი შვილობილი ახლა იწოდება: მარიო ვენტუროლი-მატტეი. (Mario Venturoli-Mattei) ამას გარდა ამ შვილობილობაზე იყო განცხადება ელექტრო-გომეპატიურ ჟურნალში:" Moniteur de l'Electro Homeopathie"-ში ყველას საცნობლად.

ამ გვარად ბ. მარიო ვენტუროლი-მატტეი არის მესაკუთრე თავის მამობილის წამლების შედგენილობათა რეცეპტებისა და მისდევს მისგან დანიშნულ მიზანს კაცთ-მოყვარეობისას, როგორც შეგონებული ჰქონდა მოანდერძესგან. ბ. მარიო ვენტუროლი მატტეი საკმაოდ სანდო კაცია გრ. მატტეის ნების ასრულებისთვის, რადგან ის კაი ხანს იყო მის გულითად თანაშემწედ, სისწორით შეისწავლა მისგანვე წა-

მალთ მზადება ისე, რომ იგი თავმდებია, რომ ის იქნება სისწორით გამომთქმელი და ამსრულებელი თეორიულად თუ პრაქტიკულად დიდებულ მომგონის უებრო ელექტრო-გომეპატიურის წამლობისა.

იყო წამი გრ. მატტეის სიცოცხლეში, როცა თითქოს მას უნდოდა გამოეცხადებინა შედგენილობა თავის წამლის რეცეპტებისა, რათა მით პირი დაეყო ალოპატიის მიმდევართათვის, რომელთაც უნდათ რა ელექტრო გომეპატიის დაწიხლვა, მარტო მას მიზეზობენ, რომ ვითომ გრ. მატტეი ისე ჩამორჩენილი და ვიწრო გონებისა იყო, რომ ეხლანდელ დროს, როცა ყველაფერს იკვლევენ, ყველაფერს ძიობენ, ყველაფერს იგებენ, საიდუმლოთა მიწვდომასაც ცდილობენ, არა საკადრისია ამ წამლების შედგენილობათა საიდუმლოდ მალვაო. მაგრამ, გრ. მატტეი იმ აზრისა იყო, რომ, რა გამოაცხადებდა საყოველთაოდ თავის რეცეპტებს, მაშინ რაღა და ვინღა იქნებოდა თავდებად ავადმყოფთათვის მასში, რომ წამლები სწორედ ისე მზადდება, როგორც საჭიროაო? ამისთვის პირობად დაუდო თავის შვილობილს მათი საიდუმლოდ შენახვა და ძალიან კარგადაც მოიქცა: გომეოპატია განემანისა არაფერ საიდუმლოს არ წარმოადგენს, მისი რეცეპტები ყველა გამოცხადებულია და მე ვამტკიცებ, როგორც ბევრჯელ გამომცდელი, რომ განემანის გომეოპატია თუმცა ალლოპატიურ წამლებისაგან მზადდება, მაგრამ რაკი უფრო წყალწყალაა, სისხლს კარგა ეთვისება, და ამით ალოპატიაზე უებარია, მაგრამ განა ამ რეცეპტების გამოაშკარავებამ ის რამდენიმედ წინ წასწია ამ ასი წლის მის ირსებობაში? ისეც ელექტრო-გომეოპატიურ წამლების შედგენილობის გამოაშკარავება მის ფართოდ გავრცელებას ვერას უშველიდა და მით იქნებოდა ცუდი, რომ ეხლანდელი ჩვენი აფთიაქები მათ გააყალბებდნენ: მე თვით გამომიცდია და სხვისგანაც ბევრისგან გამიგონია, რომ ერთ და იმავე რეცეპტით სამ აფთიაქში მოამზადებინო წამალი, ყველანი ერთნაირად არ მოამზადებენ ხოლმე და ხშირად ფერით და გემოთიც განირჩევიან ერთმანეთისაგან. მოდი და ამათ გრ. მატტეის სათუთი წამლები მოამზადებინე!..

„ჭეშმარიტებას ცოტანი სცნობენ,
უვიცნი კი მას თამამად ჰგმობენ“.
მილტონი: დაკ. სამ.

„მებრალვის ერი ესე სიბრმისა-
თვის გულთა მათთასა“. **ქრისტე.**

გაზეთ „კვალში“ (№ 9 1898 წ.) ეწერა: როგორც „ივერიასა“ სწერენ: სოფელ კონდოლში, კახეთში, თურმე რიცხვი მცხოვრებთა ძალიან უკან მიდის და უწინდელ 500-600 კომლიანი, ახლა 300-400 კომლამდე ჩამოსულაო“. იქვე. სოფელი ტურის-ციხე სულ ამოწყდა, სოფელი შაქრიანი გაწყვეტის გზაზე დგას. იმავ „კვალში“ (№ 10—1889 წ.) „ქიზიყის წინა მხარში“ ეწერა: ეკლესიურ მეტრიკებით, სტასტიკურად გამოვიკვლიეთო და ათი წლის განმავლობაში ქიზიყს სოფლში აღმოჩნდაო, რომ ორჯერ მეტი კვდებაო, ვიდრე იბადებაო“. ეს უტყუარი ფაქტებია. ყველა ქართულ გაზეთების მკითხველთ გეცოდინებათ, რომ ამაზე უკეთესს ყოფაში არც სხვა საქართველოს კუთხეებია და დარწმუნდებით, რომ ჩვენი ხალხი გაწყვეტის გზაზეა. ეს ყველასათვის დამაფიქრებელი სინამდვილეა. ამისთანა შემთხვევაში ყველა შეგნებულ ქართველებს ვალად გვედება, რომ ხალხის ტანმთელობა-გამრავლებაზე ზრუნვა მარტო ექიმებს არ მივანაბროთ და, არა თუ მარტო სიტყვით და წერვით, არამედ ტვინის და ხელის განძრევითაც უნდა მივეშველოთ ჩვენს მშობელ ხალხს: სოფლის სამღვდელოება, მასწავლებელნი და იქ მცხოვრებნი, ხალხის მოჰირნე მწიგნობარნი. გარწმუნებთ ყველას, რომ ეს ნივთიერად არავისთვის იქნება საზარალო და თქვენგან ამ წამლობით მორჩენილნი ერთი ორად გადაგიხდიან. მე ამ ახალ წამ-

ლობაში 19 წლის გამოცდილება მაქვს, რისთვისაც, სიბერემდე მიწეულ კაცს, სიზმარიც კი დამეჯერება, თორემ, თითქოს ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულანო ცა და ქვეყანა: ზედიზედ გვეხოცებიან ძვირფასნი და სწორ-უპოვარნი მოღვაწენი და მახლობელნი და გვიწყდება თვით ჩვენი ქვეყნის საბოლოო წარმატების იმედი-ხალხიც. სწორედ ამ წამლობის შემწეობითა ვარ ცოცხალი მე და ჩემი ქირკოდილა ოჯახის წევრნი. თითქმის ბევრჯერ სიკვდილს, ბნედას და უბედურებას გადამირჩენია და ამ, ყმაწვილობიდანვე ქირკოდილა, კაცს ბევრი სიცოცხლეში ჯანღონით ქებული მიცვალებული დამიმარხია, ისეთი, რომ ერთი შემოკვრით მე ყარფუზივით დამაბნევდა.

სამ დიდ და ცნობილ ერთა კვლევის მეთოდის დასახასიათებლად ერთი ყველასაგან ცნობილი ანეკდოტია: გერმანელს, ფრანგს და ინგლისელს. ჰკითხეს: რა არის აქლემიო? გერმანელი ბიბლიოთეკაში შეიკეტა და ამ საგნის შესახებ მთელი ლიტირატურა გადაიკითხა. ფრანგი ზოოლოგიურ ბაღში გაიქცა აქლემის სანახავად. ინგლისელი კი აქლემის სამშობლოში წავიდა, მის ადგილობრივ უკეთესად შესასწავლად. ამ გვარად, რასაკვირველია, ინგლისელს საუკეთესო მეთოდი უხმარია მიზნის მისაღწევად. ეს არის და ყოველთვის იყო ხოლმე ღირსება ინგლისელისა. ეს დიდებული ერი ეხლა ყველგან ცნობილია, როგორც ჭკუიანი და პრაქტიკული ხალხი და ამ ხალხმა თვისი დედა ქალაქი ლონდონი, ელექტრო-გომეპატიის უებარ ღირსების გამო, მის მეორე სამშობლოდ აქცია: ათი დეპოა მარტო ლონდონში გრ. მატტეის წამლების გამყიდველი და იბეჭდება თვიური ჟურნალი სახელად „Modern Medicine." რომელიც ყველგან გაგზავნით ათი შაური ღირს და თბილისში ძმებს: ვექილს და ზემლემერს ზედგინიძეთ აქვთ გამოწერილი. ამ ჟურნალის გარშემო არიან შემოკრებულნი ყველა ნამდვილი მედიცანის ექიმები, ელექტრო-გომეპატიის მიმდევრები და ხსენებულ ზედგინიძეთა სახლშივე მე ვნახე რამდენიმე სხვა და სხვა წიგნები და კარაბადინები ამავ

წამლობაზე დაწერილნი და სურათებით შემკულნი. ზოგი ალოპატი ექიმები და მათ მიმდევარნი ვიწროდ ნასწავლნი კი, ვითომ არც კი კადრულობენ ელექტო-გომეპატიაზე ლაპარაკს, არა თუ შესწავლას და ხმარებას და არც ავად და არც კარგად მას არ იცნობენ საფუძვლიანად. თბ. სემენარიაში იყო ერთი ექიმობის მასწავლებელი ექიმი მიშკინი; ერთხელ იმას შეგირდებმა ჰკითხეს: გომეპატია რა არისო? მან ასე აუხსნა: „ქათმის სუფი თუ გინდათო, აადუღეთ წყალიო და შიგ გაპტყვნილი ქათამი ამოავლეთო და ეს იქნება გომეპატიური სუფიო.“ ჩვენ გვეგონა მაშინ, რომ გომეპატიას, ან სხვა რამე წამლობას, ექიმები ალბათ უკეთ და ზედმიწევნით იცნობენო, ალბათ არ ვარგა გომეოპატია და ასე მიტომ დაახასიათაო და ახლა კი, ცხოვრებაში გამობრძმედებული ვამტკიცებ, რომ გომეპატიისა და ელექტრო-გომეპატიისა იგინი ისეთივე უვიცნი არიან, როგორც მე ჩინური ენისა, ეს უვიცობა ამტკიცებს მათს დაუდევრობას, რაც ადვილად შესანდობელი არ არის. უადგილობის გამო ამის მეტი ვერ მოხერხდა და ოთხ წამალს და მათს ხმარებას საცდელად გაგაცნობთ, რითაც აიცილება ძალიან ადვილად ბევრნაირი მომაკვდინებელი სნეულება და თვით ფილტვისა და მის ფარის (პლევრის) ანთებაც თუ მინამ მიასწარით ეს წამალები, მიხამ უბრალო გაცხელება ფილტვის ანთებად გადაიქცეოდეს. სხვა ავადმყოფობანი: რაც უციებ-ცხელებოდ იწყობა, სახდიელები (ყვავილ-ქუნთრუშა), თუ უბრალო ციებ-ცხელება, ყოველ შემთხვევაში ამ წამლებით მორჩება და დაწვრილებით: რანაირი ავადმყოფობანიც რჩება მათით, შემდეგ იქნება ჩამოთვლილი.

## აქედან იწყობა ამ წამლობის ხმარების სწავლება.

მე ამ წერილით, რუსულის უცოდინელს, მაგრამ შეგნებულ ხალხს მოგმართავთ და ყველა იმ სოფლელთ, რომელთაც ექიმი არ გეშოვებათ, ან ექიმისთვის საჭირო ფული, და მით იძულებულნი ხართ, რომ თქვენი ავადმყოფები ბედის ანაბარად დასტოვოთ, რაც ხშირად მორჩენით ვერ ბოლოვდება და ეს წამლები კი ხშირად, ძალიან ხშირად, როგორც

წყალს, ისე გადაუგდებს ხოლმე გაჭირებულ ავადმყოფობას, თუ კარგა შეითვისეთ ამ წამლების ხმარება, როგორც შიგნით დალევით, ისე გარეგნულად სახმარად: სველი ტილოებით და სალბუნებით (მაზი). ამისთვის უნდა გქონდეთ შეძენილი წამლები: თბილისის გომეპატიურ აფთიაქში (სასახლის ქ, დობრჟანსკის სახლი, დიდ თეატრის პირდაპირ): სკროფოლოზო № 1, (Scrofoloso 1,) სკროფოლოზო ჯიაპონე, (Scrofoloso Giap pone) ფებრიფუგო № 1 და № 2, (Febrifugo 1-2) ეს ორი ციების და სიცხის წამალია. ამ წამლებში თითოში 11 შაურს გამოგართმევენ და ეს წამლები სიმშრალეში უნდა შეინახოთ, სიცხისაგან მორიდებით და თავის დღეში არ გაფუჭდება და ყოველთვის გულ დაარხეინებული იქნებით, რომ ყოველ ავადმყოფობისაგან უზრუნველ ყოფილი ხართ. თუ ციებით ან ცხელებით დაიწყო ავადმყოფობა, მაშინვე გახსნით ერთ მარცვალს (არა მეტს)ფებციფუგო №1 ჩაის ჭიქა 12საჭმლის კოვზიან წყალში მოურევთ კარგა კოვზს(კოვზს ჭიქაში ნურაოდეს დასტოვებთ, წამალს აფუჭებს, თუ შუშისა არაა) და, თუ ძუძუთა ყმაწვილია ან დიდია ავადმყოფი, და მეტის-მეტად დიდი სიცხე აქვს, 39 გრადუსზე მეტი, ამ ჭიქიდან ერთ წვეთ წამალს (მეტს არა) ჩააგდებთ სხვა სავსე ჩაის ჭიქაში და იქიდან ასმევთ ავადმყოფს 5 წუთში ერთ ჩაის კოვზს. ერთი საათის განმავლობაში თუ შეატყეთ ავადმყოფს, (სიცხის საზომით), რომ სიცხე და გაჭირება მოეშო, მაშინ უფრო გვიან-გვიან ასვით წამალი და, თუ ამ წამლისაგან 3—5 საათს რგება სულ ვერ შეატყეთ. მაშინ მეორე ნომერი იხმარეთ იმნაირადვე და ის უეჭველად არგებს. ასე უნდა მოექცეთ ძუძუთასაც და დიდებს: ქალსაც და ვაჟსაც, თუ მეტის მეტი გაჭირებული სიცხე აქვს. თუ სიცხე ნაკლები აქვს ავადმყოფს, (38 გრადუსამდე), მაშინ შეიძლება უფრო მაგარი წამალი იხმაროთ, ესე იგი: ერთი ჩაის კოვზი წამალი, ერთ მარცვლიანი ხსნილიდან, სავსე ჩაის ჭიქა წყალში და აქედან ისევ ისე ხშირ-ხშირად ასვათ, მინამ სიცხე სულ გამოჭნელდებოდეს. ამაზე მაგარი ციებ-ცხელების დროს არ

იხმარება. სიცხის გამქარვებელი წამალი ესენია, ორნაირი, და ან პირველი ნომერი გააქარვებს სიცხეს (არა ჭლექისას) ან მეორე, და ამას ორიოდე საათში გაიგებთ და რომელი წამალიც მოუხდეს ავადმყოფს, თქვენც ის იხმარეთ სრულ მორჩენამდე. ამ ნაზ წამალს ჰკალავს და აფუჭებს ლითონის კოვზი, ამიტომ სჯობია, რამდენიც კოვზი ჩაჰყოთ წამალში, იმდენი სუფთა ტილოთი გასწმინდოთ და ნიადაგ მშრალი კოვზი ჩაჰყოთ წამალში. როცა სიცხე კარგა გამონელდეს, მაშინ ასევე გახსენით წყალში სკროფოლოზო № 1 და ნახევარ საათში, ან საათში ერთხელ ერთი საჭმლის კოვზი დაალევინეთ დიდს, ისე რომ დღეში მოუვიდეს 6 საჭმ. დიდი კოვზი. ძუძუთა ყმაწვილს შაქრით დამტკბარი 6 ჩაის კოვზი დღეში, რეზინის ძუძუთი, კოვზით ლამფაზე გამთბარი-ჩააწოვეთ: ყველას ჩ. კოვზით გაკეთებული, ვაჟს 10 წელზე. დიდს მარცვლის 4 ჩ. ჭიქაში ხსნილი, მეორე დღეს, თუნდ არ გააცხელოს ავადმყოფი, სიცხის წამალი მაინც უნდა ასვათ არა ისე ხშირად, როგორც გაჭირების დროს, არამედ უფრო გვიან-გვიან, ნახევარ ან ერთ საათში ერთხელ და მეტ-მეტიც. ესე იგი, თითო ჩაისა კი აღარ, საჭმლის კოვზი, დღეში უნდა შაუსრულდეს ესეც ექვსი საჭმლის კოვზი. სიცხის წამალი იმ დროს ახმარეთ ავადმყოფს, რა დროსაც გაციების ან სიცხის მიცემის ვადა ჰქონდეს და მეორე ნახევარ დღეს კი უნდა ასვათ, როგორც ზემოთაა ნათქვამი, სკროფოლოზო 1, ასე რომ, დღეში ექვსი საჭმლის კოვზი უნდა დალიოს ერთნაირი წამალი (სიცხისა) და მეორენაირი წამლისაც (სკროფოლოზო 1), იმდენივე, ესე იგი: ორივე თორმეტი საჭმლის კოვზი და მორჩენისათვის დღეში მეტი არაა საჭირო. ყოველნაირ ანთების დროს ესეთი სუსტი წამალია საჭირო, მხოლოდ, თუ მოწამლისაგან არის ვინმე ავად ან კიდე შიგნეული იარის გამო ჩირქი შეუბრუნდა ან ძუძუს ანთების დროს რძე სისხლში გაერია, (მისგან წამომდგარ სიცხეს სხვა წამალი, (კანჩეროზო 1), უნდა ან ჭირიანობის დროს, მაშინ უფრო მაგარი წამალი უნდა: ერთიდან ექვს მარცვლამდე ერთ ჭიქა წყალში, ვისაც როგორი სიმაგრისა შეეფერებოდეს ჰასა-

კის მიხედვით და, თუ შეატყობთ სუსტი წამლისაგან რგებას, რა საჭიროა, რომ მაგარი წამალი ასვათ? მაგარი წამალი ხშირად არცკი რგებს და სუსტი კიდეც რგებს და წამალიც დაგეზოგებათ. რაც გინდ გაჭირვებული იყოს ახლად ავად გამხდარი, თუ ციებ-ცხელებით დაიწყო სნეულება, სიცხის წამ-ლები ერთ-ორ საათში თავის ძალას გამოიჩენენ და სიცხეს გაუნელებენ, თუ უციებ ცხელებოთ დაიწყება ავადმყოფობა. რისგანაც უნდა იყვეს იგი წარმომდგარი, მაინც სკროფოლოზო 1 არგებს, ამიტომ ამ წამალს ვეძახი ყველაფრის წამალს, ეს სახელი სწორედ ზედ გამოჭრილია მისგან გამომავალ სიკეთის მიხედვით. ამ წამლებს ლათინური სახელი აწერია და თქვენ აფთექარს ან სხვა ვისმეს დააწერინეთ ქართულად თქვენს გა-საგებათ სახელები მათი. ექიმები ამბობენ: უცფათ სიცხის განე-ლება მავნებელიაო. ეს მართალია მაშინ, თუ მათი წამლით გაუნელეთ სიცხე იმიტომ, რომ მათი სიცხის გამნელებელი წამალი, ანტიპირინი და მისთანანი, შხამიანია და თავის მომ-წამლავის ძალით სისხლს აღედებენ, ასქელებენ, ამის გამო სისხლი მდორდება, ნელა იწყებს დენას და სიცხეც ამის გა-მო იკლებს, მაგრამ ცოტა ხნის მერე იმ შხამიან წამლის ძა-ლა ქრება და სიცხე ისევ მატულობს და ამისთანა სიცხის განელება რის მაქნისია? რამდენიც სიცხე მოუმატოს ავად-მყოფს, იმდენჯერ რომ ანტიპირინი დაალევინოს მას, სისხლი მოეწამლება სულ მთლად და მოკვდება და ამის გამოც უფ-თხიან ექიმები სიცხის უცბად განელებას. ელექტრო-გომეპა-ტიური წამლებით კი უცბად არ ნელდება სიცხე, არამედ ცო-ტა ცოტაობით: ერთ ან მეორე დღეზე. პირველ დღეს 38 გრადუსამდე ჩამოვა, და სამეორე დღეოდ, თუმცა სიცხე 38 გრადუსამდე რჩება ავადმყოფს, მაგრამ ფებრიფუგო და სკრო-ფოლოზო 1 ისეთ გუნ ბაზე აყენებენ ავადმყოფს, რომ იგი აღარც სიცხესა ჰგრძნობს და აღარც ავადმყოფობას და ამის გამო, როცა სახადის (საოფლეს) სიცხე გამჯდარი აქვს ავადმყოფს, ხან და-ხან 8 დღეზე ძლივს გამოჰნელდება ხოლ-

მე და ამ წამლების მეოხებით 8 დღის მერე ისე მაგრა და კარგა ჰგრძნობს თავს ავადმყოფი, რომ თითქოს ავად არც კი ყოფილიყვეს და უმჭკნელად რჩება, არამც თუ ჯანსაღს გადაედოს სახადი და ველარ მორჩეს, ეს შეუძლებელია, რადგან სიცხეს, რაკი მიასწრობ, მაშინვე ისპობა, შინაშ სახადად გამოერკვეოდეს. რაკი გაიგებთ, რომ დასალევი წამლით სიცხემ დაიწია, მაშინ ფებრიფუგოს ხსნილი სუფთა ტილოთი უნდა გადაადოთ ავადმყოფს ტყირპზე და ღვიძლზე, რომლებიც ითვლებიან სიცხის მიცემის მიზეზად. ეს ალაგია „ფალანი“, რადგან ფალნის მსგავსია (подвздошie) ორივ მხრის ნეკნების ძირითა პირები, ესე იგი, გულის კოვზის გასწვრივიდან ჭიპამდე გადაედება ტილო, ზემოდან კლიონკა და მის ზემოდან კიდე ფანელი შუა გვერდებამდე შეუკარით უფრო ჩქარა განელდება სიცხე და საბოლოოდაც, და თუ ტყირპი აქვს დასიებული, დაუცხრობს. სველი ტილო უნდა დაედვას მხოლოდ ლოგინში, რომ ტილოს ქვეშ ადგილები ჩახურდეს და გამოიშუშოს და ტილო უნდა ედვას ან გაშრობამდე ან ოთხ საათს, როცა ტილო აიცალოთ, უნდა კარგა გარეცხოთ და გააშრიოთ შეორედ სახმარად, და თუ მისი ჩახურება აწუხებს ავადმყოფს, მაშინ ხშირად უსველოთ კომპრესის გახსნილ წამალში, თუ წვეთიან წამალს სვამს, ათ მარცვლიანი ჭიქა უნდა კომპრესად და თუ ჩაის კოვზით გადაღებულს, მაშინ 15 მარცვლიანი ჭიქა, ასევე მაზისთვის: ჯერ მარცვლები 15 წვეთ წყალში გახსენით, $^1/_2$ ღვ. ჭიქა გლიცერინი, ზეითუნის ზეთი ან სხვა რამ ცხიმი დაასხით, თითით გაქენით, იზილეთ შეშრობამდე 2-ჯერ დღეში საცა საჭიროება მოითხოვს. ეს წამალი სკროფოლოზო არ არჩენს ზოგიერთ სიმსივნეს, მათ კანჩეროზო 1 უნდა, თუ ის არა გაქვთ, ეს წამალი მაინც უნდა სვათ, რომ მათგან სისხლი არ მოგეწამლოთ და არ მოკვდეთ, შინაურულად ფაფაფუფით რომ იწამლოთ ან თუნდ ექიმს აწამლებინოთ, არხეინად იქნებით. სკროფოლოზო № 1, როგორც უმთავრესი სისხლის დამწმენდი წამალი ელექტრო-გომეპატიის

მკურნალობაში, არჩენს $^{9}/_{10}$ (ცხრა მეათედს) ყველა ავადმყოფობისას, რომელნიც კი სატკბურასაგან (золотуха) წარმოსდგებიან. სატკბურა, ამ წამლობის მომგონის, გრაფ ჩეზარე მატტეის, აზრით არის კეთროვნება, ანუ ათაშანგი შთამომავლობითი. ესევეა უებარი ყოველ გადამდებ სენის ასაცდენი წამალი (предохранительное), მის ხმარების დროს ადამიანი ადვილად აღარ ცივდება, ჯანი უმაგრდება, საჭმელს (თუ მჟავიანი არაა), ადვილად ანელებინებს და ტკბილ ძილს ჰგვრის ძილგამკრთალს. ეს წამალი აქრობს ცუდ-ჩხენტიანობას (худосочіе псорическое), ფერიმჭამელას, სურავანდს, რომელნიც ხშირად უჯდებიან ჯანში კაცს და წესიერ სისხლის ბრუნვას უშლიან და წარმოშობენ ადრეულ სიბერეს და უძლურობას. ეს წამალი საჭიროა როგორც დიდისთვის, ისე პატარისთვის, პირველთ სიცოცხლეს უგრძელებს და უკანასკნელთ ააცდენთ ყოველ საყმაწვილო სატკივართ და სახდიელთ: ეგრეთვე საქონელს და ფრინველს. ორსულობის დროს კაი გავლენა აქვს დედაზედაც და ყმაწვილზედაც უხიფათო ლოგინობისთვის. მისგან მიზეზით წარმომდგარ იარასაც არჩენს, თუ კუის თვისებისა არაა იგი, ამ ბოლო თვისების იარებს კი სხვა წამლები აქვს და კიდეც რჩება კუი, თუ მომწიფება-გამორწყვამდე მიასწრობთ. მთელი ოჯახობა და ხალხი მით დაიცავს თავის თავს ყოველ საშინელ გადამდებ სენთაგან, როგორიცაა: შავი ჭირი, ხორველა, ყვავილი, ქუნთრუშა, სახადი, სისხა და სხვა მოარულთაგან. ლონდონში აცხობენ პურს (pain de Sante) გირვანქა ფქვილში 5 მარცვლის გარევით. წყალი, წამალში სახმარად, უნდა უყოს არა შაბით დაწმენდილი ან სხვა რამ გემოიანი, არამედ სუფთა და ანკარა. იგივე არჩენს ტკივილებს, თავისას: ნევრალგიას, შაკიკს, ტვინის ანთებას (ახლად დაწყობილს), თავის წყალმანკს, ტვინის შერყეულებას, მის უძლურებას, წვეთის დაცემას (ახალს), მიბინარებას (спячка), მახსოვრობის სისუსტეს და ვაჟის ჰკვის შერყეულებას, (ქალს კანჩეროზო 1.)

სახე: აბურცებას, კრიჭის შეკვრას.

თვალი: ანთებას და სიდამბლეს ქუთუთოსას, შემაერთებელ პკისას (соединительная оболочка), ლიბრს (სხვა წამლის დამატებით) შავ წყალს (ახლად,) გამობურცვას (стафилома), ცრემლის დენას, მხედველობის კლებას (ახალგაზდობაში), ელმობას, (ახალს), აკურს, ჯიჯლიბოს, სუსუნატისგან თვალთ ანთებას.

ცხვირი: სურდოს ახალს და ძველსაც ცხვირის ანთებას და დამუწუკებას, ცხვირის დაჯირჯვება-დასახიჩრებას წაქცევისაგან.

ყურები: ანთებას, (ახალს), შხუილს და ტკიცილს დაჩირქიანებას, სმენის კლებას, სიყრუვეს (ახალს), თუ სისხლის მიწოლის ან ყურის დაირის გახვრეტისაგან არაა.

პირი: კანის ანთებას, ტკივილს, საყმაწვილოს, დამუწუკიანებას, ძიძიბებს, თეთრ ობს, კბილის ტკივილს და ფამფალს, სურავანდს, კბილის ძნელად ამოსვლას უშელავათებს ყრმათა (დედა შვილთ ორთავ უნდა სვან არ აწყენს, დედას უფრო არგებს) ღრძილისდა ენის ტკივილს,მუწუკებს ენის კორძს.

ხახა: დიფტერიტს, ყელ-ჭირვებას, სასას ჩამოსვლას, დაკაწრულობას, ჯირკვლების სიებას, კარკაპს (крупп, დალევით და კომპრესით თავ-ყელზე), ყივანას, ხორხის კატარს, მუწუკებს, ხმის წასვლას, ხრინწს, ღრმა ხველას, სლოკინს, გულის ძარვას, საყლაპავის შეკვრას.

სასუნთქი მილები: ანთება: ფილტვისა (ახლად დაწყობილს დალევით და წამლის მხურვალე კომპრესით), ფილტვის ფარისა (წყალი ველარ ჩაუდგება), მჭვალს, ჩხვლეტას, ჯგვლემას, ლაქაზს (бронхитъ), სუნთქვის შეკვრას, (თუ გულის ფრიალისაგან არაა, მოყირჭების და მოძრაობისგან წარმომდგარს,) სიმყრალეს (თუ კბილთ უწმინდურობისგანაა, უნდა მარილით იხეხონ).

სტომაქი: ყოველ კუჭისა და ნაწლევის ტკივილებს, (თუ ღვიძლის ავადმყოფობისა და სიყვითლისგან არაა, ან ნაღველის გაფუჭებისაგან), კუჭის მუწუკს (ახალს), საჭმლის მოუნე-

ტფილისი
სტამბა ა. ქერესელიძის გაბ. ქ. 1 Тип. А. Кереселидзе Га. № 1
1913

ლებლობას, ღებინებას, ანთებას, ზღვის ღებინებას, მუცლის გვრემას, ხოლერის ფაღარათს, ეგრეთვე უბრალო ფაღარათს, გამგელებულ მადას, გემოს დაკარგვას, ყაბზობას, (თუ მწვანეზე გადის, მაშინ სხვა წამალი უნდა), ბუასილს, ნაწლევების დავიწროებას და მოწყვეტას (ущемленіе), ბრმა ნაწლევის (ქიპის მარჯვნივ, ქვემოთ,) ანთებას უოპერაციოთ.

**მუცელი:** მუცლის ფარის ანთებას, წყალმანკს საკუთრივ კუჭისას, მუცლის ბერვას.

**სქესობრივი შენობა:** მათი ჯირკვლების გაქვავებას, საშვილოსნოს ტკივილს, უბრალო ჯირკვლებს მასში (ახალს), საშოს ლაშების, ანუ შესაყოფელის ანთებას, ან ისე ტკივილებს, ფერმკრთალობას, რიგის დაკარგვას, საკვერცხეს წყალმანკს, ლორწოს დენას, ჩუჩის ანთებას, კაცის უძლურებას (კაცობის დაკარგვას,), ძილში ხშირ დაცემას, თესლის ნელა გამოსვლას ქალთან მიდგომისას, ჩუკნობისგან ჯანის ზიანს.

**საშარდე ასოები:** მილის ვიწროობას, ანთებას, ბუშტის ანთებას, ლოგინში ფსმას, შირიმს (შარდის კენჭი), თირკმელების ტკივილს, ანთებას ან ზმლურდლებს მისას, მათ მოწყვეტილებას, თირკმელის კენჭს, შაქრის უნელებლობას, ცილის კლებას (Брайтова болѣзнь).

**ქალის ძუძუების:** გაქვავებას და ანთებას ძუძუსას, იარას, რძის ყონვას, დახეთქვას ძუძუს თავისას, რძის სიწამხდრეს, ყმაწვილისგან ძუძუს შეზიზღებას, დაუძლურებას ძუძუს წოვების გამო.

**სახსრები:** ბარძაყის ტკივილს, ბექის ამოვარდნილობას, ქარებს, ნიკრისს, თეთრ სიმსივნეს წვივისას, რბილ სიმსივნეს (ხან დამატებითი წამალიც უნდა).

**კანი:** ძირდიდას, პირქვე მუწუკს (ახალს, დაუპირქებელს), ღვალს, სირსველას (экзема), თაგვ-კბილას, ბედნიერს (карбункулъ), მარგულს, ბმოს, მსხმოს, ბუზუკს, ციმბირის ია-

რას, პენდეს იარას (მერვისა), სპილოს (СЛОНОВАЯ) კეთრს, ძიძიბთ ყრას, მღერს, ქეცს, მქავანას (ЧЕСОТКА), წითელ ქარს, ყოველნაირ ცივ და ცხელ მუწუკს, სახსრებში გამოყელვას, სიდამწვრეს, ხეპბოს ფეჩხილისას, (МОЗОЛЪ), ყინვისგან დაძ-რულობას, მეჭეჭს.

**ძვლები**: ანთებას ძვლისას და მის გარსისას, ძვლების სირბილეს (РАХИТЪ,) მჭამელს, ღრძილბას და ძვლის გატეხი-ლობას. ამ დასალევ წამლით მალე ხორცდება გატეხილი ძვალი და ცემისგან ან ჩამოვარდნისაგან წარმომდგარი სისხლის დაჟეჟილობაც.

**ციება**: ყოველნაირი სახდიელები: ქუნთრუშა, წითელა, ჩლუტ-ყვავილა (ცუდყვავილა), თეთრი და წითელი ცხელე-ბა, ქინქრულა, თუ ჯანში ყვავილი ან სხვა სახდიელი უდგა და ტანზე კი არ აყრის, უნდა 1-ლი დოზა ასვას ხშირ-ხში-რად, როგორც ყოველთვის გაჭირების დროს და ნახევარ საათში ერთხელ 10 მარცვალი აჭამოს, და 3 საათში გამოა-ყრის, რაც იქნება; შექცეულობას (ამ სენთ გავლის მერე, რომ ავადმყოფობა უბრუნდება, ჯერ სიცხე უნდა გააქროთ *ფებრიფუგოს* წამლით).

**სპაზმოდიური**: კრუნჩხვას ძარღვისას, გამონასკვას, ისტერიკას (ხან სხვა წამლის დამატებით), წმ. ვიტტეს ცეკ-ვას, ძარღვთ თრთოლას, ბნედას (არა ყოველნაირს), საყმა-წვილოს, ჩაბჟირებულ სიცილს, ენის ბორძიკს. ასოთ კან-კალს: ხელისას ან თავისას.

**სხვა და სხვა სენთ**: ძარღვთ სიდუნეს, მათს ანთებას და სიდამბლეს, უძილობას, თიადორას, დაუჩირქებელს თიას, თიაქარს, ხერხემლის ძვლის ტკივილებს, ცოფს (ახალს, ძველს დაკბენილობას კი კანჩეროზო უნდა), ნაღვლიანობას, ფერდის ქარს, (ფუში, ტრიკი), კრიტიკულ (კარდაკავალ) ხანას ქალისას, (როცა უნდა რიგი დაეწყოს 14 წლისას, ან მოე-სპოს 45 წლ. შემდეგ), სალათას ძილს, ტეხვას სასარტყლეში, მთვარიობას კაცისას (ქალს კანჩეროზო 1), ჯიდაოს (МОЗОЛЪ),

2019-92137
21/5 57

ჩუქნობის მიზიდულობას, ლოთობის ან პაპიროზის მიზიდულებას, უეცარ დაჰუნჯებას, გულის წასვლას, ბუჟილს, მოწამლულობას, ზოკოთი ან სხვა **ყოველნაირი** საწამლავებით, **თუნდ არ იცოდე რითაა მოწამლული,** სიდამბლეს, (ახალს), სისხლის დენას, ჯანის სისუსტის-გამო, არა თუ მჟეთქავ გულის სისუსტით, მზის ან მეხის დაკრულობას, ჩამოვარდნისა ან ცეცხისაგან დაჟეჟილი, თუ ჩქარა მიუსწარით შიგნით-გარედან ეს წამალი, არ დაუსივდება, თუნდ მოწამლული იარაღით იყოს დაჭრილობა, ოფლის სიჭარბეს, ქკვის კლებას, ვერცხლის წყლის სენს, (უკეთ: ჯივას სენს), რომ უმიზეზოდ ეტირებოდეს, ტყირპის ანთებას ან ტკივილებს, გულის ფრიალს ყვავილის გამოუყრელობის გამო, ან სხვა რამ ჩირქის დენის შედგომის გამო, ათაშანგის ჯანში დამალულობას (თუ გარეთ არა აქვს რა), დორბლის დენას ორსულობაში, ხტომას ძილში ან ისე, ლუტუნი მეტის მეტი, გაშეშებას ხელ-ფეხისას, ტრიხინით მოწამლვას (ღორის გვარით), მეტს სიმსუქნეს კაცისას (ქალისას კანჩეროზო 1), კრაზანის, მორიელის, გველის ან ცოფიანისგან ნაკბენს, უბრალო ჭრილობას, რომ არ გაძალლდ რითმე. შხამიან იარაღით ჭრილობასაც.

ამდენ სხვა და სხვა სენის ერთი წამლისგან მორჩენას რომ წაიკითხავთ, ვიცი გონება აგერევათ: ეს როგორ იქნებაო, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ. გარწმუნებთ: ეს სენნი სისხლის გაფუჭებისგან წარმოდგებიან, ეს წამალი სისხლსა სწმენდს და ამის გამო ყველა სენი რჩება, აქ დაუჯერებელი არაფერია. შეიძლება სხვა და სხვა ასოში სხვა და სხვა ნაირი ავადმყოფობა გქონდეს, მაგრამ ყველგან ერთნაირი სისხლი გვიდგა და ყველგან ერთ ნაირად მოძრაობს და თან დააქვს სნეულების ჩანასახიც, სისხლში გახსნილი. ნემსს ვინც ჩაყლაპავს, ის ხომ სისხლში არ იხსნება, მაგრამ მაინც თან დააქვს და ყველას გაგეგონებათ, რომ პირიდან ჩაყლაპული ფეხიდან გამოსულიყოს და აბა რა დასაჯერია, რომ სხვა და სხვა ასოში სხვა და სხვა ნაირი სისხლი

გვეღგას, და ერთნაირ **სისხლის** დაწმენდას ათასნაირი **წამალი** რათ მოუნდება? ამიტომ ძაან სცდებიან, ვინც გარეგნული წამლებით ფიქრობენ **სისხლის** დაწმენდას, დროებით კი შეიძლება შეღავათი მიეცეს, ისევე, როგორც წურბლის დაყრით სისხლის ართმევა რგებს ხოლმე დროებით ადამიანს. კომპრესისთვის **გახსნილი** წამალი არ უნდა გადაღვაროთ და გათავებამდე **იხმაროთ.** დასალევად გაკეთებული ნადუღ წყალში წამალიც არ უნდა გადაღვაროთ, როცა მისგან სუსტ წამალს აკეთებთ დასალევად, გრილად შენახული 10—15 დღეს ივარგებს.

**სკროფულოზო ჯიაპონე რგებს:** კუჭის ტოშლას ყოველ-გვარს, ხოლერის თუ უბრალო ფაღარათობას, ჩხვლეტას, რწყევას, სისხას, კრუნჩხვას, ციებას, ინფლუენცას, ლორწოიან ბუასილს, ხოლერის შეყრის და იფლუენცის ამრიდებელია, ავადმყოფობისგან ჯანის მოუძლურებას, გონების და ჯანის მოღლილობას ჯაფისგან, ცივ ოფლს ან ჯან-გატეხილობას, მუხლის ან წელის სისუსტეს.

**რა დროს, როგორ იხმარება ეს წამლები დასალევად.**

**პირველი დოზა:** ერთი მარცვალი ერთ ჩაის ჭიქა სავსე წყალში გახსნილი, (ფაღარათობის დროს ნადუღი უნდა). ვაქცინისათვის **ახალ ავადმყოფობის** დროს, ფაღარათობისას, კუჭის მოშლილობისას, ყაზზობისას, (მთელ ჭიქას ძილად დაწოლისას ერთად გადაჰკრავს), ან თუ ყვავილს არ აყრის ვისმე ყვავილ შეყრილს რამე მიზეზით: ერთი, ორი, ან სამი მარცვალი გაიხსნება ჭიქაში (წლოვანების მიხედულობით). გაჭირებისას 5 წუთში თითო ჩაის კოვზი, გაუჭირებლივ $1/2$ საათში, ან უფრო გვიან, თითო საჭმლის კოვზი უნდა დაალევინოთ და მშრალი მარცვლებიც აჭამიეთ და 3 საათში გამოაყრის და ჩქარაც რჩება საკვირველად.

**მეორე დოზა:** 1 ჩაის კოვზი 1—ლი დოზიდან სამსე ჩაის ჭიქაში: ანთების ან ტკივილების დროს, კანის ძველი მსხმო, ქარები: წითელი, ნიკრისისა, როცა უსიცხოდაა,

ან თუ გინდათ ძაან არ გამოაყაროს ძველი, ჯანში გაჴჯდარი სენის მუწუკები, რომ ამან არ შეაწუხოს ავადმყოფი და ცოტ-ცოტა გამოაყაროს და ნელ-ნელა, შეღავათით მორჩეს.

**მესამე დოზა:** ეძლევა, თუ ამაზე მაგარ დოზისაგან ტკივილი ან წუხილი მოემატება, ან ძუძუთა ბავშვებს, უნდა ყინვარი (ან ისე შაქრით) დაუტკბოთ, ჩაის კოვზით ლამპარზე გაუთბოთ, რეზინის ძუძუში ჩაუსხათ და პირში ჩაუდოთ, დღეში ექვსჯერ, (გაჭირების დროს მეტჯერაც). **ამ წამლისგან დიდ-პატარას წყენა არ შეიძლება არასოდეს.** ხშირი ყაბზობა, ნერვიული ავადმყოფობანი: ბნედა, გულყრა, ისტერიკა, წმ. ვიტტეს ცეკვა. ხანდახან კრუნჩხვას 1-ლი დოზაც სჭირდება. ერთი წვეთი პირველი დოზიდან, ან 1 ჩაის კოვზი მეორე დოზიდან ჩაის სავსე ჭიქაში აკეთებს მესამე დოზას.

**მესამე დოზა** შინაურ ფრინველსაც რგებს ყოვლნაირ ავადმყოფობის დროს, სასმელ წყლის მაგიერ დაუსხით სუფთა ჭურჭელში, მჟავიანი კი არა აჭამოთრა, როგორც ზოგმა დანაყილ ნიორ-ძმარში ჩაყრილ პურის გულის ჭმევა იცის. თუ წყალს არა სვამს, მაშინ პირველ დოზაში უნდა ჩაუყაროთ პურის გული და ძალად აჭამოთ, მინამ თითონ დაიწყებს ჭამას, ან საკენკი მოუხარშოთ ამ წამალში. პირველ დოზაში გათქვეფილი ქატო ან ფქვილი რომ ასვათ დღეში 10 ჯერ თითო ჩაის ჭიქა ოთხფეხ საქონელს ავადობის დროს, იმასაც არგებს, ან ჯამით წყალივით დაალევინეთ უფქვილოდ. **უფრო მაგარი კერძი** მშრალად: 10 მარცვალი ერთად შეჭამოს: ღებინებისას (თუ მჟავეული არ უჭამია), გულ-ყრისას, გულის წასვლისას, სიმთვრალისას, წვეთის დაცემისას, ფაღარათობისას. 20 მარცვალი საათში, მინამ გამოაყრიდეს ყვავილს ანმისთანარამეს. 15—40 მარცვლამდე ერთბაშად, რამის მოწამლულობის გაჭირების დროს, 5 წამში ერთი ჩაის კოვზი კი უშეწყვეტლად წყალში გახსნილი წამალიც უნდა სვას: 1, 2 ან 3 მარცვლიანი, ეგრეთვე ხოლერა ან შავი ჭირის დროს. შესაყარ სენთ ასაცდენათ: 5—6 მარცვალი უზმოზე, ჭამის დროს (უმჟავოდ),

ძილად მისვლისას, ყოველ წყლის დალევისას ჩააყოლოს 1 მარცვალი. გაციების ასაცდენად, მადის გასაღვიძებლად, საჭმლის მოსანელებლად, ძილის მოსაყვანად: 1—4 მარცვლი მშრალად, დღეში 3-ჯერ. 6—მარცვლამდე ყოველ დღე უნდა მშრალადაც შეჭამოს, როცა რამე ავადმყოფობას სწამლობთ გახსნილი წამლით, თუ გაჭირება იყოს, თუ არა წამალი დაზოგვით სჯობია იხმაროთ. *ფებრიფუგო* № 1 და № 2 თუ გექნებათ, სკროფოლოზო № 1 ერთად, უკეთესია, ყოველნაირ ციებ-ცხელებას და ანთებას გაანელებთ მით, თუ ასე მოიქცევით ბევრ სხვა უბედურებას აიცდენთ, მინამ ავადმყოფობა გამოირკვეოდეს, თუნდ ფილტვის ან სხვა რამის ანთება იყოს ან თუნდ სახადი-საოფლე. რომ გტკიოდეთ რამე, ერთ მარცვალს შესჭამთ, თუ 5 წუთში არ გარგოთ, გაიმეორეთ 2, 3 ან მეტი ყოველ 5 წუთს, ძველ სნეულებას კი უეჭველად წყალში გახსნილი წამალი უნდა. შაბით დაწმენდილი წყლის ხმარება ამ წამლობის დროს სულ არ შეიძლება. ეს წამლები უკვდავების წამლებია თითქმის, ხალხნო, გაიგეთ, შაიტყეთ და დაიჯერეთ, არც აპერაცია, არც სხვა რამ წვალება არ მოსდევს ამას, თუ უმავთულო ტელეგრაფი და მის ნაირი საკვირველებანი შესაძლებელია, ეს რატომღა არ იქნება შესაძლებელი, თქვენი გაბრიყვება მე რას მარგებს? წამლის გამყიდავი მე არა ვარ და გამკეთებელი. იყიდება სრული კარაბადინი ადვილად გასაგებ რუსულ ენაზე ყველა ავადმყოფობის კურნებისა უოპერაციოდ, რომლის სახელწოდებაც წინ იყო დასახელებული და ღირს 2 მ. 40 კაპ., კაი და მოსარჩენი წამალი თუმცა ჩვეულებრივ წამლებსავით მაგარი, გემოიანი და ფერიანი არ გამოდის და ყველა წამალი ერთმანეთსა ჰგავს ფერითაც და გემოთიც და მარტო შუშაზედ წარწერით გაირჩევა, მაგრამ ამით ნუ დაიფუქსავატებთ და ვისაც ამნაირად ხმარებულმა არ გარგოთ, სულ მე მაგინეთ.

სიმაგრე წამლისა ყოველთვის არაა საჭირო და ყველა ისინი ღრმად სცდებიან, ვინც მაგარი წამლით ჰფიქრობენ სენის

მორჩენას, რადგან მაგარი წამალი სისხლში ვერ ეთვისება და კუჭი ბუნებრივი ხასიათის გამო, მათ კარშივე ისტუმრებს. ვინც რამეს ვერ მიხვდეს შემეკითხნენ. შეიძლება გაჭირების დროს ვერ ენდოთ ამ წამლებს, მათ უცნობელობის გამო, ამიტომ სხვა, ადვილი ტკივილებში, თავისა, თვალისა, კბილისა ან სხვა ასოს ტკივილის დროს რომ გამოსცდით და გარგებთ, მერე გაჭირების დროსაც ენდობით. ხშირად გამიგონია, როცა ვინმე ჯანში კარგა ვერა გრძნობს თავსა, ნაცნობ-ნათესავნი ეტყვიან ხოლმე: ექიმს გაესინჯე, მიზეზი გააგებინე, რას გამო ვერა გრძნობ თავს კარგათ და ამ ნაირ ყოფაში კი ძალიან ხშირად კაი ექიმიც ვერას შეიტყობს ხოლმე, რადგან, მინამ ავადმყოფობა არ გამოჰპირავს და არ გამოირკვევა, ექიმი რა ნაირად შეიტყობს რამე მიზეზს და ექიმობის ეხტიბრი რომ არ წაუხდეს, ეტყვის რასმე: სულ არაფერია, ან ძარღვები გაქვს მოშლილი ან სხვა რამეს. ახლა სხვა ექიმს რომ გაესინჯოს, ის კიდე სხვა რამეს ეტყვის, რადგან დოსტოლორივ თქმა ხშირად შეუძლებელია იმავ ავადმყოფობის გამოურკვევლობის გამო. ამ წამლობით კი შეიძლება კაცმა შეიტყოს, რაც სტკივა, ან სადაც სტკივა: გულში (მარცხენა ძუძუს ქვეშ), კუჭში, ტყირპში, ღვიძლში, თირკმელებში ან სხვაგან სადმე. რომ იხმაროთ ჯერით წამლები: სკროფულოზო 1, ანჟიოიტიკო 1, ჶებრიჶუგო 1 და 2 და ბოლოს კანჩეროზო 1. ამ წამალთაგან, რომელიც იმ ავადმყოფობის მიზეზის მიმდგომია, ადამიანს ჩხვლეტას დაუწყებს ან აატკივებს იმ ასოს, სადაც ჯერ შეუმჩნევლად შეპარულა სნეულება. ამისთვის საკმაოა, რომ პირველი დოზა სვათ და თუ ძალა და მოქმედება შეატყოთ რომელიმე ალაგას ჯანში, უნდა იხმაროთ მუდმივ, მინამ სენი მორჩებოდეს, გარეგნულადაც და შიგნეულადაც იმ დოზით, რომელსაც შეიშვნევს ავადმყოფი და მისი მტკივანი ასო. თუ ერთნაირი წამალი ყოველ მხრივ ვერ მოუხდება ავადმყოფს, მაშინ მეორე წამალიც უნდა მიუმატოს და

თუ საჭირო შეიქნა მესამე და მეოთხე წამალიც ასე შინჯონ და რომელი წამალიც ისე ჩაივლის წყალივით, რომ არაფერს, არც ავს და არც კარგს, არ აგრძნობინებს ადამიანს, მაშინ ის წამალი არც იქნება მისადგომი იმ სნეულებისა და ამ გვარად ადამიანი მოირჩენს უჩინრად ისეთ სნეულებას, რომელიც ჯერ არ გამორკვეულა, მაგრამ რომ უწამლოდ დარჩენილიყო, მაშინ ერთხელ როდისმე სენად აუტყდებოდა კაცს, ხათაბალად და ძნელ მოსარჩენად გადახდებოდა. ჩემი თბილისელი მასწავლებელი ელექტრო-გომეპატი ანტონ სიმონის ძე გლებოკოშანსკიც ასე მოიქცეოდა ხოლმე ავადმყოფობის გამოურკვევლობის დროს. ამ ცდას წამლებისას ის ეძახდა **"взять болѣзнь за дыбы"**, ე. ი. „სენი ქოჩრით ავწიოთო" და ასე მოუვლიდით ხოლმე და მოვარჩენდით ჯერ გამოურკვეველ სნეულებას. აი, ამ შემთხვევაშიც, როგორი მშვენიერი და უებრო ეს წამლობა. ასევე უნდა გამოსცადოს კაცმა თავისი კარგა მორჩენილობა მაგარი წამლებით, როცა ამ წამლობით მორჩება ან სანამეტნაოდ ალოპატ ექიმებისგან როცა მორჩება ვინმე და თუ ამ წამლებმა არაფერი გავლენა მოახდინეს ადამიანზე, მაშინ, სჩანს, ავადმყოფი კარგა ყოფილა მორჩენილი.

**ეს წამალი, რანუ სხვა რომელიმე, ერთნაირად იხმარება** კომპრესად და სასმელადაც. თუ სვამენ 1-ლ დოზას, სალბუნი ½ ღვინის ჭიქა ცხიმზე ან გლიცერინზე უნდა 20 მარცვალი, რამდენიმე წვეთ წყალში გაიხსნას და მერე ცხიმი აერიოს და თითით გაიქნას კარგა და იმით იზილოს, საცა საჭიროა შეშრობამდე. ამდენივე უნდა კომპრესს ერთ სამსე ჩაის ჭიქა წყალზე. კარგა მოურევთ, დაასველებთ ორკეც იმოდენა ტილოს, რამოდენაც მტკივანი ალაგია და ზედ გადაადებთ ლოგინში მწოლარეს. ტილოს ზემოდ იმოდენავე კლიონკა, ტილოს ნაპირებზე გარედ გადასული და შემდეგ ფანელს დაადებთ იმოდენასვე და კარგათ შეუკრავთ. როცა ტილო შეშრეს, ააცალეთ, სუფთად გარეცხეთ და ახლა მე-

ორე ღამესაც სუფთა იხმარეთ, მინამ ტკივილი კარგა დაე-
შუშებოდეს. მეორე დოზას თუ სვამთ, მაშინ კომპრეს-სალ-
ბუნისთვის ჩაის ჰიქაზე ანუ 1/2 ღვინის ჰიქა ცხიმზე უნდა
15 მარცვალი.

მესამე დოზას თუ სვამთ, მაშინ 10 მარცვლიანი უნდა
სალბუნიც, კომპრესიც.

მეოთხე დოზა სასმელზე გარეგნული სალბუნ-კომპრეს,
5 მარცვლიანი უნდა და ასე უნდა დაიცვათ თანა-ტოლობა
სალევი და გარეგნული წამლისა.

თუ რამდენად საიმედოა ეს წამლობა ყოველი
სენის დროს, აქ მოვიყვან ამის დასამტკიცებლად ორიოდე
ჩემგან გამოცდილ შემთხვევას: 1 სოფელ საგარეჯოში დათა
მჭედლიშვილს ვენახში ბლაგვისთვის დაეკრა ქუსლი და ასე
მოგლილი დამუწუკებოდა და სემენარიაში შესასვლელად
ემზადებოდა და თავის ფეხს ყური არ უგდო, ცოტა ხანს
ქუსლზე ვერ დადიოდა, ფეხის თითებზე ადგამდა, ბოლოს
მოგლილიც მოურჩა, სულ აღარ ეტყობოდა. რამდენიმე ხნის
მერე იმ ფეხში ტკივილები აუტყდა. მიეყვანათ ექიმი თუმა-
ჯანოვი და მას ვერაფერი გამოერკვია. შემდეგ მე მიმიყვანეს,
ვერც მე გავიგე ტკივილის მიზეზი, არსად დასიებული არა
ჰქონდა, მაგრამ დავპირდი, რომ, თუ ერთ კვირას დამაცდით
მე გამოვარკვევ, რომელი წამალიც მიუდგება და მოარჩენს
ტკივილს მეთქი. ერთ დღეს ერთნაირი წამლები ვცადე და
უთხარი: თუ არ დაუყუჩდეს ტკივილი, დილაზე შემატყობი-
ნეთ და წამალს გამოუცვლი მეთქი. შემატყობინეს დილაზე
და მეც სხვა წამალი მივე და კიდე უთხარ: დილაზე კიდე
შემატყობინეთ, თუ არ დაუამდეს ფეხი-მეთქი, მაგრამ აღარა
შემატყობინეს რა. თურმე მიეყვანათ კიდევ ექიმი და იმას
ფეხის ზურგზე, ტკივილის ადგილას სახსარზე, იოდი წაესვა.
ამაზე ეფეთქნა და დასიებოდა იმ ადგილას, შემდეგ გაეჭრა და
ჩირქი გამოეშო და ეთქო: ქალაქს წაიყვანეთ, თორემ აქ
ვერ მოვარჩენ, სისხლი მოეწამლებათ. ჩამოეყვანათ თბილის-
ში და მიხეილის საავადმყოფოში დაეწვინათ. იქ თურმე ექი-
მები ეუბნებოდნენ: მეტი ჩარა არ არის, უნდა ფეხი მოვ-
ჭრათო, მაგრამ მგონი ვერც ამან უშველოსო და ახლა მეო-
რე ფეხი ან ხელი გაუსივდეს და კვლავ მოსაჭრელი გაუხდე-
სო. ავადმყოფს ყვითელი ფერი დასდებოდა, სიცხე მისცემო-

და და მადა დაჰკარგოდა. შემხვდა შემთხვევით მისი ძმა მღვდელი მ. სამფსონი და შემომჩივლა: ცუდად არის ჩემი ძმის საქმე, ლამის ფეხი მოაჭრან და დაასახიჩრონო და მიამბო თუ, როგორ წარმოსდგა ესეთი სენი უბრალო მოგლილისგან. ახლა კი მივხვდი, რომ ჩემი მისი პირვანდელი წამლობა შემცდარი იყო და ურჩიე: კანჩეროზო 1 იყიდე და 20 მარცვალი მაშინვე შეაჭამე და პირველი ჭიქა წყალში გახსნილი ასვი და სამ დღეს სისხლის მოწამლვა მოურჩება მეთქი, მერე გამოიყვან და გარეგნულადაც ჩემ წამლებს მივცემ, რაც საავადმყოფოში მოუხერხებელია მეთქი და ისე მორჩება, რომ ფეხს არა დაუშავდეს რა მეთქი. ასე მოქცეულიყო, მაშინვე სიცხე გამოიწელებოდა, მადა მისცემოდა და სამი დღის მერე გამოიყვანეს და სოფელში გააქანეს და მე აღარა მკითხეს რა და ასე გადარჩა ფეხმოუჭრელი, ცოტა რამ გაკოჭლებული, რაც ჩემი წამლობის ერთგულად ხმარების დროს სულ ასცდებოდა, ჩემი დასალევი წამალიც დაკარგოდა და ასე შინაგან-გარეგან წამლებს მოკლებული, რა თქმა უნდა, თავანკრად ვერ მორჩებოდა და აკი ვერც მორჩა და ფეხის მოჭრას კი რამდენიმე დღე ჩემი წამლის სმამ გადაარჩინა...

2. თბილისში მოვაჭრე გიგო ელაღოვი ავად გამხდარიყო. ერთ კვირას ექიმებს ეწამლათ, მაგრამ მიზეზი ვერა გამოერკვიათ რა. მე მიმიყვანეს. სიცხე ჰქონდა ცოტა რამ. ვერას სჭამდა, სულ აზიდებდა. მე გაციება მეგონა. ერთ სამ დღეს წამალი ვცადე, არაფერი გამოვიდა, შემდეგ თავი დაანება ჩემ წამლობას და ექიმებს მიჰმართა ისევ: ეგებ ან გამიჭრან ანა, თორემ კახეთს წასვლა მიგვიანდება ღვინოებისთვისო. ჯერ იქ წასულიყო მაინც. ჩამოსვლისას მიხეილის საავადმყოფოში შესულიყო და იქ გაეჭრათ და რა აღმოჩნდა? თურმე ხალხის მოძრაობის დროს 1906 წ. ის ვიღამაც დასჭრა დანით და ექიმებმა მოურჩინეს, მაგრამ ცოტა რამ იმის ზადი დარჩენოდა და იმას შიგნით ემუშავნა, დასჩირქებოდა და ეს სნეულება 1912 წ. ქრისტე-

შობისთვეში დაემართა და ექიმებმა ვეღარაფრით ვერ გადაარჩინეს. ამასაც იგივ კანჩეროზო 1 არგებდა, რომ მისწრებოდა, მაგრამ მე ვერ მიუხვდი სენის მიზეზს, როცა ვწამლობდი; ეს წამალი ერთს ალაგას მოაგროვებდა, სისხლში შერევას ააცდენდა და გარეთ გამოჰპირავდა ჩირქს და უხიფათოდ მორჩებოდა. აი, მარცხი ასეთ გამოურკვეველ პირობებში მოსდის ამ წამლობას და ახლად დაჭრის დროს კი რომ ამ წამლით ეწამლა, დასაღევ წამლებით სულ კარგა საბოლოოდ მოურჩებოდა ჭრილობა, თორემ გარეგნული წამლობით მორჩენა ჭრილობისა ძალიან, ამ შემთხვევასავით, ხშირად სახიფათოა, მაგრამ ვინ იცის ფასი ელექტროგომეოპატიურ წამლობისა, რომ ბრალიან უბრალოდ მას დაენდვნენ და არაგვარ სნეულობით არ დაზარალდებიან!?

3. მღვდლის დ. დეკანოზიშვილის ცოლს ძუძუს ანთება ჰქონდა. მე სოფელში ვიყავ წასული და თურმე ორ კვირას მელოდა: ის უოპერაციოდ მოარჩენსო, ექიმები კი ძუძუს გაუჭრიანო. როცა მივედი თელავს ჩემ ალაგზე, ამ მღვდელმა მნახა და გამაგებინა ყველაფერი ეს და მთხოვა, ჩქარა მენახა მისი ავადმყოფი. მე უთხარი, რომ ფოსტაში ჩემ სახელობაზე წერილები და გაზეთები იქნება შენახულ-მოგროვებული და იმას შინ მოვიტან და ისე წამოვალ მეთქი. არ დაიგვიანოო, მითხრა. მე უთხარ: თუ ორ კვირას მელოდე, ორ საათს ვეღარ მამიცდი მეთქი? მართლაც შევბრკოლდი 2—3 საათს ღვდელს მოთმენა გასწყვეტოდა და სამხედრო ექიმ დ. ა—დიანთან გაეგზავნა მოწვევის ბარათი, მეც მიველ. რა იქენ აქამდე, მოთმინება გამიწყდა და ექიმი დავიბარეო?. არა უშავს რა, ვნახოთ: რას გეტყვის, ოღონდ ავადმყოფი მოგირჩეს კარგა და უწვალებლივ და ჩემთვის სულ ერთია: მე მოგირჩენ, თუ სხვა მეთქი. ექიმი მოდიოდა და ის ავადმყოფთან შეიყვანა, მე კი ზალაში დამმალა: ყური დაუგდე, რას იტყვისო. ექიმმა გაშინჯა ავადმყოფი, უგონოთ იყო და 41/0 სიცხე ჰქონდა. ექიმმა მაზი გამოუწერა და დაარიგა: ემ მა-

ზით უზილეთ ერთ კვირას და თუ არ დაუცხრა ძუძუ, მაშინ გაჰკრა დასჭირდებაო.—იმედს მაძლევ: უეჭველად მორჩესო, ჰკითხა ღვდელმა. მე იმედს როგორ მოგცემ, მე ჩემსას ვეცდები, ღმერთი ხომ არა ვარო? გამმარჯვე ღმერთიაო, თუ მშვიდობაა, ორ კვირაზე მორჩებაო. ექიმი წავიდა. ავადმყოფის გასინჯვის ამბავი ყველაფერი უკვე გავიგე ამ გვარად და ავადმყოფი გაშინჯვით აღარ ვაწვალე და ვუთხარი ღვდელს: 3 დღეს უეჭველად მოვარჩენ, რომ ბევრი აღარა აწუხებდეს რა მეთიქი. შენ უფრო კაი პირობებს იძლევი, შენ უწამლეო, მითხრა მღვდელმა. მეც ამოვიღე და სიცხის წამალი ვასვი დილის 11 საათიდან ღამის 12 მდე, მაგრამ სიცხე დაბლა ვერ დავწიე. ეს ამბავი ძალიან გამიკვირდა, სიცხესთან ესეთი გასაჭირი არა მქონია. ამიტომ ჩემ კარაბადინში ვჩხრეკდი ისეთ შემთხვევას და ძლივს ვიპოვნე. იქ ეწერა: თუ ჩირქი სისხლს შაერია, სისხლი მოეწამლებაო და სიცხესაც მისცემსო და ასეთი სიცხე კანჩეროზოთი უნდა განელდეს, რადგან ჩირქს ერთად შეჰკრებს და სისხლს დასწმენდსო და ვიფიქრე: იქნება შიგნით დაჩირქდა და მართლაც ჩირქი სისხლს გაერია მეთქი და მივაყოლე კანჩეროზოს სმა და მშრალი მსრცვლების ყლაპება. ერთი საათის შემდეგ გაუსინჯე სიცხე და 40/0 ჩამოსულიყო. მეორე დღეს 38/0 ჩამოვიდა, მესამე დღეს 37/0—მდე, მეოთხე დღეს ძუძუს წამლით ზელვის დროს ერთ ალაგს გამოხეუთქა, ჩემს წამლობამდე კი ისე სტკიოდა, რომ ხელი ვერ დაეკარებოდა. ტაშტში ერთ ჩაის ჭიქამდე პატრუქებივით შედედებული ჩირქ-ნარევი გამოვწურე. ამ დროს იქ დაგვესწრო ცნობილი ნ. მთვარელიშვილის მეუღლე, ჰკვირობდა: ამოდენი ჩირქი გდგმია ქალო და როგორ უძლებდიო? მთავრის წამლების ხმარებამდე ძაან მტკიოდაო და მაგის წამლებზე დამიყუჩდაო, მიუგო მან. ამის შემდეგ მის ჩქარ მორჩენას ხელს რაღა შეუშლიდა?.. ასე გაუმართლე ჩემი დაპირება.

ერთი ჩვენი პატივ-ცემულ ექიმთაგანი ბ. შალვა მიქელაძე მეუბნება: „ალოპატია ძლივ შევისწავლე და სხვა ექი-

მობის შესასწავლადაც ამდენივე ხანი მამინდებაო და როგორ
შევისწავლოთო"? ეს ტყუილი თავის მართლებაა. ელექტრო-
გომეოპატიის შესწავლას დიდი საქმე არ უნდა, მხოლოდ მი-
სი წამლების ხმარება და ცოდნაა საჭირო, რომელიც ალო-
პატიურ წამლების მაგიერ იხმარებს, რასაც მოკლილი კაცი
ორიოდე კვირას კარგად შეისწავლის. ჩვენ ცოტა და ბედშავი
ხალხნი ვართ, ამიტომ ჩვენი ერის მოჭირნე ექიმებმა უფრო
უებარ წამლობას უნდა მიჰყონ ხელი, რომ ხალხის სიცო-
ცხლე შეინახონ და ამ ნაირად უტყუარი და ყველაფერში
საიმედო წამალი დაედება ჩვენს ხალხს და ქვეყანას. აპილპი-
ლებული და აღტაცებული ტყუილ იმედებით ხალხი ბევრი
გვყავს, საქმით არას ცდილობენ და სიტყვით გაიძახიან: „ფი-
ქრი არ არისო, რუსთაველის ენა და მშობელი ხალხი ვერ
მოკვდებაო". ეს მეც მწამს, მაგრამ თუ მცოდნარობა არ მო-
ვიშალეთ ყველაფერში, ქვეყანას წინ ვერ წავწევთ და რა
სახარბიელო იქნება ისეთი ყოფნა, ჯორის კუდივით არც ვგ-
ძელდებოდეთ, არც ვმოკლდებოდეთ?!
პეტერბურღ-მოსკოვ-ადესაში, სადაც გომეოპატიური საზოგა-
დოებანია, ისე კიდევ საზღვარ-გარედ, ხომ ნამდვილი უმაღლეს
საექიმო სწავლა მიღებული ექიმები ჰყავთ, რომელნიც ჯერ
ალოპატები ყოფილან და მერე გომეოპატიაზე ან ელექტრო-
გომეოპატიაზე გადასულან, რაკი მათ უკეთესობაში დარწმუ-
ნებულან სხვათა მტკიცებითაც და თავისითაც და ამათთანა
ექიმებს ხომ არც სციოდათ, არც შიოდათ, მაგრამ უკეთ ეს-
მოდათ თავისი დანიშნულება, როგორც ექიმისა, უპირველე-
სი ხალხის მოკეთისა, არა თუ მარტო თავისი ჯიბისა. ასეც
ჩვენები უნდა მოიქცნენ. და ჯერ თავის ოჯახში ელ-ომეოპა
ტიაზე გადავიდნენ.

4. 1890 წ., როცა ჯერ ექიმობისა ბევრი არ გამეგე-
ბოდა, ჩემ ერთ ქალთაგანს, ელენეს, თვალებით ელქუ-
ნი (წყლული მუწუკია) გამოჰყვა მთელ თავზე და ში-
ნაური წამლებით ვერაფრით მოურჩინეთ. მერე ერთმა ექიმმა
მასწავლა: აფთიაქში ბაზის სალბუნი გამოართვი ცინკისა

(თუთიასი) ვარდის ზეთით შეზავებულიო და უსვით ის, თანაც ჰბანეთ თავი და მორჩებაო. მართლაც ამ წამალმა „მოარჩინა“ მისი თავი, მაგრამ ახლა ყბაზე თიადორა გამოუვიდა. ამ დროს მცხეთიდან ქალაქში გადმომიყვანეს და ახლად ვეცნობოდი ელექტროგომეოპატიას. ერთს მხარეს, როგორც იყო ჩვენი და მისი ტანჯვა-წვალებით, ფაფაფუფებით, გაჭრით და კვერცხის მალამოთი მოურჩინე და ახლა მეორე მხარეს გამოუვიდა, რამაც წელი მაჰწყვიტა: ისევ იგივე ტანჯვა-წვალება მოგველოდა ჩვენი და მისი. ამდროს ჩემთან შემთხვევით მოვიდა ჩემი პრაქტიკაზე მასწავლებელი ექიმობისა გლებოვოშნსკი და ნახა ყბა-დასიებული ყმაწვილი და მკითხა: რატომ არა სწამლობო? მე მიუგე, რომ ერთ მხარეს ფაფაფუფა-გაჭრა-მალამოებით მოურჩინე და ახლა მეორე მხარეს გამოუვიდა მეთქი და ჯერ ველი სიმსივნის გაზრდას, მერე ფაფაფუფათი დაუმწიფებ, გამოურწყამ და მოურჩება-მეთქი. იმან მითხრა: თუ კი ისევ ბარბაროსულ წამლობას მიჰყვები, მაშ ელექტრო-გომეპატიას რაღადა სწავლობო? ხომ ნახე, რომ ალოპატიურმა წამლობამ მაგას ელქუნი ისე ვერ მოურჩინა, რომ იგი სხვა სენად არ გადაქცეულიყოო? ერთ მხარეს მოურჩინე, ახლა მეორე მხარეს გამოჩნდა, სხვაგანაც ბევრი ჯირკვლები აქვსო და შენც რომ მიჰყვე და უჭრა ჯირკვლები, ყმაწვილი არც მორჩება და მისი სიმწარით კიდეც მოკვდებაო, მაშ რა ვქნა-მეთქი, ვკითხე. ელექტრო-გომეპატიით უწამლეო, ისე გაუქრება, გაჭრა არ მოუნდება და საბოლოოდაც მორჩება და არსად აღარ გამოუვაო. მე უთხარ: ისე რომ გაუქრეს, ჯანში დაეფანტება სენი მეთქი და ეს რის მაქნისია, არა სჯობია, საცა დაუსივდება, იქიდანვე გამოვიყვანო სენი მეთქი? იქიდან რომ გამოიყვანე სენი, ხომ ხედავ, ეს ვერაფერი გამოყვანა იყო, თორემ მეორედ აღარ დაუსივდებოდაო, ელექტროგომეოპატიური წამალი კი სისხლს დაუწმენდავს ჩუმად, უტკივნელად და სენი განავალს, შარდსა და ოფლით ჯანიდან გამოვაო. მე

დავფიქრდი და ვუპასუხე: თუ კი გაუკრელათ ასე კარგა მორჩება, ეგეთი წამლობა უმჯობესი იქნება-მეთქი. ასვი მეორე დოზა სკროფულოზო და მისი სალბუნით უზილე და ღამეც მისი კომპრესი დაადეთ და თუ მან ვერ დაუცხროსო, მაშინ კანჩეროზი იხმარე ამ გვარადვეო. მეც დაუწყე ესეთი წამლობა. ახლა ყმაწვილს ერთხელ გულყრა დაემართა, მინამ წყალს მივაწრობდით, ყმაწვილი ჩქარავე მობრუნდა. ჩვენ მისი გულყრა პატარა ლეკვისგან შეშინებას მივაწერეთ, არად ჩავაგდეთ, მაგრამ თვის მერე იგივე განმეორდა და იმ დროს იქ ლეკვი სულაც არ იყო, რომ კიდე მისთვის დაგვებრალებინა. ახლა უთხარი ჩემ ცოლს, რომ უფრო ბეჯითად და ძალად ეხმარებინა ყმაწვილისთვის შიგნეული თუ გარეგნული წამლები და მის უარისთვის და ჭყივილისთვის ყური არ მიეგდო, ყმაწვილი მაინც ჯიუტობდა: თუ წყალი არ სწყუროდა ჩაის კოვზითაც არ სვამდა წყალწამალს და თუ სწყუროდა, ქიქას წაეტანებოდა კოვზის მაგიერ და თუ მივცემდით, ნახევრამდე დალევდა, არც გვაზელინებდა, კომპრეს დავადებდით, მაშინვე მოიხსნიდა და გადააგდებდა, როგორც ყმაწვილის ამბავი იცით. ჩვენც ჩვენსას არ ვიშლიდით. ამაობაში ყმაწვილი მოიზარდა და გულყრა წინანდებურად აღარ მოსდიოდა, აღარ წაიქცეოდა ხოლმე, ტანისამოსის ხდას და ყრას დაიწყობდა და ვკითხავდით: რას შვრებიო? გვეტყოდა: დავტლიალდი, დავტლიალდიო, ალბად თავბრუ ესხმოდა. ამ დროს ყვავილი გაჩნდა და ყმაწვილის აცრა მოვინდომე. მოვიტანე კაი ჩირქი და აუცერი და ერთ კვირას ველოდე, არ გამოაჩნდა. მეორედ კიდევ აუცერ, მაინც არ გამოაჩნდა, მესამედ აუცერ, მაინც არ გამოაჩნდა და თითქმის ვგიჟდებოდი. სოფლის მასწავლებლობაში თბილისში ექ. გლავაცკისაგან აცრა ვისწავლე, სოფლებში დავდიოდი, ყველას უცრიდი, რომ ამეცილებინა მათთვის დაკენკვა და დასახიჩრება და თავის დღეში ეს არ მამსვლია, რომ სამჯერ ამეცრას სამ-სამ ალაგას და არცერთ ალაგზე არ გამოჩენილიყოს. ესეთი ამ-

ბაჟი ჩემ ექიმს ვლებოკოშანსკის გაუზიარე და ვკითხე: რატომ არ ეცრება ყვავილი, მიზეზს ვერ ამიხსნი მეთქი? შენც ხომ ჰკითხულობ ელექტრო-გომეოპატიურ კარაბადინს და რატომ მიზეზს შენ თითონ ვერ მიხვდიო? მე ვერ მივხვდი, ხამი ვარ, მასწავლე მეთქი. სკროფულოზო 1 დახასიათებაში ხომ სწერია, რომ იგი აალცდენს ყოველნაირ შესაყარ სიხდიელსო და რატომ ვერ მიხვდი, რომ ყვავილის აუცრელობა სულ მისი საქმეა, რომ ეხლა მას ასმევთ ყმაწვილსო? ახლა კი მივხვდი მეც მიზეზს, როცა მან ამგვარად ცხვირი ზედ დამაკვრევინა. მაშ როგორ უყო, რომ ყვავილი აეცრას-მეთქი? სკროფულოზო აღარ დაალევინო რამდენიმე დღეს, მერე აუცერ, აეცრება და მინამ ყვავილი არ გაუბრუნდეს, ჯერ სულაც ნულა დაალევინებო, მასწავლა მან და მეც ასე მოვიქეც, ყვავილი მართლა აეცრა და როცა გაუარა, ეს წამალი მაშინ ვასვი კიდევ და ყველა ჩამოთვლილი ავადმყოფობანი მინამ კარგა არ მოურჩა, მინამ სულ ვასმევდი. მერე ეპარქიალურ სასწავლებელში შევიყვანე სასწავლებლად და როცა ძნელი გაკვეთილი ჰქონდა და ხან-გრძლივად კითხულობდა, მეტყოდა ხოლმე: მამი, თავი ამტკივდაო. მეც გაუკეთებდი სუსტ სკროფულოზოს ხსნილს, დალევდა 5 წუთში თითო ჩაის კოვზს და თავი ისევ ჩქარა დაუდგებოდა ხოლმე. ამნაირად გავათავებინე 4 კლასი და შემდეგ საბებიო ინსტიტუტში მივეცი ბებიობის შესასწავლად. იქ გაციებულიყო და სისუსტე და სისხლ ნაკლებობა დაემართა, ორ თვეს ფეხით ველარ იარა და კონკით ვატარე.

იქაური ექიმები თურმე ეუბნებოდნენ: ნემსები აჩხვლეტინეო, ზოგი ეუბნებოდა: რკინის წვეთები სვიო. ის კი ეუბნებოდა მათ: მამაჩემი მწამლობსო, იმან სხვანაირი წამლები იცის და კიდეც მომარჩენსო და კიდეც მოვარჩინე და ექიმებს ეკითხათ: ბალახების წამალი გასვაო? არაო, ეთქო, ელექტრო-გომეოპატიური წამლები მახმარაო. ექიმებს მაინც კიდე ეთქოთ: არაო, იმას ბალახების წამლები ეცოდინებაო და ასე

Тиф. Тип. „НАДЕЖДА“

ერთმანეთის ვერა გაუგოთრა და არც მე მკითხა ვინმე მათგანმა: როგორ და რით მოახერხე მისი მორჩენაო, ალბათ ან თავმოყვარეობით ან მიტომ, რომ ეგონათ მე დაუმალავდი, როგორც თითო-ოროლა რამ შინაური წამლის მცოდნენი შვრებიან. ახლა ჩემი ქალი ბეზიად მსახურობს და სრულებით კარგაა. ექიმები ამბობენ: დაბადებით თან დაყოლილი სენი არა რჩებაო, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ელექტრო-გომეოპატიური გრ. მატეის წამლები მათაც კარგა არჩენს. ჩემი ქალის ავადმყოფობა თან-დაყოლილი იყო, რადგან ჩემი ცოლი მასზე პირველ ორსულობაში თავის ტვინის ანთებიან დასთან იყო ხაშმზე და ნე ამ ავადმყოფის ტანჯვა-წვალება რომ ვნახე, ჩემი ცოლი გავაფთხილე: ჩქარა წადი აქედან შინ (გიორგიწმინდას), თორემ ყმაწვილს, რაც გაგიჩნდება, უბედური რამე სნეულება გამოჰყვება მეთქი. აუხსენ წიგნიდან წაკითხული: როგორც ერთ ექიმს ერთი ვისმესთვის ხელი მოეჭრა და ამ დროს ორსული ცოლი მოხმარებოდა და თუ როგორ მის ცოლისაგან დაბადებულს სწორედ ის ხელი აკლდა და იმ მხრისა, რომელიც მან სხვას მოაჭრა, მაგრამ, მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, 2 კვირა დარჩომილიყო იქ და მე კი წამოველ მცხთაში სამსახურში და ეს ამბავი ბოლოს გავიგე და გულში ღარღლად მქონდა, მინამ არ ხადდებოდა. ასე გადავარჩინე აუცილებელ უბედურებას ჩემი ქალი და ჩემი თავი და ამისთანა წამლობას ჩემის ჯაბრით დასცინიან სხვისი ლაქიობით კაცად გამხდარნი, ისეთნი, რომელნიც ხუთ სიტყვას რომ დასწერენ, ათ შეცდომას უშვებენ და წამლობისა იმდენიც არ ეყურებათ, რომ უბრალო კბილის ტკივილი დააყენონ... ზოგს კიდე შური უბრმავებს თვალებს და მეუბნებიან: მაიცადე, შენს სახშიაც ვნახამთ ექიმების ხურხურსო. ხომ მოგეხსენებათ: შურმან არა უწყის პატივი უმჯობესთაო...

5. 20 იანვარს წელს სხვა ქალი მარო, ეპარქიალურ სკოლის მოწაფე, გამიხდა ავად: ახველებდა, ლოყები წითლად უკოკრდებოდა, მალ-მალ აყენებდა და სისხლზე იწკრიტებოდა, რძისა და ხორცის წვენის მეტი ვერაფერი გვექმია. დარწმუნებული ვიყავა

რომ მას ნაწლევების და ფილტვის ანთება, ორივ ერთად ჰქონდა. შემეშინდა ორი ასეთი საშინელი ჭირისა. როგორ უნდა გაეძლო ამ სენთათვის, როცა, ნაწლევების უარესი ანთების შიშით, ვერას ვაჭმევდით და ხშირი ფეხის ადგილს მიდგომისგან ისევ და ისევ ცივდებოდა? ჩემა ღვდლებმა მითხრეს: თუ ეგ მოგიკვდა, გაზეთში გამოვაცხადებთ, რომ შენი წამლობა ყალბი ყოფილა და ტყუილად აქებო. მეც დავფაცურდი: ფულის დაზოგვის დრო აღარ იყო. სენის უკეთ გამოსაკვლევად მოვიწვიე ექიმი ბ. მიშელი და ვთხოვე: კარგა გაეშინჯა და მოწმობა დაეწერა, რომ იმ მოწმობით არქიერთან ჩვენი ეკკლესიის სამზრუნველოდან ფულით შემწეობა მეთხოვნა, რომ კარგა მეწამლა და ყმაწვილი ჭლექში არ ჩამვარდნიყო. ექიმმა კარგად გამოიკვლია სნეული, მთხოვა, რომ ნახველიც წამეღო, მეც წაუღე, გამოიკვლია და აღმოჩნდა: ნაწლევების ანთება, მარჯვენა ფილტვის ანთება და ცოტა ჭლექის ბაცილებიც, მაგრამ მაინც ვერ იხურხურეს ჩემ სახლში ექიმებმა და ვერც როდის იხურხურებენ, რადგან ზემოთ აღწერილ ჩემ გაჭირებებს თუ ადვილად გაუძელ. შემდეგში, თუნდ მათზე უარესიც მეწვიოს, იმასაც თვით გაუძლებ ჩემი წამლებით. გამოვართვი ექიმს ასეთი მოწმობა, მაგრამ შემწეობის თხოვნა კი აღარ ღირდა, რადგან სამ კვირას, ათ თებერვალამდე, კარგა მოვარჩინე ჩემი გოგონა, გავგზავნე აბანოში, ერთი კვირა შინ დავიჭირე კიდევ და შემდეგ გავგზავნე სკოლაში, სწავლა განაგრძო და ეგზამენებიც კარგა ჩააბარა და მასთან ერთად მარტო ფილტვის ანთებით ავად გამხდარი ჩემი ნაცნობები კი: ნ. ც—ძე და სტუდენტი კახეთელიძე სამ თვეზედაც ძლივს გამოაბრუნეს იმ ნაირმა ექიმებმა, რომელნიც თითო მისვლაზე სამ მანათს იღებდნენ... ამის გამო წელიწადი სწავლისთვის დაეკარგათ. ამასაც მორჩენა ეთქმის?

6. საგარეჯოში, ჩემს სოფელში, 1899 წ. იყო ექიმად ბ. თუმაჯანოვი. მის ცოლს ქალის ავადმყოფობა ჰქონდა, შვილი არ უჩნდებოდა. მე ურჩიე ქმარს: თუ დამიჯერებ და ჩემებურად უწამლებ, სულ ადვილად მოარჩენ და მერე შვი-

ლიც გეყოლებათ-მეთქი. არაო, მოსკოვში გავგზავნი, ოპერაციას გაუკეთებენ და მოარჩენენო. მე უთხარი: მე თავს მოვიჭრი, თუ მაგას ალოპატი-ექიმები მოარჩენენ მეთქი. ამაზე გამლაძლა მან: იმედს რათ მიკარგავო? მე უთხარ: მე შეგნებული კაცი, შენ შეგნებულსვე სწორედ გეუბნები, რათ გინდა ტყუილი იმედი მოგცე, პირში ჩამაფურთხე, თუ ეს ჩემი აზრი ბოლოს არ გაგიმართლდეს მეთქი. შემდეგ მოსკოვსაც გაგზავნა და ბევრნაირად სხვაფრივაც ეცადა, მაგრამ ვერ მოარჩინა და გაეყარა: უშვილო და სნეული ცოლი რათ მინდაო?

ამ ექიმს გავაცანი ჩემი ელექტრო-გომეოპატიის კარაბადინი და თავისი აზრი გამიზიარა მასზედ: ნახევარიც რომ იყოს მართალი, რაც აქ სწერია, ისიც დიდი საქმე იქნებაო, თორემ ჩვენს ალოპატიაში ერთი ორიოდე წამალი თუ ჰკურნავს მართლა, თორემ დანარჩენი სულ გადასაყრელიაო. კაი იქნება, თუ ვინმე ჩემს ავათმყოფზე სცდით ჩემს სანახავადაო. ამ ხანში მომმართა მე საგარეჯოელმა ერმია მარსაშვილმა ცოლის საწამლებლად, რომელიც მშობიარობის დროს გაციებულიყო, მდინარობა შესდგომოდა და საშვილოსნოს და კუჭ-ნაწლევების ანთება გასჩენოდა. ამას თურმე ეს ექიმი 23 დღეს სწამლობდა ადგილობრივ აკუშერკასთან ერთად. ექიმს არ დავეკითხე იქ მოყვანილი მისი სიტყვების გამო და პირდაპირ დაუწყე წამლობა. საშინელი ფაღარათობა ჰქონდა და დამატებით ყბაყურა გასჩენოდა და ჯერ ისევ მოუმწიფებელი გაეჭრა ექიმს. ქალმა მითხრა: ხანდახან ფაღარათობისთვის „ინოზემცის“ კაპლს ჩამაყლაპებს ხოლმე ექიმიო და დღეში ერთხელ იარას გამომბანს ხოლმე და მეორე დღემდე შეკრული მაქვს ხოლმეო, მეტს არაფერს წამალს არ მახმარებსო, თუმცა მუცელში საშინელი ტკივილები ამივარდება ხოლმე ხშირადაო. ჩემს წინად ზეთი ეკურთხებინათ ავადმყოფისთვის. ამასთან გულის ფრიალიც გასჩენოდა. დასალევი ორნაირი წამალი გაუკეთე, მუცელ—საშვილოსნოზე წამლიანი კომპრესი დავადე, ეგრეთვე მარცხენა ძუძუზე, სადაც

გულია, იარას კი ხელი არ ვახელ, რადგან ქმარს უნდოდა, რომ იარის წამლობა ექიმს გაეგრძელებინა. 12 საათზე, შუადღისას, ჩამოვიდა ექიმი და ნახა რა მე ვწამლობდი ავადმყოფს, გაფხუკიანდა და გაიქცა. მე უკან დავედევნე და ვთხოვე, რომ პატრონი არ გითხოვს, რით მირბიხარ, იარას ისევ თქვენ უწამლეთ მეთქი, რადგან მეც მინდოდა, თავის თვალით ენახა, როგორ ხელად მოვარჩენდი დასალევ წამლით იმ იარას, მაგრამ არ მობრუნდა, თქვა: მე აქ მეტი ვყოფილვარო. პატრონი ამაზე შეწუხდა: ალბათ ავადმყოფის გამობრუნების იმედი აღარა აქვსო და კიდეც გაუხარდა, რომ თავის დანებების მიზეზი მიეცაო. მე დავამშვიდე: ნუ გეშინიან, სამ დღეზე ეგ იარა სულ გაქრება მეთქი და გაუხსენ იარა და ჯერ გამოვბანე: ნანეშტარალში წყალ-წამალი შევასხი, ყურიდან გამოვიდა, ყურის მილიც შეხვრეტილი იყო. მერე ბამბით ნადულ წყალში გაკეთებული წამლიანი კომპრესი დავადე. ბამბის წამალი შრებოდა და ჩირქით იჟღენთებოდა ბამბა და სამჯერ უცვლიდი დღეში. ბამბის გარდა ჩირქი ისეც ბევრი ჩამოსდიოდა ძირს, მინამ ბამბას ავაცლიდი, რაკი ჩირქს დასალევი წამალი შიგნიდან კარში ერეკებოდა, ამას გარდა ასაღები გავაკეთებინე წამლიანი ბამბა საშვილოსნოში და მდინარეობა გაეხსნა ისევ და მესამე დღეზე მართლა მთლად გამქრალი იყო ისეთი ქვასავით გამაგრებული სიმსივნე, ქმარს უჩვენე: აბა ნახე: ის სიმსივნე რა იქნა მეთქი? ნახა და მთლად დამცხრალი იყო ყბა და მარტო ნანეშტრალი-ღა, რომელიც, რაკი დასცხრა, სხვა ალაგას, ნიკაპ ქვემ გადანაცვლებულიყო და ძლივს ვიპოვეთ, არ ეტყობოდა და ამის მერე იარას წამალიც აღარ სჭირდებოდა გარეგნული და მისი ზადი სულ ფალარაჟობით და საშოს მდინარობით გამოვიდა და ათ დღეზე სულ ავაყენე ფეხზე ქალი და იმის მერე ავადაც აღარ გამხდარა. პირველად იარა რომ გაუხსენი, პირში რეზინის მილი ჰქონდა გაკეთებული ჩირქის თავისუფლად სადენად. ეს მილი გამოვაძრე და გადავაგდე. პატრონმა აიღო, გარეცხა და შეინახა: იქნება შენ იმედი გაგიცრუვდეს და ექიმი გახდეს მოსაყვანიო და ის ამ მილს მოიკითხავსო. მე უთხარი: დასალევი

წამალი ჩირქს სულ კარში გამორეკავს, არაფერი მილი არ უნდა, თუ ასე არ მოხდეს, თავი მომჭერი მეთქი და მართლაც ასრულდა ჩემი დაპირება. 3—4 დღეზე ექიმს დაებარებინა ქმარი და ესაყვედურნა: ჩემ მორჩენილზე ახლა რომ სხვა ექიმი დააყენე, ეგ რათ ჰქენიო? მორჩენილია რომ ყოფილიყო, გიჟი ხომ არ ვიყავი სხვა ექიმი მიმეყვანა და ფულები მეძლიაო; ვხედავდი ქალი სულ უკან მიდიოდა და გულმა არ გამიძლო და მიტომ სხვა მოვიყვანე, რომ თქვენთან ერთად ეწამლაო და თქვენ ხომ არ დაითხოვნიხართ, თქვენ თითონ გაანებეთ თავი ავადმყოფს და რათ გწყინსო? მთავარმა მაშინვე ყველგან, სადაც კი რამ სტკიოდა, წამლები დაადო. დასალევი წამლებიც ასვა და ახლა სულ მთლად კარგა არის და აღარც ტკივილი-და მოსდის, რომლის სიმწარითაც ავადმყოფი ლოგინსა ჰხევდაო, აბა მობძანდი, ფასს მოგართმევ, თქვენი თვალითა ნახეთო, ეთქო ქმარს. ამაზე ექიმს ეთქო: წამლები მე კი არა მქონდაო?.—დალოცვილო, თუ გქონდა, რაღას უყურებდი, 23 დღეს გელოდეო და მთავარმა კი სამ დღეზე მოარჩინაო. კარგი, ჩემი თავი კიდევ დაგჭირდება როდისმე, დაიცადეო... ექიმს ეთქო ორიოდე ვისმესთან: ვიღაც მთავარი მე წამლობაში მეცილება, ამისა ნება არა აქვსო, უნდა უჩივლოო. მაშინ მათ ეთქოთ: რომ ავადმყოფი მოეკლა და გეჩივლა, კიდევ ჰო, ახლა ავადმყოფი მოარჩინა და ჩივილით რას დააკლებო? მეც მინდოდა, რომ ეჩივლა და დამემტკიცებინა, როგორც ურიგ-მარიგოდ სწამლობდა ქვემო მოყვანილ პროფესორ სუბოტინივით და ჩემდა სასახელოდ დასრულდებოდა საქმე, მაგრამ ველარ მიჩივლა ამის გამო და ასე უნაყოფოდ გათავდა ჩვენი შეტაკება. ყველანი ცოცხლები არიან, ექიმიც ეხლა თელავშია, თუ სიცრუეს დამიმტკიცებს ვინმე ამაში, ასი თუმნის ჯარიმას გადაუხდი: თუ ჭეშმარიტება იქნება დაკული და არა ფულების მქონეთა ძალ-მორეობა: „არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა“.
**შოთა.**

ასეთი ჯადოსნური, უებარი თვისება აქვთ ამ წყალ-წყალა

წამლებს და ამიტომ დაბალმა ხალხმა მომიგონა: წამლით კი არ არჩენს, ჯადოსნობით არჩენსო და იმ ხნიდან დამანათლეს მეც მეტ სახელად „ჯადო“...

თბ. ექ. ქალთ სასწავლებლის საბჭოს წევრად ვიყავი. ჩემამდე ერთი ქალი შინ დაეთხოვნათ, გულ-ყრა ჰქონოდა. ერთი წელი შინ იყავიო და, თუ მორჩი, კიდე მიგიღებთო. ქალი მოიყვანა დედამ და თხოულობდა: მორჩა და მიიღეთ, ისწავლოსო. საბჭოს კრებაში სასწავლებლის ექიმს, გამოჩენილ ბეიერს, ჰკითხეს: შენ რამდენ ხანში შეგიძლიან ეგ ქალი გამოსცადო, რომ თავდებობა გაგვიწიო: სწავლის დროს აღარ მოუაროს გულყრამაო? ორ თვეშიო, სთქვა ექიმმა. მე ამაზე ვთქვი: ბატონებო ბ. ექიმი სცდება, 2 თვეში ვერას გაიგებს, რადგან მე გამოკვლეული მაქვს, რომ გულ-ყრა, ბნედა: ხან 6 თვეში ერთხელ მოუვლის, ხან წელიწადში ერთხელ მეთქი. ყველამ გადიხარხარეს: შაეტაკნენ ორი სხვა და სხვა მეთოდის ექიმებიო და იმ ექიმს ყურება დაუწყეს: რას იტყვისო? იმანაც თქვა: მართალია მ. მთავარიო. ქალი 13—14 წლისა იყო, კრიტიკულ ჰასაკში, დედათ წესის დაწყობის ხანში და, ჩემი შეხედულებით, ეს იყო სენის მიზეზი და მე ვთხოვე: ეგ ქალი ჩემთან იყოს, ჩემიდან იაროს სწავლაზე და მე გაუწევ თავდებობას, რომ სენი არადროს აღარ მოუვლის მეთქი, მაგრამ, დ. კეკელიძემ სულ დაგვათხოვნინა: დედამისმა გამლანძღა, გოროზი დედაკაციაო... რამდენს სხვათაც დასჯდომიათ ჩემი სიტყვები, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია ჩემი ნათქომისთვის, რა კი მეცნიერულად უნივერსიტეტში არ შემისწავლია ექიმობა. მე თუ ამისთვის არ მენდობიან, გადიკითხეთ № 130 „ზაკ. რეჩისა“ 1912 წ. სტატია: „невѣжество или небрежность“, სადაც პ—ბურღის საიმპერატორო სამხედრო უნივერსიტეტის პროფ. სუბბოტინზე სწერია, ვინც მან ურიგ-მარიგო აპერაციებით და წამლობით დახოცა ხალხი ტბილისში, რის გამოც ის აქედან გაიპარა. ამ ნასწავლმა რაღა სიკეთე შესძინა ხალხს? „ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო, ნათქომია და

როგორც ძნელად სანდობი და ყალბია გაბატონებული ალოპატიური წამლობა, ასეთივე იყოს ვითომც ელექტროგომეოპატიაც, ასე ჰგონიათ...

7. ერთი ჯეელი რაჭველი, ა. ქვათაძე, ფილტვის სიჭლექეში ჩავარდა. მე ურჩიე: თუ ელექტრო-გომეოპატიით იწამლებ, კარგა მორჩები მეთქი. მაშინ ის კონკაზე მსახურობდა და მუქთი წამლობა ჰქონდა, მაგრამ მუქთა წამლობა მიატოვა და ჩემი წამლობა დაიწყო. ამასთან ერთად ჯანის გასამაგრებლად კნეიპის მეთოდით ცივ წყალსა ხმარობდა ექ. დობრჟიცკისთან. მართლაც სამ თვეში მორჩა. ეს იმერელი ისეთი კუდიანი გამოდგა, რომ, როგორც თავისზე ისწავლა წამლობა, ისე მიჰყვა და სხვა და სხვა სნეულთ დაუწყო წამლობა და ისე განვითარდა, რომ მე მისწორდება. ერთ ეზოში მასთან ერთად მდგარიყო წილკნელი კაცი ივანე მახუტოვი. თებერვალში 1908 წ. მას ტვინის ანთებით შვილი ჰყოლოდა ავად შაქრო 17—18 წლისა, სახელოსნო სკოლის მოწაფე. ექიმებმა ხელი აიღეს: ამას აღარა ეშველება-რაო. მერე ამ ქვათაძეს უთქო: ექიმებმა ხომ ხელი აიღესო, მოდი, ერთი თუმანი გაიმეტეთ, ჩემი წამლები ვიყიდოთ და ვცადოთ, იქნება ამ წამლებით მორჩესო. ისინიც ნდობოდნენ: ეყიდნათ წამლები, დასალევები, ტუჟდ დასადებები, ტანში შესასხმელ-გამოსარეცხები. სიცხე 40 ნახევარი გრადუსი ჰქონდა, თავის ტკივილი, სახე დაპრანჭული, მხოლოდ აზროვნობა კაი ჰქონდა. ქალაქის ექიმი, ჯერ ისევ ცოცხალი ყასუმოვი ყოველ დღე დადიოდა ყურის საგდებლად, წამალს კი არას უწერდა, გარდა ქინაქინისა, რომელიც სულ იმას გაიძახოდა: მორჩენას, სიკვდილი სჯობიაო, თორემ ყრუ-მუნჯი და ტვინ გალაყებული გამოვაო. სხვათა შორის ჩვენი პატივცემული ექ. ვანო გომართელიც მიეყვანათ, მასაც უიმედოთ ეცნო ავადმყოფი და დედმამის დასამშვიდებლად უფრო, რადაც მტვერი გამოეწერა და ერთი წურბლის მოკიდება ეთქო. მაგრამ ამ არაფერი ესენი არ უხმარიათ. ავადმყოფს მთელ ავადმყოფო-

ბის განმავლობაში ჰაზრი კარგი ჰქონდა და 21 დღეზე სულ მორჩა თავანკრად, არაფერი არ დაშავებია. სწავლა გაათავა და რკინის გზის სახელოსნოში ოსტატად შევიდა და ჩუღურეთში თამარის ქ. დგას № 37.

8 მასვე, 1910 წ. მარტში, ორივე ფილტვის ანთება დამართოდა. მაშინაც ჩვეულებრივ ქვათაძეს მიმართეს და 3 კვირაში მოარჩინა, რისთვისაც მადლობის ნიშნად ახალ ნაყიდი გრამოფონიც კი აჩუქებინათ ზედ წარწერით. როცა განსვენებულ ექ. ყასუმოვს ენახა, გაკვირვებით ეთქო: შენ რა სურდოსავით ადვილად ხდილობ ამ ძნელ სატკივრებსაო? დედმამას და თითონაც ამაზე ეპასუხნათ: ელექტროგომეოპატიურმა წამლებმა უშველესო. ამაზე ცხონებულს ეთქო: ჰო, ამბობენ კაი წამლებიაო, ჩვენი ექიმები კი არ ხმარობენ, არც მე მიხმარია რამეშიო. სწორეთ ამ უყურადღებობის ბრალია კიდეც, რომ მას, საწყალს, თავის ავადმყოფისგან სახადი გადაედო და თითონ სალი ადამიანი მოკვდა და სნეული კი მორჩა, თორემ ელ-გომეოპატია რომ კარგად სცოდნოდა, ისე ვერ ითამაშებს სნეულება, როგორც ალოპატიას არ ეპუება ხოლმე და ჩანასახშივე იქნებოდა მოსპობილი სენი ელ-გომეოპატიის წამლებით. ერთი ექიმი-გომეოპატი პეტერბურღელი, ლევ დავითის ძე ფრენკელი, მწერს 1912 წ. 14 ქრისტიშობისთვიდან: იურიევის უნივერსიტეტი გავათავე 1886 წ. ქირურგის და თვალის ექიმობის სპეციალისტადო და სოფელში მამიხდა გამწესებაო. ჩემ სპეციალობას კი არ კითხულობდნენ სნეულნიო, არამედ ყველანი მოდიოდნენ: შემომტიროდნენ და მეხვეწებოდნენ: გვიწამლე, გვარგე რამეო. ვხედავდი, რომ ჩემ სპეციალობით ფონს ვერ გავიდოდიო და ამდენი სნეულნი სად და ვისთან გამეგზავნა, რომ თავის სნეულების სპეციალისტები ეძებნათ და მათს გზაზე ეარნათო? მეც არ ვიცოდი მათი სიბრალულით: რა მექნაო? შემთხვევით გავიგე, რომ გომეოპატიური მეთოდით ერთ კაცს ყველა სნეულობის წამლობა შეუძლიანო და მოვკიდე მედგრად ხელი გომეოპატიის

შესწავლასაო, მერე ელექტროგომეოპატიაც შევისწავლე ჩემთან მეზობლად მდგარ სტეფანე ვლადიმერისძე სმირნოვისგან, რომლისგანაც თქვენც შეგისწავლიათ წამლობა მიწერ-მოწერითი, გამოჩენილ საზღვარ გარეულ ელექტროგომეოპატებთანაც გავმართე მიწერ-მოწერაო და ეხლა სრულიად კმაყოფილი ვარ ჩემი ბედისაო და ყველა ავადმყოფობას ერთსა და იმავე დროს და კარგადაც ვწამლობ და პურის ჭამისთვისაც ვერ ვპოულობ დროსაო, არა თუ კლუბებში ვიარო ზოგი ექიმებივითაო დროს გასატარებლადაო ე, ი. დროს მოსაკლავადაო.

„შენ მაინც თქვი რამ, ბერო კაცო, ნასმენ ნახული: ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა“, შენ მაინც მითხარ, ჩვენი ექიმები რომ კაი ქართველობით და კაი ბიჭობით მოჰკვეხენ, რატომ ასევე არა შვრებიან?

აბა ჩვენში სოფლად რომელი ექიმი მოიქცა ბ. ფრენკელსავით? თითქო არაფერიაო, ისინი თავის სპეციალობის გარეითად ყველა სნეულს თბილისს მოერეკებიან... განა იმ ნაირი ვაჭირება, რამაც ბ. ფრენკელს გზა შეაცვლევინა, ჩვენს სოფლებში კი არ არის?...

გამოკვლეულია, რომ სამარხო საჭმელი უფრო მეტხანს აცოცხლებს ადამიანს, ვიდრე სახსნილო. ამიტომ სოფლის მცხოვრებნი. რომელნიც სახსნილოს იშვიათად ხვდებიან სისაწყლის გამო და უფრო სამარხოთი იკვებებიან, შედარებით ქალაქელ მცხოვრებლებზე მეტს ცოცხლობენ, თუმცა გაფრთხილება თავის თავისა სოფლელებს თითქმის სულ არა აქვსთ და გაფრთხილება რომ იცოდნენ რიგიანი, მაშინ ხომ უფრო მეტს იცოცხლებდნენ. ამ წამლობაში სამხსნილოს ჭამა აუცილებლივ საჭირო არაა, როგორც ალოპატიაში, მხოლოდ მჟაველობას უნდა ერიდოთ სამარხოშიც, რადგან სიმჟავე, უფრო ძმრისა და ლიმონისა, სჭრის წამალს და უსარგებლოს ჰხდის მას სნეულების მოსარჩენად. ამიტომ, ვისაც შაემთხვევა მჟავიანის ჭამა-სმა, 5—6 საათზე ადრე ჭამის შემ-

დეგ დასალევი წამალი არ უნდა იხმაროს. უბრალო, უმჟაო საჭმლის ჭამის შემდეგ კი საათი უნდა გავიდეს და მხოლოდ ამ-ს მერე შეიძლება ხმარება დასალევი და გარეგნული წამლებისა. კუჭ-ნაწლევების ავადმყოფობის დროს მარილიანი საჭმელი, რომ რულ არ იხმაროთ, უკეთესია, რადგან მარილი ხრუსტავს და სწვავს ნაწლევებს და საჭმლის მონელებას უძნელებს. აგრეთვე, თუ სახსნილოს სულ აიკვეთავენ ასეთი სნეულნი, ხშირად თავის თავად ურჩებათ კუჭის სნეულებანი. ქართველობაში კი ისეა გავრცელებული საზოგადოდ აზრი, რომ უმარილოდ კუჭი საჭმელს ვერ ინელებსო. ეს შეხედულება მეცნიერებისაგან და ცხოვრებაში უარყოფილია. კუჭ-ნაწლევების ავადმყოფობა იმერეთში უფრო ხშირია, ვიდრე სხვაგან, რადგან იქ უფრო ეწყობიან მლაშე საჭმელს, ვიდ-რე საქართველოს სხვა კუთხეებში. ბუასილი ქრისტიან ხალხში უფრო გავრცელებულია, ვიდრე თათრებში, რომელთაც შველით ხშირი ბანვა წინა და უკანა ტანისა, ამიტომაც მათს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებადაა დადებული ფარული აზრით, ვითომ ღმერთს ასე ესიამოვნებოდეს და ამ გვარმა სნეულებმა, რომ მათებრივ გამობანვა შემოიღონ ყოველ „საჭიროებ-ს“ დროს, ბუასილისაგან უწამლოდაც მორჩებიან. ჰამ ამ გზით ტანი იწრთობა და მაგრდება და ადვილად აღარ ცივდება და გაციება ხომ ყოველ სნეულების წარმომშობია. მხოლოდ გამობანვას სიფრთხილით უნდა შეაჩვიოთ, ნელ-ნელა, რომ რგების მაგიერ, არ გასცივდეთ და ვნება არ მოგვცეთ, ამიტომ ერთბაშად-სწრაფად უნდა გამობანვა და არა გრძლად. ბუნებაში ისეა კანონი, რომ ძაფი, საცა წვრილია, სწორედ იქ გაწყდება ხოლმე და დასნეულებულ ადამიანის საქმეც ისეა, რომ, თუ სიცივემ ან საჭმელ-სასმელმა აწყინა, სწორედ იმ ალაგას აწყენს ხოლმე, საცა სატკივარი აქვს და ამ გვარადვე სწორედ ეს მტკივანი ალაგი იზიდავს შესაგვანს, კარგ წამალს, როგორც თივა ცეცხლს და ელექტრო-გომეპატიური წამალიც იქ მოხვდება ხოლმე ნა-

პერწკალივით.

ერთ წიგნში „Тайны индусовъ" მოყვანილია რამდენიმე კაი რჩევა ჯან-მრთელობისთვის და მათ უტყუარ სარგებლობის გამო აქაც მოვიყვან. კარგია სუფთა ჰაერზე ძალიან ღრმად სუნთქვა (სიცივეში ცხვირით უნდა უეჭველად). რომ შეისუნთქოთ უნდა დაიჭიროთ ჰაერი გულში, რაც შეიძლება მეტ ხანს და **ერთბაშად** გამოისუნთქოთ ოციოდეჯერ.

ინდოეთში ყოფილა გძელ კისერა ფრინველი იბისი. ავადმყოფობის დროს ნისკარტით შეისხავს ხოლმე წყალს უკან ტანშიო და ინდოელებს მისგან აუღიათ მაგალითი და ვისაც ხშირი ყაბზობა აქვს ან, ისე გაციებით ავად გახდომისას, ჯერ ორ ჩაის ჭიქა ცივ წყალს გამოივლებენ. ერთი დღის მერე სამ ჭიქას, ერთი დღის მერე ოთხ ჭიქას, კიდევ ერთი დღის მერე 5 ჭიქას და ასე სვენებ-სვენებით ადიან 8 ჭიქამდე და კუჭ-ნაწლევების ან გაციების სნეულობა ყველა-ფერი უწამლოთ ურჩებათ. ეგრეთვე უნდა პატარაობიდგანვე დააჩვიოთ ბავშვები რომ საჭმელი აუჩქარებლივ, კარგა დაღეჭონ და მუცლის სენი ასცილდებათ ყოველ-ნაირი. ეგრეთვე კარგია თუ ტიტველად, დედიშობილად, შეაჩვევთ ლოგინში წოლას. მე დიდობისას ვერ შევეჩვიე ამას და ტიტველა ზაფხულშიაც კი გავცივდები ხოლმე და ეს განზრახვა სულ მივატოვე. თორემ ისე ჭირ-კოდილა ვარ, რომ ფეხიშველა გავიარო იატაკზე, მაშინაც ვცივდები და ბრალიან უბრალოდ წამლებსა ვსვამ.

საჭიროდ ვცნობ მოვიყვანო ორი სამადლობელი წერილთაგანი ჩემი მკურნალობის შაგირდთაგანისა, გამოგზავნილი თბილისის ქალაქის ფოსტით დაზღვეულ კონვერტით № 544, დამამტკიცებელი ყველა სხვა წერილებზე უკეთ: ამ წამლობის უებრობისა და ადვილად შესწავლისა ექიმობის უცოდნელ კაცისაგან.

9 დიდათ პატივცემულო მამაო მთავარო ნიკოლოზ!

უწინარეს ყოვლისა მრავალ-მოწყალე უფალს შევსთხოვ

თქვენს ბედნიერებით დღეგრძელობას ღვთის სადიდებლად და საზოგადოების სასარგებლოდ.

ჩემი თქვენდამი უსაზღვრო მადლობის გრძნობა ვერ გამოითქმება არამც თუ ამ მცირე ბარათში, არამედ მთელი გაზეთის ფურცელზედაც კი, მაგრამ ვინადგან მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვინ სასიამოვნოა არა მრავალ-სიტყვაობით ქება-დიდება თქვენი, არამედ მოკლედ აღნიშვნა იმ ფაქტისა, რომ თქვენმა რჩევამ სარგებლობა მომიტანა, ამიტომ მეც, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავ თქვენი რჩევის სარგებლობას. ჯერ კიდევ 1909 წელს თქვენ, ხედავდით რა, რომ მე, მიუხედავად ჩემის მხრით ყოველგვარ მოვლა-პატრონობისა, თითქმის ყოველ წელს შვილები მეხოცებოდა, მირჩიეთ, რომ შემესწავლა ელექრო-გომეოპატიური საშუალობით წამლობა და მარწმუნებდით, რომ თუ ამ საშუალებას ვიხმარ, შვილები აღარ დამეხოცება.

პირველ ხანში მე ამ თქვენს სიტყვებს მნიშვნელობა არ მივაწერე, მაგრამ შემდეგ კი გადავწყვიტე მეცადნა, ვინაიდან მე, ჩემი შვილების გამო, ყოველ გვარი რჩევა მიმიღია (თუმცა სარგებლობა კი არც ერთისგან არ მინახამს), და ვსთქვი: მოდი, ამასაც ვსცდი მეთქი. გულმოდგინედ შევუდეგ მე ამ წამლობის შესწავლას (უფალმა აცხონოს მისი მომგონი და ამ წამლობის წიგნის (კარაბადინის) შემდგენელიც) და შემდეგ ვსცადე ცოლზედაც და შვილზედაც მათი ავადმყოფობის დროს და ორივე შემთხვევაში ჩინებული შედეგი მოჰყვა. რამოდენიმე სხვა პირებზედაც ვსცადე სხვა და სხვა ავადმყოფობაში იმ საშუალებათა სარგებლობა და მუდამ სასურველი შედეგი მოჰყოლია. სხვათა შორის შარშან ზაფხულში, ჩემს სამშობლიო სოფელში საგარაკოდ ყოფნის დროს, ძლიერ ავად გამიხდა ცოლი. ავადმყოფობის გამოსარკვევად მოვიწვიე იმ ჟამად იმავე სოფელში მყოფი ექიმი შ—ძე, რომელმაც გამოარკვია, რომ ავადმყოფს აქვს ფილტვის ანთება და პლევრიტიც, გამოსწერა წამლები. მე ის წამლები აფთიაქი-

დან მოვიტანე, ხმარებით კი არ მიხმარნია—ვიფიქრე: მოდი ამ ავადმყოფზედაც ვსცდი ელ.-გომეოპატიას მეთქი და, თუ არგო ამ ორსამ დღეში, ხომ კარგი, და თუ არავითარი უკეთესობა არ შევატყე, ექიმის წამლებზე გადავალ მეთქი. ვცადე და აქაც ისახელა თავი ელ.-გომეოპატიამ: ავადმყოფს უკეთესობა შეეტყო.

მესამე დღეს თავისით მოვიდა ექიმი, გასინჯა ავადმყოფი დაინახა რა, რომ უკეთ იყო, ძლიერ გაუხარდა (იმას ეგონა იმის წამლებისგან იყო). ორი დღის შემდეგ კიდევ ინახულა ექიმმა ჩემი ავადმყოფი და სთქვა, რომ: ეხლა სულ მთლად მორჩენის გზას ადგიაო, მაგრამ შეამჩნია რა კამოდზე მის მიერ გამოწერილი წამლები ხელუხლებელნი-დაბეჭდილნი, გაკვირვებით მკითხა: კაცო, ეს წამლები არ გიხმარიათო? მე ვუპასუხე: არა მეთქი. მაშ როგორღა მორჩა ავადმყოფიო? მე აუხსენი საქმე რაშიაც იყო და დაუმატე, რომ: მე იგი მოვიწვიე მხოლოდ ავადმყოფობის გამოსარკვევად და არა საწამლებლად. რაც შეეხება წამლებს, ჩემი წამლები უფრო უებარია, ვიდრე თქვენი მეთქი. მან სთქვა: მე ამ წამლობისა არა მჯერა რა, შეიძლება ავადმყოფი მთლად არ მორჩეს და უფრო უარესად შეუტიოს ავადმყოფობამაო და, თუ ღმერთი გწამთ: არსად არა სთქვათ, რომ მე ვსწამლობდი თქვენს ავადმყოფსაო. ამაზე მე შევეკითხე: ეხლა ხომ უკეთ არის მეთქი?—ეხლა, კიო! მაშ, შემდეგ უფრო უკეთ იქნება და მთლადაც მორჩება მეთქი, რადგან ამ წამლობის თვისება ისეთია, რომ, თუ ერთი არგო, მთლადაც მოარჩენს და ავადმყოფობას ძირიანად მოსპობს მეთქი. გადუხადე ჰადლობა ყურადღებისთვის და ექიმი წავიდა. მართლაც არ გაუვლია 2 კვირას და ჩემი ავადმყოფიც მთლად მორჩა ორსული დედაკაცი და მისთვის რომ ალოპატ ექიმებს ეწამლათ, თუ თითონ გადარჩებოდა, თორემ მუცელი კი უეჭველად წაუხდებოდა, როგორც ბევრს სხვას მოსვლიათ და ამ წამლობით კი ყველა უბედურებანი იქმნა აცილებული.

ამ რიგად: რამოდენიმეჯერ დავრწმუნებულვარ ამ წამლობის უტყუვრობაში და სარგებლობაში, მაგრამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე ამ საშვალებით ავადმყოფთა მორჩენას, როგორც მოახდინა ეხლა-ხანს ჩემი პატარა ძუძუმწოვარა 11 თვის ბავშვის მორჩენამ ძლიერ ავადმყოფობიდან: ორივე ფილტვების ანთებიდან. როგორც მოგეხსენებათ: დიდების წამლობა და მორჩენა ბევრათ უფრო ადვილია, რადგან თვით ავათმყოფი, რამდენადაც არის, ხელს უწყობს თავის მორჩენას და უფრო შეგნებულად ეპყრობა ავადმყოფობასაც და წამლობასაც, ხოლო უსუსური ბავშვის მორჩენა ერთი ორად ძნელია და ეს სიძნელე ვერ გადასძლიეს ვერც ერთმა აქაურმა „ნაქებმა“ ექიმებმა „დოკტორებმა“-რომლებმაც ჩემი ხუთი უსუსური ბავშვები გაამგზავრეს საიქიოსკენ, რითაც მე სამუდამოთ დამიკარგეს ყოველგვარ „დოკტორებისადმი“ ნდობა. მაგრამ ის, რაც ვერ შესძლეს „გამოჩენილმა დოკტორებმა“ ალოპატიისამ, შესძლო მარტივმა ელექტრო-გომეოპატიამ, და ჩემი ბავშვი, რომელიც 1-ლ ამ თვეს გახდა ძლიერ ავად ორივე ფილტვების ანთებით, დღეს 16 დეკემბერს, მთლად კარგად არის და ამ სიხარულის გამო ჩემში მოგროვილმა თქვენდამი უღრმესი მადლობის გრძნობებმა მაიძულეს მე ამ მცირე ბარათით მეძღვნა თქვენთვის ჩემი უმხურვალესი მადლობა და გულწრფელი სალამი. ჩემს ზნეობრივ მოვალეობად ვრაცხ: ყოველთვის მადლობით და კურთხევით მოგიხსენიოთ თქვენ, რომლის რჩევის წყალობით მე ეს ერთი ბავშვი მაინც გადავარჩინე აუცილებელ სიკვდილს, ვინაიდან დარწმუნებული ვარ: „დოკტორებისთვის“ რომ მიმემართნა საშველად, ისინი ამ შემთხვევაშიც ისე „მიშველიდნენ,“ როგორც იმ ხუთი ბავშვის ავადმყოფობის დროს „მიშველეს“. სხვათა შორის ერთი ჩემი ბავშვი სრული 2 თვე აწამეს მათ (სამმა ექიმმა), მაგრამ მაინც ფილტვის ანთება ვერ მოურჩინეს და რომ ვერა გააწყეს რა, ბავშვიც აქაურობას სამუდამოდ მოშორდა.

ყოველივე ეს, რა საკვირველია, მე სიტყვიერადაც შემეძლო გადმომეცა თქვენთვის, მაგრამ, ვინაიდან სიტყვიერად, თქმული მალე დავიწყებას ეძლევა და ადამიანის მახსოვრობიდან მალე იპარება, ხოლო მე კი, რადგან მსურს, რომ ეს ჩემი თქვენდამი მადლობის აღიარება დავიწყებას არ მიეცეს, ამიტომ გწერთ ამ მადლობის წერილს, ვითარცა ნივთიერი დამამტკიცებელი ჩემი თქვენდამი უგულწრფელესი მადლობისა. მარად თქვენი ერთგული და პატივის მცემელი—ტიტულიარნი სოვეტნიკი ნესტორ ლუკას ძე შავდია.

16 დეკემბერს 1911 წ. ქ. თბილისი.

გაზეთ „ცისარტყელადამ“ № 1—1907 წ. გადმობეჭდილი. წერილი რედაქციის მიმართ.

მცხეთელმა საქონლის ექიმმა, ბ. გიორგი რომანოზის ძე მრევლიშვილმა, ამ 11 თვის წინად მოწვეებიან სანაძლეოსავით დამავალა ნათესავ ქალის მორჩენა, რომელსაც 27 დღის გაძვებული ფილტვის ანთება ჰქონდა და შეშინებულიც იყო; გასამრჯელოში დამპირდა, რომ ავადმყოფის პატრონებს მოაცემინებდა ათ თუმანს, თუ მოვარჩენდი, და თავის მხრიდანაც ერთ თუმანს. მე ავადმყოფის ნახვისა-თანავე დავპირდი მორჩენას და მოვარჩინე კიდეც ელექტრო-გომეოპატიური წამლობით და ამდენ ხანში მას ფრჩხილიც არ წამოსტკივნია. ამიტომ ვთხოვ ბ. გ. რ. მრევლიშვილს: ან აასრულოს თვისი დაპირება და ან იკისროს სამედიატორო სამართალი საქმის გამოსარკვევად, მათი განაჩენის გაზეთში დაბეჭდვა და ჩემი მოსალოდნელი ხარჯიც. მედიატორეებად ვნიშნავ ჩემის მხრით: ამ საქმის მოწმეთ, მცხეთელ მღვდელთ: მოძღვართ-მთავარს (ბლაღოჩინს) მ. აბრამ ტარიელაშვილს და მ. გრიგოლ გძელიშვილს, თქვენის მხრით თქვენ ამოირჩიეთ. ვადას ვდებ ერთ კვირას. თბ. ქვაშვეთის მთავარი ნ, ოქრომჭედლიშვილი.

ეს წერილი დაიბეჭდა 16 დეკემბერს 1907 წ. და თებერვლის 20 შიო მღვიმეში სულით განათლებულ ეპ. ალექსანდრეს მოხსენების წირვაზე მიმავალმა მცხეთას გავიარე. ბ. გ.

მრევლიშვილი შემთხვევით ვნახე და ძალიან გაოიწყრა: გაზეთში რად ჩამაგდეო, მოხვიდოდი ჩემთან სახლში და თუმან ფულს მიიღებდიო. მე ამაზედ უთხარი: ამ ერთი წლის განმავლობაში შენ ბევრჯერ შეგხვედრივარ ქალაქშიც და მცხეთაშიც და რამდენი წერილი გამოგიგზავნე, მაგრამ შენ არც პირადათ მომეცი ფული და არც ფოსტით გამომიგზავნე მეთქი.—ფოსტით მე პირობა არა მქონდა, რომ მამერთმიაო, ბძანა მან და მიმიყვანა ზ. ტუშურაშვილის დუქანში და მასთან მითხრა: აი ამას გადავცემ ერთ თუმანს და ამისგან ჩაიბარეო და ჩავიბარე კიდეც ზაფხულში. ამაზე განაწყენებული ბ. მრევლიშვილი, ჩემი სკოლის ნაამხანაგარი, ამაზედ გამებუტა, ხმას აღარა მცემს და თავის ბიძის, ექიმ მრევლიშვილის, ქელეხშიაც არ მიმიპატიჟა ამის გამო. ნათქვამია: სიმართლით მოპრილი ხელი არ მეტკინებაო", შოთამ რომ სთქვა: რაც კოკაში სდგა, იგივე წარმოსდინდებაო, მაგრამ იმ გვარ ხალხთან ასე არ გამოდგება. თუ შეგიპამა ვინმე რამე, უნდა თავი მიანებო და არ წაართვა. მე კი ასე არ შემეძლო მოვქცეულიყავ, რადგან ავადმყოფის პატრონებმაც არა მომცეს რა და არც მრევლიშვილისგან მიმელო, რას ვჯავნებოდა, მაშინ, როდესაც ორ კვირას დავდიოდი ორ დღეში ერთხელ ტბილისიდან მცხეთას ავადმყოფთან და წასვლა-მოსვლაში და წამლებში ჩემ ფულს ვხარჯავდი, რაც ბატონ მრევლიშვილმაც კარგა იცოდა.

აბა, მოდი და იკეთილე იქ, სადაც ბ. მრევლიშვილისთანა უსამართლონი შენს ზარალს ფიქრობენ და მორჩენის შემდეგაც არ გაძლევენ დაპირებულ წამლის მცირე ფასს.

ბ. მრევლიშვილი ორი მდიდარი ბიძების 1/2 მილიონიან სამკვიდროს მაგრა დააჯდა და ქართულ სქმეებისთვის კი ორიოდე გროში **მათ მაგიერ ძლიგს** გაიმეტა. ამ წიგნში ახსნილ ჩემი წმინდა მიზნის წინაშე თუ მან თავი არ მოიხარა მოწიწებით და ბოდიშიც არ მოიხადა, რასაც და როდისაც დავბეჭდავ ელ-გომეოპატიაზე, ნიადაგ მის ასეთ პატიოსნებასაც მოვიხსენებ და გეროსტრატობას...

10. ვექილი ბ. ვ. ზედგინიძე, (ბარონის ქუჩა № 30 საკ. სახლი) როცა სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, არტრეტიზმი გასჩენოდა: ქარები ხერხემალში, სიმსივნე ფეხებისა და შარდის წითელი ლექით, კბილში ზადი და სხვა ტკივილები. პროფესორ პოდვისოცკის ეთქო, რომ: წითელ ბადრიჯანს ნუ სჭამო და თავს გაუფთხილდი, თორემ სიცოცხლეს ჩქარა გამოესალმებიო. ახ ია ბრმა ნაწლევის ანთება მოსვლოდა და ძლივ სიკვდილს გადაერჩინათ. როცა სწავლას მორჩა, ელ-გომეოპატიას გავაცან და მიჰყვა ბეჯითად წამლობას და სულ ყველაფრიდან მორჩა და კარგათ არის და მისი გამფრთხილებელი პროფესორი კი წუთი სოფელს უკვე გამოესალმა. 1912 წელს კიდევ მოუვიდა წინანდელივით ბრმა ნაწლევის ანთება, მაგრამ ამ წამლებით სურდოსავით ადვილად მოირჩინა თავი. ნაცნობ-მეგობრები ჰკვირობდნენ: ეგ როგორი ბრმა ნაწლევის ანთებაა, ის ისე ადვილი არ არის, როგორც შენა ხარ და ის მათ ეუბნებოდა: თუ ელ-გომეპატიურ წამლებს არ ვიხმარებდი, მაშინ ეს სენი ჩვეულებრივ მამქანჩავდაო, მაგრამ ელ-გომეოპატიურ წამლებს კი ურჩობას ვერ უბედავსო.

11. კბ. ექიმს კაჰკაჰოვს სამი დღის ლეკვი მიეცა მისთვის სან-ბერნარის ძაღლის ჯიშისა და მასთან ერთად სხვებისთვისაც მიეცა, მაგრამ სხვებს ყველას დაეხოცათ და ბ. ზედგინიძემ კი რეზინის ძუძუთი, სკროლაოზის მესამე დოზის გარევით, (მეორე დოზა რძეში გაკეთებული კი ვერ აიტანა, სულ წკმუტუნებდა, თითქო მუცელში ჩხვლეტენო), გამოარჩინა და ეხლა კეება ძაღლია და კაჰკაჰოვს გაკვირებია: მე სრულიად იმედი არ მქონდა, რომ უდედოდ ვინმე გამოზრდიდა მაგ ლნკვებსაო, შენ როგორ მოახერხეო? ელ-გომეოპატიური წამლები ვახმარე და ძალიან ადვილად გამოიჩრჩნა ჯერ ისევ ბრმა ლეკვიო, ვერც რძემ აწყინა და ვერც ზამთრის სიცივემაო, მიეგა მას.

12. სამსჯავრო პალატის წევრს ბ. კოვანკოს შაქრის

სენი გაუჩნდა. ბ. ზედგინიძეს ესწავლებინა ელ-გომეოპატიური წამლობა და თუმცა მეტის მეტად ვერ ბიჯითობს წამლობას მოუცლელობის გამო, მაგრამ მაინც შარდის დანაწილების (ანალიზის) დროს კი ექიმები შაქარს ვეღარპოულობენ შარდში და თუ ბეჯითად მოეკიდება ამ წამლებს, როგორც ნიშნებზე ეტყობა, ადვილად მორიჩენს თავს 62 წლის კაცი. ყველასავან ცნობილი ბ. ანდრია კაპანაძეც შაქრის სენიდგან ამ წამლებით მორჩა, რომლებიც მას უფეშქაშა ბ. ანტონ ფურცელაძემ. რომელმაც თვითონ კი ვერ გამოიყენა ეს წამლები ელ-გომეოპატიის კარგა ვერ შეგნების გამო.

13. 76 წლის ბებერს მის მამიდას თვალქვეშ მუწუკი გამოუვიდა. ექიმები სხვა და სხვა რამეს ამობდნენ, მაგრამ თვით ბ. ზედგინიძე ამობდა; კუი იქნებაო, რადგან კუის წამლების მეტი, სხვა წამლები ვერაფერ გავლენას ახდენენ მუწუკზეო. ერთხელ კიდეც მოარჩინა ეს დედაბერი, მაგრამ ეს წამლობა არ მოსწონდა: თუ კი რაც მინდა და რაც მ ყვარს, მარხვის შეავე საჭმელებს, ვერ ვჭამ, ისეთი სიცოცხლე რათ მინდაო და მარხვას კი, რაც გინდა ჰქნათ, არა ვჭამო. სამი წელი ძალი-ძალად აცოცხლეს, მერე ბებერმა აღარ ინდომა წამალი: „სიკვდილის დრო მაქვს შვილო, რაში მინდა თქვენი წამლებიო“. ამაზედ იფეთქა მუწუკმა და მაშინ კი ყველა ექიმები ამობდნენ: ნამდვილი კუი ყოფილაო და იარას, მინამ არ გამოირწყვება და არ გადმოკუპუჭდება, ექიმები ხომ კუვს არ ეძახიან, როცა დაამტკიცებენ, რომ ნამდვილი კუიაო და ვეღარც ელ-გომეოპატია შველის, რადგან იმ დროს სისხლს მეტის-მეტად ჩქარა სწამლავს და სნეულიც წამლობას ვეღარ იტანს.

დიდად პატივცემულო, მ. ნიკოლოზ!

14. ცხოვრება ადამიანს ისე დააშორებს ხოლმე ერთმანეთს, რომ ერთხელ ნახულ კაცს სიკვდილამდის-კი ვეღარ ნახამ,—თუნდაც რომ დიდათ პატივსაცემი და სასარგე ლო

ადამიანიც იყოს იგი. მე წავიკითხე (და ბევრმა აქაურებმაც), ყველა დიდის ცნობის მოყვარეობით კითხულობდა, „ნუ თუ ქართველიც აქნება ისეთი ჭკვიანი და გამოჩენილი ადამიანი, როგორიც არის „606“-ს გამომგონი და ახლა, როგორც სწერია „ნოვ. რეჩ.“ 210 ნომერში მთ. ოქრომჭედლიშვილიო“... მე იმ წერილმა მომაგონა თქვენი თავი თელავში ყოფნის დროს, როდესაც მე 9 თვის ბავშვი ავათ გამიხდა—თავპირი დაუსივდა, დღე და ღამე კნაოდა, ძუძუს აღარ სწოვდა. მაშინდელმა იქაურმა ექიმმა მიტროფანოვმა ვერა უშველა რა და უკანასკნელათ აიღო მან ხელი ავადმყოფზედ — ჩვენც იმედ დაკარგულები ველოდით ჩვენი პირმშოს აღსასრულს!.. აგრამ იმ დაძმარების და დაღონების დროს თქვენ შემოხვედით ფოშტასთან მხსნელ ანგელოზათ, გამომკითხეთ ჩემი მწუხარების ამბავი და მაშინათვე სახლში გამომყევით. ნახეთ რა ბავშვი მიტრაფანოვის წამლებით მოთხუპნული, გვიბძანეთ—„მოიტანეთ წყალიო“—გაჰბანეთ, წმინდა წყალში რაღაც ჰიანჭველის კვერცხის ტოლა ჩააგდეთ, გადაიღეთ შემდეგ ჰიქაში და ბავშვს ჩაასხით პირში, შემდეგ დედასაც დაალევინეთ, ბავშვს კიდევ ტილო დასველებული დაადეთ თავზედ—იყო საღამოს 9—10 საათი. ბავშვმა მყისვე დაიძინა—ჩვენც ღამე ნათევებს ჩაგვეძინა—თქვენ კი ყარაულათ დაუდექით ბავშვს. მეორე დღეს ვნახეთ ბავშვი, ჰოი საკვირველებავ: პირისახე დასცხრობია—ძუძუ მოითხოვა და იმ დღიდან კარგათ შეიქნა და დღეს ის ბავშვი მესამე კლასის გიმნაზიელია... მე არ მინდა მ. ნიკოლოზ, ამ წერილით რამე რეკლამა გაგიკეთოთ—რადგან თქვენი საქმენი — თქვენ თითონ გადიდებენ— ვისაც არ გამოუცდია თქვენი უებარი წამლობის ძალა, ის არ დაიჯერებს—რა საკვირველია— ხოლო ჩემისთანები, რომელსაც გამოუცდია, დიდის მადლობით მოგიგონებენ თქვენ... იქ—თელავში თქვენ მრავალი მოარჩი-

ნეთ, მაგრამ სამწუხაროთ, არ მახსოვს მათი სახელი და გვარი, რომ ჩამოკთვალო...

თქვენი მარად პატივის მცემელი ტროფიმე ანარიძე.

ბათუმი 23 ეკენისთვე, 1910 წ.

ეს ამბავი, ძნელ ათაშანგის მორჩენაზე გაზ. „ნოვ. რეჩისაგან“ შარშან იყო დაბეჭდილი. ეს წერილი დავწერე მაშინ და დახეთ ჩემს გულმავიწყობას—ფოშტაში ჩაგდების მაგივრათ, ჩემს ქაღალდების უჯრაში ჩამიდვია—ეხლა შემხვდა და მაინც გიგზავნით, ვგონებ ინტერეს მოკლებული არ იქნება თქვენთვის. 19 კეკტ. 1912 წ. ტრ. ა—ძე.

ამ წელს აღდგომას გავიგე, რომ ექიმს ბ. გომართელს ყმაწვილი გახდომოდა ქუნთრუშით (скарлатина) ავათ. ნაცნობ-მეგობრობით მე მივწერე წერილი: თუ მიკადრებ, ნება მიბოძე, მოვალ ავადმყოფ ბავშვს უწამლებ და უეჭველად მოგირჩენ დაუზიანებლივ ქუნთრუშიანს და თუ ყველას ჯერ არ შეჰყრია, სენის შეუყრელად გადაგირჩენ-მეთქი.

ამაზე მომივიდა მისგან წერილი:

ბ. ნიკოლოზ!

თუ ქრისტემ თავის მოწაფეებს ფეხები დაბანა, ჩვენ ვინა ვართ, რომ ერთმანეთი არ ვიკადროთ, მაგრამ ქუნთრუშის წინააღმდეგ არსებობს ძალიან კარგი საშუალება — კანქვეშ შესასხმელი შრატი. ორივე ბავშვს გაუკეთე და ამ ჟამათ ორივე კარგათ არის...

მჯერა, რომ თქვენს ექიმობის მოძღვრებაში ჭეშმარიტებაც არის; გაქებთ, რომ ასე მტკიცეთ იცავთ მას, თუმცა ვერ დაგეთანხმებით, რომ კუს არჩენდეთ, როგორც თქვენა სწერდით გაზეთებში ერთხელ.

თქვენი პატივის მცემელი ა. გომართელი.

ბოდიშს ვიხდი ბ. გომართელთან მის დაუკითხავად წერილის გამოქვეყნებაზე, რადგან დასამალი აქ არაფერია. მე პასუხად კიდევ მივსწერე: კუს მორჩენას უეჭველად გიჩვენებთ უფრო ჩქარა, თუ თქვენ მომცემთ ამის შემთხვევას

მეთქი და ამ წიგნის უკვე დაბეჭდილი 1 რვეულიც მივართვი, სადაც კუის წამლობაზე ვრცლად მაქვს დაწერილი. გამხნევებისა და ქებისთვის დიდად ვმადლობ მას, რადგან ესეთი გამხნევება და ქება ჯერ ბევრი ქართველისაგან არ გამიგონია, თუმცა, ვისი ავადმყოფობაც გამიგია ჩვენი მოღვაწეებისა, ჩემი დახმარების მზაობა ყველასათვის მიმიწერია, მაგრამ „ამ უკაცურ კაცთა შორის მე იგი (ი. გომართელი) კაცად მგონია“. „შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე მისვან ქმნილი“. შოთა.

გრ. ლ. ტოლსტოის დამარხვის ამბებიდან, 1911 წ. ამოვიკითხე, რომ მის მეგობარს ვ. გ. ჩერტკოვს ხელებზე ს-რსველა (სიწვილა) აქვსო და მაშინვე ჩემი დახმარების წერილი მივსწერე და მადლობის წერილიც მამივიდა. (იხ. რუსულში გვ. 100).

ქართველებსაც ბევრს მივწერე, ტყუილად დრო და მარკები დავხარჯე, მაგრამ მადლად არავინ ჩამითვალა და არც თუ მადლობა მომწერეს ვინმემ...

„Зак. Рѣчъ“-ის ექსპედიტორი ხურციძე 25 წასულ აპრილს მოვიდა ჩემთან და მითხრა: პ. გოთუამ მომასწავლა და მიწამლეო. გამოვიკვლიე სენი, კუქ-ნაწლევების ჩუმი ანთება იყო სხვა მურდალ სნეულებით გაავზნევებული. უამბე წამლობის პირობები და ხასიათი, რომ წამალი წყალივითაა, ჩვეულებრივ წამალს არა ჰგავს, არც ფერი აქვს, არც გემო, რისგამო ზოგნი უკან მომიტანენ ხოლმე და მეუბნებიან: ეს ხომ წყალია, რას გვარგებსო? მე ვეტყვი ხოლმე: პირობით, ერთი თვის განმავლობაში უნდა უბეჯითო და მაშინ გაიგებ: ან რა ძალა აქვს, ან რას გარგებს მეთქი. ორი დღე წამალი არ გისვამს და მამწყრალებ. ასე ჩქარა ხომ მე რგებას არ დაგპირებივარ. ჯერ უნდა სნეულების ხასიათი გავიგო, წამალი შეურჩიო, თუ დამაცდი, კმაყოფილი დარჩები მეთქი. ვინც დამიჯერებს და მიბეჯითებს, არ მოტყუვდება ხოლმე, ვინც არ დამიჯერებს, წამლებს უკან ვართმევ მეთქი, და შენც,

თუ ვერ მენდობი და ასე მიზამ-მეთქი, უთხარ ხურციძეს, ეხლავე სჯობია არ წამიცდინო და არ იწამლო მეთქი. დამპირდა, პატიოსანი სიტყვაც მომცა, ქაღალდზედაც ხელი მომიწერა და მესამე დილას მოვიდა და ბ. გოთუას ხათრით, მივე 2 მანეთის შუშები და წამლები. დამპირდა: ფულს წამლების გამოსაწერად მაისის პირველში მოგიტანო და ასე მომატყუა, დამტყუა წამლები და შუშები და ვაჟამდე არ დამაცალა წამლების შერჩევა და ჩემს ახლო ბინად მდგომი; შორს გადიპარა, არც წამლები, არც შუშები არ მომიტანა. წელიწად-ნახევარი ექიმებში უვლია, ვერავის რა ურგია, ჩემთან კი ერთ კვირასვე მოინდომა რგებაც და მორჩენაც და ამისთანა ბარბაროს ხალხს ძალიან ვერიდები, რადგან მახსოვს სახარების გაფრთხილება: „ნუ დაუფენ მარგალიტსა ღორთაო, რათა ტყუილად არ დალახონო“, მაგრამ სიბრალულით ჟამიტყუებენ ხოლმე ზოგნი. ღვთით, ამ ხურციძეს ისეთი სენი სჭირს, თავისი საკადრისი, რომ, როგორც აქამდე ვერავინ მოარჩინა, ისე ამის შემდეგაც ვერავინ მოარჩენს და ის ამომყრის მის ჯავრს! სხვებს წამლები და შუშები მაინც დაუბრუნებიათ და ამან არც ის ქნა, ყაჩაღურად მომექცა...

15. 1 წიგნში „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“. „ცისკრის“ 1905 წ. გამოცემა. გვ. 13. ვკითხულობთ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის შედგენილ ბიოგრაფიაში: „პ უმიკაშვილს, როგორც ყოველთვის, ისე თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც საღი და ყოჩაღი შეხედულება ჰქონდა. იგი იმსხვერპლა ისეთმა სენმა, რომელსაც ყველანი უმნიშვნელო ავადმყოფობად სთვლიდნენ. მცირე გაციების გამო მას სტკიოდა ცალი ყური, შიგნით დაუჩირქდა და ბოლოსმმა დენა დაუწყო. ექიმი, რომელიც სწამლობდა, აიმედებდა მოკლე დროში სრულიად მორჩენას. მაგრამ ვერ გამართლდა ეს დაპირება. ყურის ანთება ტვინის აპკაზედ გადავიდა და ტვინის ანთება გამოიწვია და ეს ყოვლად უწყინარი ადამიანი ორ დღეს წუთისოფელს გამოასალმაო“. ესეც თქვენი მეცნიერული წამლობა! ელე-

ქტროგომეოპატი რომ ჰპირდება მორჩენას, ძალიც (უებარი წამლების) შესწევს ქადილსა და მოარჩენს კიდეც ხოლმე, მაგრამ ალოპატი რის იმედით ჰპირდება მორჩენას? და ~~აკი~~ ხშირად უცრუვდებათ ხოლმე ეს იმედი! კაცს როცა ანთება ემართება, ან დასიება რამე ასოსი, ელექტრო-გომეოპატიური წამლები სისხლს კანონიერ მოძრაობას არ აშლევინებს, ისევ ამოძრავებს და თან სწმენდენ სისხლს და ანთება ან სიმსივნე მაშინვე ცხრობას დაიწყებს ხოლმე. ამ ნაირი უებარი წამლებით მხმარებელი ყოველთვის გაამართლებს თავის დაპირებას მორჩენაზე. ალოპატი, როცა ინფლუენციას სწამლობს, ხშირად მოხდება, რომ ინფლუენცია ფილტვის ანთებად გადაექცეს და სნეული მოკლას, ეს ყველას გაეგონებათ. რის მაქნისია ისეთი წამლობა, რომ სენმა ასე თავის ნებაზე ითამაშოს და უბრალო სენი მკვლელ სენად გადაიქცეს? ამ მალაყებს სენი ელექტრო-გომეოპატიაში ვერ ჰბედავს. ალოპატიაში რაკი სისხლის მაწარმოებელი და ნამდვილად დამწმენდი წამლები არ აქვთ, რომ საჭიროების დროს სნეულს ასვან, ხშირად მორიტო გარეგნულად სწამლობენ, ამის გამო ანთებიან ან დასიებულ ასოში სისხლი გუბდება, ტბორდება და შემდეგ ან ტვინისკენ, ან გულისკენ ან ფილტვისკენ გადახეთქავს და ანთებას განოიწვევს ხოლმე ჟარესს ან ლპობა-დადაჩირქებას იწვევს ანთებიან ასოსას. რა საიმედო წამლობაა ესეთი წამლობა? მე მარჯვენა ჩურში შიგნი ანთება მქონდა, სულაც არ შემშინებია მისი ტვინზე გადასვლისა და სამ დღეში დავაყენე. კარში დავდიოდი, შეუხვეველი, არ მეშინოდა სენის გაძნელებისა. ყურიდან და მის გარშემოდან კაი ხანი მქონდა ჩირქის დენა და მუწუკების ყრა. შემდეგ ჩირქი შეწყდა და მომწვანო წალა მდიოდა და კაი ხანს მაწვალა, არა წყდებოდა. წაველი ქართველ ექიმს ბ. ჩიქოვანს ვაჩვენე. მითხრა: „აქ წამლების მეთოდებზე ნუ ვიკამათებთო. რკინის წვეთები სვი და ყური ბორნი კისლატით ფრთხილად იბანე, რომ შიგ წყალი არ

ჩარჩესო, თორემ კიდევ ანთებას გამოიწვევსო. კონკაში არ ჩაჯდე, ძლიერი ქარი სცემსო, ყურს მოხვდება და აენთებაო, უნდა შეიხვიო ხოლმე და ფეხის და ტანის გაციებას ერიდო, თორემ ყურის ანთება ყოველთვის ისევ და ისევ მოგიბრუნდებაო. მე მალარიის დროს ბევრი მაყლაპეს რკინის წვეთები და სარგებლობა ვერა ვნახე რა და ასევე სწუნობს მას ექიმი ვერესაევი და არც მე ვიხმარე ესენი და არც სხვა რჩევა შევასრულე ამ ექიმისა. ბანკაში უნდა ჩავჯდარიყავა რაღა! წაველ ახლა ყურის ექიმ ასპისოვთან. იმან მითხრი ყურში სირსველი გაგჩენიაო და თეთრი მერკურის (შხამიანი) სალბუნი გამომიწერა: მარლას წაუსვი და ღამღამე ყურში დაიცე და ორი დღის მერე მოდიო, გარეგნულ წამლით მე სენის მორჩენის იმედი დიდი ხანია უარმიყვია და ტანზე სწორე ალაგზედაც ვერ არჩენენ ეს ექიმები სირსველას (экзема) და აბა ყურში უფრო როგორ მომირჩენდა და აღარ წაველ. ახლა ბ. ელჩიევს ვეჩვენე. იმანაც იგივე მითხრა, ამიტომ ყოველ დღე უნდა იარო, მინამ მდინარობა შეგწყდებაო და ვხედავდი, რომ იმასთან სიარულში ბევრი მანეთიანი წამოვიდოდა მარტო ვიზიტებისა და ისიც მივატოვე. ისევ ვარჩიე და ლონდონელ ელექტროგომეოპატიურ ჟურნალ „Modern Modicine"-ს მივმართე, რაკი ჩემს კარაბადინში ამ სენის წამლობა არ ეწერა. მათ მომცეს რჩევა, ისე ვიწამლე და მევე მოვირჩინე. ჩემი აჯამი მოქიშპეები, ფაუსტისა არ იყოს: „ხშირად ჩვენშიც ავის დაცინვით ხალხი დასცინის მშვენიერებას, პატიოსნებასო", მეც დამცინოდნენ: „ლამის ყური გამოალპეს და თუ კაი წამლობა იცის, რატომ ვერ მოირჩინაო?" ახლა ხომ მოვირჩინე! ახლა იმას ამბენ: „ამდენი ხანი თავის თავადაც მორჩებოდაო". მოდი და სვინდისი მოსთხოვე ამისთანა ხალხს! თუ თავისთავად მოსარჩენი ჰყოფილიყო, ამდენ ხანს კი არ მაწვალებდა სულაც მე მეუბნებოდნენ; ალოპატ-ექიმებში იარე, ისინი ჩქარა მოგარჩენენო; მე ვეუბნებოდი: სადა და ვისთანაც გინ-

დათ, თქვენ მატარეთ, ფულიც თქვენ ხარჯეთ და თუ მართლა მამარჩინეს, მაშინ თქვენგან დახარჯულ ფულს ერთიორად გადაგიხდით მეთქი, თუ ვერ მამარჩინონ, თქვენი ფული დაიკარგოს-მეთქი. მათ ეს არ ქნეს და მე კიდე ალალბედზე ფულის ხარჯვას მოვერიდე და ასე იაფათ გადავრჩი.

**16.** იმის წინად თვალების ანთება, ცრემლის დენა და წირპლვა მქონდა. მეუბნებოდნენ: უნდა ნემსები ჩაგიყარონ თვალის კიდეებში, ცრემლის სადენი მილი გაგანიერდება, ცრემლი ცხვირში იდენს ჩვეულებრივ და მორჩებიო. ბევრისაგან გამიგია, რომ ცრემლის მილები, ნემსით გაგანიერებული, ისევ ჩქარა შეხორცდება და დაიკეტება ხოლმეო და ცრემლის დენა გაახლდებაო, ამიტომ არც [illegible] ვქენი და ისევ ჩემი წამლობით უტანჯველად და უტკივნელად მოვირჩინე თვალებიც, მხოლოდ ამის შემდეგ წლოვანობისა და ბევრი თვალების მუშაობის გამო სათვალეების ხმარება დამჭირდა.

**17.** 1907 წ. ჩემი ცოლქი შვილი მიხაკო თუთის კენწეროდან ჩამოვარდა სოფელში და ხელის ძვალი გაუტყდა და ელექტროჰომეოპატიით დაუშავებლივ მოვარჩინე, ათ დღეზე ძვალი შეუხორცდა და ხელს ამუშავებდა. ასე ჩქარა რომელი ჯარა-ექიმი მოარჩენდა მას? ასე ყოველივე წამლები თვით ჩემს თავზე, ცოლზე და შვილებზე გამომიცდია და არაფერი არ უნდა მეჯერებოდეს სხვებისგან?

ქ. ფოთს ერთი ბერიკაცის საწამლებლად დამიბარა მღვდელმა პოეტმა მ. კელენჯერიძემ. სხვათა შორის ყდ. სამღვდელო ლეონიდს ვახელ ლოცვა კურთხევის ასაღებად. მათმა მეუფებამ ფოთში ყოფნის ამბავი მკითხა, მეც მოვახსენე. იქ მღვდელმა ბობოხიძემ დაიჩივლა: ზერე-ქვერედ ვარ, ჩემ თავს ვერაფრით უშველეო. ყდ. სამღვდელო ლეონიდმა უბრძანა: აი, მ. ნიკოლოზი შეგასწავლის წამლობას, იხმარე და მორჩებიო და მანაც ელ-ჰომეპატიური კარაბადინის გაგზავნა დამავალა, ეგრეთვე: დიაკონმა კირილემ, მ. დეკ. თოხაძემ, ბათუმელმა მღვდელმა მ. თოთიბაძემ და კიდევ

სხვებმა, რომელთ გვარები არ დამახსოვდა და წიგნები თბ. აფთექარს გავაგზავნინე და მათ ფოსტიდან არ დაიხსნათ და აფთექარმა ზარალი მე გადამახდევინა. ამ ორ ქალაქში წ. კ. საზოგადოების განყოფილებას ზოგი მათგანი ახლოც არ ეკარებიან და ამათ რა ელ-გომეოპატია-და ადარდებთ?

18. თელავიდან დიდუბის ეკკლესიაში გადმომიყვანეს 1900 წელს. იქ დამხვდა მეორე მთავარი გრ. კონტრიძე, რომელიც წინადაც და ჩემსობასაც ძალიან ჰირკოდილაობდა და გაციების შიშით დაბინდებულზე კარში ცხვირს ვერ გამოაყოფინებდით. ამიტომ იძულებული ვიყავი ორივე მღვდელს მარტო ერთი კაცი მოვხმარებიყავ შინ თუ აქათ იქით გაყოლით, ამასთან საეკლე[illegible] სამწერლო საქმე უნდა მეწარმოებინა და ძალიან გაჭირებაში ჩავვარდი: კვირაში ერთხელაც ვერ ვნახულობდი ჩემ მოსარჩენ ავადმყოფებს და ახლებს, ასეთ მოუცლელობით, ხელს ვეღარ ვკიდებდი. ეს მთავარი, ექიმებთან წამლობაში იმედ დაკარგული, ახლა შინაობაში აქათ იქით სწამლობდა და მაინც ვერავინა რგებდა. მე ვეჩხუბებოდი: ჩემი პირდაპირი ინტერესია შენი მორჩენა და კარგა ყოფნა, რომ მხარში ამომიდგე და სამსახურში შემეშველო მეთქი, ამიტომ, ხომ ხედავ, სხვა ვერავინ გრგებს და მე უნდა მაწამლებინო მეთქი. არ გამიგონა. მერე „კატეგორიულად" გამოუცხადე: თუ მე არ მაწამლებინებ, მე უარს ვიტყვი „ოფიციალურად" შენს მაგიერ სამსახურზედ-მეთქი. მაინც ვერა გავაგონე-რა. ერთ ღამეს მუცლის წვა და გლეჯა აუტყდა, მე დამიძახეს: უშველე რამეო. მე წაველ, თან წამლებიც წავიღე. ავადმყოფი საშინლად ღრიალებდა, ჭირის ოფლს ასხავდა. ამ გაჭირებაში მამა დეკანოზ ც. ნაცაძესთვინაც დაეძახნათ, მობძანდა, ნახა ავადმყოფის გაჭირება და თქო: რა ვქნა, მე რა უშველო, ახლო-მახლო ექიმი ვინ იცით, მოიწვიეთო. მე ექიმი არა გგონივართ მეთქი, პატარა დამაცადეთ მეთქი, უთხარ მე. ერთ საათზე დავამშვიდე ავადმყოფი და სხვა ექიმი აღარ დასჭირდით. ამისთანა ძალად-მაცხონეოპით მამა კონტ-

რიძე ისე გამოვაკეთე, რომ ეხლა, პირ-იქით, ის მსახურობს სხვის მაგიერ და სხვისა შეშველებაში აღარ საჭიროებს. ამ მთავარს ერთმა ნაცნობმა დაზღვევ საზოგადოების მოხელემ, დათიკა დათიკაშვილმა ურჩია ადრევე: „სნეული ხარ, ჩემთან თავი დაიზღვიე, რომ თუ მოჰკვდე, შენ ცოლ-შვილს ფული რამე მისცენო, თორემ შენს მერე მათ რა ეშველებათო"? მანაც გაუგონა და დაეზღვია ორას თუმანში, უნდა წელიწადში შაეტანა 12 თუმანი. მე სხვა საზოგადოებაში მქონდა თავი დაზღვეული და იმანაც იქ დააზღვია თავი ორას თუმანში წელიწადში ათ თუმნადა დ-სთვის 15 მ. ბედ მიცემული მიატოვა. როცა პირობის ქაღალდი მოუვიდა დათიკაშვილს კონტრიძისა, კოტრიძემ აღარ გამოა[illegible] და დათიკაშვილმა ერთ წვეროსანს მ. სვიმონიშვილს ურჩია: ის მთავარი, ხომ იცი, ჭირკოდილა კაცია, ჩქარა მოკვდებაო, ეს ქაღალდი შენ დაიხსენი, იმ მთავარს ხელს მოვაწერინებ, შენზე გადმოვაცემინებ, რომ ფულიც შენ იხადო და მის სიკვდილის მერეც ორასი თუმანი შენვე აიღოვო. ის წვეროსანიც გაბრიყვდა და შეაქვს და შეაქვს ამდენ ხანს წელიწადში 12 თუმანი და მამა გრიგოლი კი, ჩემგან გამომთელებული, სიკვდილს სულაც არ აპირობს და იქნება იმან უფრო ჩქარა დამარხოს მისი სიკვდილის მომლოდინე წვეროსანი. ბოდიშს ვ იხდი, თუ არ ესიამოვნოთ ვისმე ეს ჩემი ბოლსარება...

1893 წ. მიველ ჩემს მეგობარ თვალის ექიმ ტარსაიძესთან და ჩემი შედგენილი ქართული ანდაზების ლოტო მივართვი სახსოვრად. სხვათა შორის უამბე ელექტრო-გომეოპატიურ უებარ მკურნალობაზე, შავ წყლის, თვალის გამობურცვის, ლიბრის უოპერაციოდ მისგან მორჩენაზე და სხვა ყველა თვალის ტკივილების უებროდ კურნებაზე. ვთხოვე, რომ რაც მისთვის უკურნებელი იყოს, ისეთი ავადმყოფნი დაეთმო ჩემთვის, რომ მათზე მეჩვენებინა მისთვის ამ მკურნალობის უებრობა. ამაზე მან მითხრა: ზოგს ავლაბრელი მკითხავებიც არჩენენო და ჩვენ ყველა წამლობას ხომ ვერ მი-

ვყვებითო? კარზე ბედი მიუვიდა და მან უგულებელს ჰყო! „კაცს ბედსა სტენდნენ და დაახველის და გაავდისო“ ნათქვამია. მას რომ ამ წამლობისთვის ყურადღება მიექცია, არც ჭკვაზე შეიშლებოდა და დღესაც კარგა იქნებოდა მისი წყალობით, ვფიცავ ყოველივეს: ცისას და ქვეყანისას. კაცს, რაკი წამლობა სისხლს დაუწმენდავს არც სიგიჟე, არც სხვა უბედურება არ დაემართება...

ექიმმა დიდიძემ ჩვენმა მრევლმა და მეგობარმა თბილისში სახელი გაითქვა, ვითომ რაღაც აცრით ჭლექს არჩენდა. მე ძაან მესიამოვნა ქართველის სახელოვნება და დაწინაურება. როცა ჭკვაზე შვრყევის გამო დამწყვდიეს ნავთლუღის საავადმყოფოში [illegible] მერე პეტერბურღს გაგზავნეს, ყველას ვეუბნებოდი: ეკ არის, წახდა კაცი, მაგას ალოპატიურ მკურნალობით ველარ გამოაბრუნებენ მეთქი. პეტერბურღიდან განთავისუფლებული მოვიდა, მაშინ ვინახულე და გავაფთხილე: თუ ნერვები გაქვს მოშლილი, სკროფოლოზო სვი, რომ მტრის გულისად არ გახდე-მეთქი. ძარღვები დაგიმშვიდდება და სისხლი დაგეწმინდება-მეთქი. არც ისეა საქმე, როგორც ჩემ მტრებსა ჰგონიათო, ნერვების დასამშვიდებელი წამალი მეც კარგი ვიციო. შენ ჭლექის აცრით მორჩენას გასწავლიო, დამპირდა და სხვა თავისი ნაწერები წამიკითხა ქართულ საქმეებზე. ბევრი ხანი არ გავიდა, რომ იმან თავი ჩამოიხრჩო სიგიჟით, არა თუ მიტომ, რომ ექიმობა აუკრძალეს. კაცი ათასი თუმნის ალაგას იყო, უექიმობოთაც არა გაუჭირდებოდარა, რა ჰქონდა თავის დასახრჩობი? მაგრამ ყალბია მათი წამლობა და მასზედ დანდობაც ყოველთვის სახიფათოა. ის დღესაც კარგად იქნებოდა, ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ვფიცავ ყოველივე ჩემთვის ძვირფასს. „ვფიცავ სამშობლოს ესოდენ ტანჯულს, ჩაბალახ ახდილს, განაწამებსა“! ასე ასრულდა მასზედ ჩემი ზემო აღნიშნული წინასწარმეტყველება...

ამ წამლობაში ოთხი სხვა ექიმი მევეყოლიე: პეტერბურგელები: ფრენკელი და როგაჩევსკი, ერთიც მერვში—ნი-

მენსკი და ერთიც თბილისში ფრანგი-ექიმი, რომელიც ჯერ დიფარულადაა. და ქართველს კი პირჯვარი ვერავის ექიმთაგანს ვერ დავაწერინე, რომ ოჯახში მაინც ან მახლობლებზე სცადონ ამ წამლების უებრობა და გაივარჯიშონ, თორემ ბევრს მათგანს ტარსაიძის, დიდიძის და ყასუმოვის ბედი თუ არ ეწიათ, არც თუ უზრუნველ-ყოფილ არიან უდროოდროს სიკვდილისაგან, ექიმთა: გრ. ვოლსკისა, კოტე და სვიმონ გძელიშვილებისა, თდ. დათა ჯავახიშვილისა, ვანო გარსიაშვილსავით და სხვებსავითა, რასაც მარტო ელექტრო-გომეოპატიას შეუძლიანააცდინოს ადამიანი. მაგრამ ვის ეყურება ეს?... თავის სასარგებლოს ურჩევ, ჩემს სარგებლობას ხომ არა?

ალოპატი ექიმი ბ. ვერესაევი თავის წერილებში „Записки врача“, (ჟურნალ „Нива“ ს პრემია 1913 წ.) 253—254 გვ. სწერს, რომ მეცნიერება ამბობსო, რომ ბალახსენეგას ნახარში იხმარება ხველის გამოსაწვევად, როცა სიპლექის დროს ფილტვი ნახლათია სავსე და ხველით უნდა ამოიწმინდოსო. მე მისმევია ეს ნახარში და თან თვალ ყური მიდევნებია და მიკვლევია, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შევამჩნიე, რომ მას, თუნდ ერთი წვეთით მეტი ნახველი ამოეღებინებიოს ავად-მყოფისთვისო. რკინის წვეთები უნდა ახმაროს სისხლის ნაკლებობის დროსო და იმ შემთხვევაშიც კი, როცა სნეული რჩებოდა, ვერ ვრწმუნდებოდი, რომ ეს მორჩენა, რამდენიმედ მაინც, მოხდა რკინის წვეთებისაგანო. ისე გამოდისო, რომ ცარიელი სიტყვით უნდა მჯეროდესო, რომ ესენი და კიდევ სხვა წამლები სწორედ ისე მოქმედობენ, როგორც მეცნიერება ამობსო. კრეოზოტი ფილტვის სიპლექისთვის საზღარად არის ნაჩვენებიო, მაგრამ ყველანი იმას ღაღადებენო, რომ იგი სულაც არა შველის პლექსაო. ძირითად წესად მუცლის სახადის ფარეზობისა ისაა ცნობილიო, რომ სნეული უნდა ასაზრდოოთ წვნიანი საჭმელებითო და ყველანი საქმი მომდინარეობით ამტკიცე-

ბენ, რომ ამ წესით შიშშილით ვკლავთ სნეულსო. დარიშხანა, (თაგვ-მარილა), ცნობილია კანის სნეულობისთვის, სისხლ-ნაკლებობისთვის და ხაშმიან ციებ-ცხელებისთვისო (ე. ი. მალარიისთვის), მაგრამ ერთი ცნობილი, გავრცელებული საექიმო გაზეთი იმ ცნობას იძლევა, რომ შესანიშნავი დარიშხანის ისტორიაში ის არისო, რომ ის საყვარელია ექიმებისა, კაცის მკვლელებისა და ჩარჩებისაო. ექიმებმა უნდა იგრძნონო, რომ დარიშხანა ძაან ცოტას იძლევა მას, რისთვისაც საუკუნო პატივის ღირსი იყოსო. ზეპირ გარდმოცემა დარიშხანაზე—სამარცხვინოა ჩვენი მკურნალობისაო და სხვა ბევრ ამისთანა მარგალიტებს სწერს ბ. ვერესაევი. ასე ამობენ ბევრ წილად, ვინც უფრო გულახდილია და ექიმობის უცოდნელ ხალხს კი ესენი არ ეყურება და მართლა მეცნიერული ჰგონიათ ალოპატიური მკურნალობა. ან კი რა ქნან, როცა რუსეთში სხვა მკურნალობის მეთოდების ჰაჰანება არ არის? ხომ მოგეხსენებათ: „ქალი ქმარსა სწუნობდაო და მის სინაბარას კი იყოო“, ან კიდე: მოახლის ნდომით, ვირს ვარდისახარს (მოახლის სახელია) ეძახოდნენო.

ალოპატებს ათასნაირი წამლები აქვთ და მათით რომვერას ხდებიან, კიდევ ჰკუას აძალებენ და სხვებს იგონებენ. ექიმი S. Iesner-ი თავის სტატიაში „Косметическое и терапевтическое значеніе мыла“ ჟურნალ „Практическая медицина“-ს 1906 წ. გამოცემაში საექიმო მიზნით სხვა და სხვა ნაირ საპნის ჰამას ურჩევს, მითომ: თუ გარედან სწმენდს ადამიანის ჰუჰყსო, შიგნიდანაც დასწმენდს სისხლს ჰუჰყსა და ზადისაგანო, რა კი სჭამს სნეულიო“. მახლას! აი სადამდის მივყევართ „მეცნიერ ექიმებს“ ერთ „მეცნიერულად“ განათლებულ ექიმს, ს. ლ—ს, სნეულ ექვთიმე ბექაურისთვის დაენიშნა ესეთი წამალი სხვათა შორის: „სამი კოჭი თხისა დაწვი, დანაყე და სამ დღეს თითო ჩაის კოვზი წყლით მიიღეო“. რაკი ძვალი დაიწვება, ყოველი ძვლიდან, თუნდ კაცისა იყოს იგი, დარჩება ხოლმე კირი და უეჭველად თხი-

სა რაღა ნიშანია? ესეც შენი „მეცნიერული ექიმი! ამის გაგებას დიდი ჭკუა უნდა? სადაც ეს წერილი იბეჭდება, იმ სტამბის პატრონის კ. თავართქილაძის მეუღლე ქ. თამარმა მიამბო: საშინელი წელის ტკივილები მქონდაო და ექიმი დ—ნცი რამდენიმე თვე მწამლობდაო, მაგრამ ტკივილები ვერ დამიყენაო. ბოლოს ერნაირი სალბუნი მამცაო და იმის დაზელვისაგან ტკივილები დამიდგაო. ამაზე ქ-ნ თამარს ესაყვედურნა ექიმისთვის: თუ კი ასეთი კაი წამალი იცოდი, რისთვის გამტანჯე ამდენ ხანსო? ამაზე ექიმს ებრძანებინა: თუ ერთი მისვლით სნეული მოვარჩინე, ჯიბე ცარიელი ვივლიო, მარტო ჯამაგირი ვერა გვყოფნისო. მათთანა ექიმებს რაში ეკაკავებათ ამისთანა უებარი წამალობა?

**წამალხანის (აფთიაქის) ნიხრი.** ანტ. ჩეხოვისა.

ხშირი წამლის ხმარება კაცს სხვა ვნების გარდა ჯიბის სიჭლექეს უჩენს. აფთიაქში არავის ხათრს არ უნახვენ, მათი საქმე აღებაა, სულ აღება, უკლებლივ: წამლის მოხარშვაში, თითონ წამალში, სხვა და სხვა წამლის ერთად არევაში, სულ სათითაოდ ცალ-ცალკე იღებენ ფასს, განჭყრევაში ცალკე, ფხვნილის კერძად (პარაშოკად) დაყოფაში კაპიკ ნახევარს თითოზე; ქაღალდში შეხვევაზე ცალკე, სიგნატურკა ქაღალდში და მის დაკვრაში ცალკე, ჭურჭელისას ან კოლოფისას ცალკე, გასახვევ ქაღალდის და ძაფის შემოკვრაში ცალკე! წამლის მოსამზადებელი ნახევარ გირვანქაზე 12 კაპეიკი, მთელ გირვანქაზე 24 კ. გვერხზე გდია! მომზადება სხვა რამე არ გეგონოთ: არც კერძად დაყოფა ფხვნილისა, არც აბებად გაკეთება, არც მოხარშვა. ესენი უფრო მეტი ღირს და იღებენ კიდეც. განა ამდენს და ასე ქვეყანაზე ვინ იღებს ფასს? ნავაჭრის ქაღალდში შეხვევაში არც ერთ ღარიბ დუქანში არას იღებენ და წამალხანაში კი: შეხვევა, დაბეჭდვა ლაქით და ძაფის შემოკვრაში ორ შაურს იღებენ როცა ექიმის ბარათით აძლევენ წამალს. მაგალითად, სამი კაპეიკისა

რომ პური იყიდო, აფთიაქური შეხვევით 13 კ. დაგიჯდება! და ამ გვარად სამ კაპეიკიანში 13 კაპიკს აგაძრობენ. ყასბებს ნიხრს უცვლიან და აფთიაქებს კი არა! ვარანცოვის ძეგლთან, კუკიის ხიდზე, ერთ კინტოს ცუდ-უბრალოდ სცემეს წესის დამცველებმა. კინტომ არ იცოდა რა ექნა, სამართალი სად ეპოვნა და სთქვა: „ღმერთი ძაან მაღლაა; ხელმწიფეც ძაან შორს არისო და ვარანცოვი კი დგას და ხმას არ იღებსო". მეც ამას ვიტყვი აფთიაქებზე. ჩვენში ვაჭრობა ვაჭრობა კი არ არის, ყვლეფაა და აფთიაქში უფრო მეტი ყვლეფა ყოფილა, მე კი ღმერთმა დამიხსნა მათგან.

ტაქციაც თავიანთი წამლობის საკადრისი ჰქონიათ რაღა.

ერთი ექიმთა კანონთაგანია: „ut aliquid fieri videatur", რაც მდაბიურად ნიშნავს: „თუნდ ნამდვილი შველა ვერ შეგეძლოს, მაინც რამე უნდა ჰქნა, რომ ავადმყოფი ხედავდეს და იმედნეულობდეს: რაკი რამეს შვრებიან, კიდეც მიშველიანო". სწორედ XIII კრება თბილისში ექიმთა და ბუნების მეტყველთა ასე მოიქცა, რაშიც „სახ. გაზეთ"-ც № 931 გვ. 3 მემოწმება. მოვიდნენ გასასეირნებლად, თორემ ჩემი მოხსენებისთვის ყურადღება არ უნდა მიექციათ? ჩემი ზემომოყვანილი ფაქტები ანგარიშის მიცემას არ საჭიროებდენ? თუ მათ მართლა ქვეყნის სიკეთე ჰსურდათ? ხელის მოწერაში არ გამოვაცხადე განგებ, რომ მთავარი ვარ-მეთქი, მაშინ უფრო დამიფუქსავატებდნენ, მაგრამ მაინც ვერც ამ ხერხმა გასჭრა და მაინც მიმიყურსისხლეს და ხმაც არ გამცეს. (იხ. გვ. 83) ამათთანა „პატრონების" მყოლმა ნასწავლმა ხალხმა მაშ არ უნდა გაიღვიძოს და ამ ნაირ აჯამთ, ვითომ-მეცნიერთ, არ უნდა დაუსხლტენ ხელიდან და თავიანთ თავს და ოჯახის ექიმად თვითვე არ უნდა გახდნენ, როცა ეს ადვილად შესაძლებელია? ვექილი ა. ყანჩელი ბუასილით იტანჯებოდა, ბევრი ვეუბენ, ძლივს ვაყიდინე კარაბადინი და დაიწყო წამლობა და მადლიერიცაა: უკეთ ვგრძნობ თავსაო. თუ რამე კარგა ვერ მოგეხდეს, ან ვერ მიხვდე კარაბადინი-

დან, მკითხე, ნუ დამეხათრები მეთქი, კარგა გაივარჯიშე და შენს ცოლს და შვილებსაც თამამად ახმარე ესევე წამლები საჭიროების დროს მეთქი, ურჩიე და ისიც დამპირდა: ვეცდებიო. ასე უნდა მოიქცნენ ყველა გონიერნი. მე ამას უფრო ქართველების შესაგნებლად ვამობ, რომ მით უტყუარი შველა შევსძინოთ ბედ-შავ ხალხს, თორემ, სხვებს ყველას კაი პატრონი და მზრუნველები ჰყვანან და ბალახივით მრავლდებიან. ჩვენმა ექიმებმა უნდა მიგრძნონ: რაც ცეცხლი ჩემს გულში ტრიალებს და არ მიწყინონ უფლებიანთა წინაშე სამართლიანი კადნიერება, რადგან დ. გურამიშვილისა არ იყოს: „ავის ქება, ავის ფარვა, ქვეყანას არ მოუხდებისო". ვინც რომ კაცია, მოვალეა, რომ თავისი პირადი „მე" თავისი ქვეყნის სიკეთეს და წარმატებას შესწიროს. ფუტკარიც კი არ შრომობს მარტო თავისთვის და ღვთის სახედ შექმნილ კაცს ხომ უფრო მეტი მოეთხოვება...

წინა 59 გვერდზე, დამავიწყდა და სრულად ვერ ავუხსენი საგანი, თუ ყაბზობა როგორი მავნებელია ადამიანისთვის და კუისა, თუ სხვა ათას ნაირ უბედურების გამომწვევი. კუჭ-ნაწლევებში მონელებული ნაჭამი, ბოლოს უკანა ნაწლევში ჩერდება და რაც სიკეთე აქვს შერჩენილი ამ ნაჭამს, ახლა უკანა ნაწლევი ჰსუტავს მას ამ სიკეთეს, მაგრამ ნაჭამის უკანა ნაწლევში ყოფნა, თუ ერთ დღე-ღამეს გადასცილდა, მაშინ იგი ლპობას დაიწყებს და უკანა ნაწლევი მისგან მხოლოდლა შხამს ისუტავს და ამით კი სისხლი იწამლება, ამიტომ საფალარათო წამლების ხმარებას ნიადაგ თბილი წყლის გამოვლება სჯობია უკან ტანში... ამიტომაც ალოპატიის მეცნიერი მეჩნიკოვი, რა-კი ალოპატებს სხვა ვერა ხერხებათ რა, როგორც ყოველთვის, ასეთ უბრალო საშუალების მაგიერ ურჩევს ხალხს უკანა ნაწლევის ნაწილის ამოჭრას, დამოკლებას, რომ ნაჭმის მოსაგროვებელი და ჭიების ჩასაბუდებელი ალაგი იქ აღარ იყოს, რომ ერთი დღე-ღამის მერევე ნაჭამი უსათუოდ კარში გამოდიოდეს. მათ დალაქო-

ბის სწავლა სხვის თავზე ეხერხებათ, თუ ეს ადვილია, ჯერ თითონ ამოიქრას. მე კი ჩემის გამოცდილებით ის ვიცი, ვისაც ყაბზობა ხშირი ჰქონია, იმას სიქლექე, კუი და მისთანა უბედურებანი არ ასცდენია და თუმცა საჩოთიროა უკან ტანში წყლის გამოვლება, მაგრამ, ვისაც ჯანმრთელობა ჰსურს, არ უნდა დაიზაროს. ამისთვის კაცმა ან ესმარხის 8 ჩ. პიქიანი ტოლჩა უნდა იქონიოს ან უფრო სახერხოა რეზინის მაღაზიაში სოლოლაკზე ან აფთიაქის საწყობში „კლიზო-პომპა, რომლითაც, რამდენიც გნებავთ*), იმდენ წყალს შეისხავთ. ნაწლევების გადახლართვასაც ბლომა წყლის გამოვლება შველის, მხოლოდ ტანში შესაყოფი რეზინი კარგა გძელი უნდა იყოს, ნახევარ არშინამდე (ათშაურად იყიდება), თორემ წყალი უკანვე გამოვა და ღრმად ვერ წავა ნაწლევებში, რომ გადახლართულ ნაწლევს მისწვდეს, თორემ ისე რას არგებს? ეგრეთვე კარგია იმავ დროს ბლომა წყლის დალევა, რამდენსაც კი მუცელი დაიტევს. ეს უფრო ადვილი და საიმედო საშუალებაა, თორემ გაჭრით უფრო სახიფათოა, როგორ უნდა იპოვნოს ოპერატორმა: სადაა გადახლართული ნაწლევი? იმავე დროს კარგია მუცელზე ქოთნის მოკიდება და ერთბაშად აძრობა, რომ მაღლა აწეული ნაწლევი ძირს დავარდეს და ამაობით ისევ გასწორდება. ქილა უნდა იყოს პირ ვიწრო. მჩვარში ნაცარს შეჰკრავთ, რომ მუცელზე დადგეს მასზე, პირებზე ცხიმს ან ნავთს წაუსომთ, ასანთით მოუკიდებთ და ქილას ნელ-ნელა დაარქვამთ ალს და რაკი ქილის პირი მუცელს დაედება, ჩაშინვე ალი გაქრება, მუცელი ქილაში შევა და სულ კარგა რომ შეიწევს, მერე ააგლეჯავთ. ორჯერ, სამჯერ კმარა. ვინც სკროფოლოზის ხმარებას შეჩვეულია, იმას თავის დღეში ნაწლევი არ გადაეხლართება, რადგან ეს წამალი მაგრა ინახავს ნაწლევებს და გადახლართვა კი ნაწლევების სისუსტის ბრალია. ელ-გომეოპატიური წამალი სისხლის გასაწმენდად ხან ფილტრათობას გამოიწვევს, ხან ოფლის სხმას, ხან შარდის მატებას, ხან

*) ვინც ცივს ვერ იშვნევს, ცხელი იხმაროს, როგორსაც ხელი გაუძლებს: პირველ ლამეს 2 ჩ. პიქა, მეორე ლამეს—4 ჩ. პიქა. ერთი ღამე ისე გაიყვანე და შემდეგ ლამეს—6 ჩ. პიქა, 2 ღამეც ისე გაიყვანე, მესამე ღამეს 8 ჩ. პიქა გამოივლოს ხოლმე. ტანში წყლის თანდათან მეტხანს დაპერას შეეჩვიოს.

ტანზე მუწუკების ყრას და ესენი უნდა აიტანოს კაცმა, მაშ კარში როგორ გამოვა ჯანიდან ზადი? ვისაც ძალიან გამოაყაროს, მაშინ სუსტი წამალი იხმაროს, ნელა გამოაყრის. ერთხელ ბ. მოსე ჯანაშვილს ვასწავლე კუჭის მოუნელებლობისთვის, სკროფულოზოს ფაღარათობა გამოეწვია და მემდუროდა: შენმა წამალმა კუჭი უფრო მამიშალაო.

წიგნიდან: „Безмочекислое питаніе“....

**ვისაც ხორცეული ვერ აუტანია**, იმათ უნდა იხმარონ: სითეთრისაგან ყველაფერი, ძველი ყველის გარდა. პურეულობიდან: ხმიადი, (უფუარი), ფლავი, მაკარონი, ბურღული, არისა, კორკოტი, შორვა, ფაფა ხალისა, მჭადისა, ფუშრუკი, ხავიწი, უგრეხელი, ქვიშნა, ცულპირა, კაკლიდან ყველაფერი, თურმე ხორცზე უკეთესია; თხილი, კოკოსი (ინდოეთის კაკალი), ნუში, წაბლი, კართოფილი, მიწვაშლა, თალგამი, ყოველი მხალი, ჭინჭარი მშვენივრებაა: ჭირის ჭირია; ხახვი ან პრასა და სხვა მწვანილეულობა, მუხუდო, ცერცვი, ლობიო, სალათა, კიტრი, სტაფილო, ბოლოკი ძაან კარგია, ხილეულობა ყველაფერი, წყალი, ლიმონადი, ვაშლის ჩაი ანისულისა, პიტნისა და მაყვლის ჩაი და მარწყვისა, ძეძვის არიფანისა, ყურძნის ტკბილი წვენი, ბაქმაზი, ყავა ქერისა, და იაპონურ სოიასი. წმ. პურის ქატო ძაან მარგებელია და ძაან თხელ საცერში გაცერით ფქვილი, რომ ბევრი ქატო არ მოაკლდეს. ამეებით აიცილება შარდის მჟავება.

**მავნებელნი არიან**: ხორცი ყოველნაირი, თევზი, კიბო, ნადირის ქონი, ძველი ყველი, თევზის წებო კვერცხის გული, პური ხაშიანი, ამიტომ მჭადი სჯობია პურს უხაშობით. სოკოეულობა, სატაცური ბალღამია, გამხმარი: ცერცვი, მუხუდო, ოსპი. მწვანე ბადრიჯანი. სასმელები: ღვინო, არაყი, ძმარი, ყავა ჩინური, ჩაი, კაკაო, შოკოლადი. პილპილწიწაკა, მდოგვი, ვანილი. ესენი იწვევენ შარდის მჟავებას.

ჩვენს დეპუტატს სახ. სათათბიროსას თ-დ ვარლამ გელოვანს 11 მარტს 1913 წ. ფოშტის №80, მივწერე დაზღვეული ვრცელი წერილი, რომ მას ალეძრა. სათათბიროში რუსის უნივერსიტეტებში გომეოპატიის კათედრების დაარსებაზე

საზღვარ-გარეთულ უნივერსიტეტების მაგალითისამებრ და ყველა უპირატესობა კარგად აუხსენ გომეოპატიისა ალოპატიასთან შედარებით და ელ-გომეოპატიისა მათ ორთავესთან შედარებით. სხვები მიშლიდნენ: „გელოვანი თავადია და სათათბიროში სულ მისი ჰამქრის ხალხი სხედანო და ისე, შემთხვევით და სხვათა შორის ხან და ხან საქვეყნო საქმეებზედაც წამოაყრანტალებენ ხოლმე, რომ ხალხმა იფიქროს, ვითომ რამეს აკეთებენო, მას ტყუილად მისწერ, არაფერი გამოვაო, პასუხსაც არ გვაღირსებსო“. მე მიუგე, რომ უებარი წამლობა თავადებს და მათთანებს ყველას უნდა ეინტერესებოდეს მეთქი, მამლისა არ იყოს: „მე კი ვიყივლებ და გათენდება, თუ არა, ეგ თითონ იცისო“ და მეც, რაც ღირსია თქმისა და ყურადღებისა უნდა ვთქო. როგორც სანთელს მაღლა დასდგავენ, რომ ანათოს და არა ხვიმირსა ქვეშე, ისეც ასეთ უებარ, უოპერაციო წამლობაზე, სირცხვილი და დამნაშაობა იქნება, რომ ვმალო და არ გამოვამზეო მეთქი“. მეც მივწერე, მაგრამ გამიმართლდა სხვისი წინასწარ თქმული და მათმა ბრწყინვალებამ პასუხიც არ მაღირსა. ახლა კიდევ ჩვენ დემოკრატ დეპუტატებს გაუგზავნი ამ წიგნს და რჩევას, რომ მათ მაინც აღძრან ზემო-აღნიშნული კითხვა, ვნახოთ მაძღარი დემოკრატები მაინც რას იზამენ? ვაი თუ მათაც ისე მიყონ, როგორც თდ. გელოვანმა, ხომ იცით: მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო. იქნება ძალი-ძალად ვისმე თვალი გაუხილო.

XIII ექიმთა კრებას რომ ქაღალდი გაუგზავნე, რომელიც აქაა მოყვანილი 83 გვერ., არც რამეს მათგან გამოველოდი ელ-გომეოპატიისთვის სიკეთეს და მართლაც არა გამოვიდა-რა, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი ამ წამლობის გავრცელებაზე ყვირილს, ისიც საკმაოა ჩემგან, რომ ყალბ ექიმობის მიმდევართ ხან და ხან ძილი დაუფთხო ხოლმე. იქნება ძალი-ძალად ვისმე ყურადღება მივაქციო ამ წამლებზე. როგორც 67 გვერდზე სწერია რუსულად: თბ. ექიმთ გან-

ყოფილებასაც მივმართე, რომ თბ. საავადმყოფოში ეცდევინებინათ ჩემი წამლობა ათაშანგიანებზე, ისეთებზე, ვისთვისაც ერლიხის წამლის ძარღვებში შესხმა ვერ გაუბედიათ, სუსტი გულიანი ვერ აიტანსო და მე კი მოვარჩენდი და კიდეც მომირჩენია, რომელიც ექიმთა კრების ქაღალდში მაქვს მოხსენებული (გვ. 83) ეგრეთვე ხორველიანების წამლობა ვითხოვე თბ. უპრავისგან, როცა ავლაბარში მრევლის გამოსასვენებლად გაველით და ვნახე 15 ხორველიანი მკვდარი ერთად, 5 ივლისს 1913 წ... 8 ივლისს გაუგზავნე 307 ფოსტის ნომრით. ვიცოდი, რომ არა გამოვიდოდა-რა, მაგრამ მე ჩემსას ვცდილობ, რომ უქნარობაში არ ჩამომერთოს. თავიანთ თავლაფ დასასხმელად მე ამ უებარ წამლობას გამომაცდევინებდნენ?... მოსამსახურეებს თვეში 5 თუმანს აძლევდნენ და შიშით, რა კი ერთი ხოლვერიანის სიკვდილს ნახავდნენ, იქიდან ისევ გამორბოდნენ და მე ესენი ვიცოდი, მაგრამ ძალად ვეჩრებოდი, განა თავი მოძულებული მქონდა, მაგრამ რას იზამ, ქვეყნის სიკეთისათვის ზოგი სასიკვდილოდაც არ ზოგავს თავს და მე უბრალო გაჭირებას გავქცეოდი? ან რისა უნდა შემშინებოდა, როცა ვიცი, რომ თუნდ ყოველ დღე ხორველა ვჭამო, მე იგი ვერას დამაკლებს და ამიტომ მისი შიშით თავის დღეში ნადუღი წყალი არ მისვამს...

ერთი პატივცემული წვეროსანი 1010 წ. ქართულ გაზეთში სწერდა: „წ. კ. საზოგადოებას ყოველ წლივ ორმოც თუმანს შევწირაო და შეიძლება შემდეგში კიდევ წაუმატოო". ამ პირის, ჯერ ისევ ჯეელისა, სიცოცხლე კი სიცოცხლეს არა გავს: სითბოშიც შინ პალტო, ხელთათმანები, კალოშები და ორი წყვილი წინდა აცვია, ყურებში ბამბა უცვია, ისე დგომა არ შეუძლიან, თუ ყავარჯენს ან სხვა რამეს არ დაეყრდნო. ჭამის დროს ლითონის კოვზს და დანაჩანგალს ხელსახოცს ახვევს ტარზე, ისე ხელს ვერ ავლებს: ხელი გამიცივდებაო. მე მას მივწერე: ვიცი თქვენი ესეთესეთი ღვაწლი-მეთქი, ვიცი თქვენი სნეულებაც-მეთქი. ელ-

გომეოპატია უეჭველად ვარგებს, სისხლს გაგითბობს მეთქი და ასე ძალითი ძალად 35—40 წელს კიდევ გაცოცხლებ-მეთქი და ამ ხანში წ. კ. საზოგადოებას ათასხუთას თუმანზე მეტს შევმატებთ მეთქი, ჩემგან ესეც სამშობლოს სამსახურად ჩაითვლება მეთქი, ამიტომ ნება მიბოძე, რომ ყოვლის უსასყიდლოდ ამ წმინდა მიზნით გემსახუროთ მეთქი“. იცით, ამაზე რა პასუხი მივიღე?—„მე ჩემი თავი კარგად მყოფი მგონიაო და როცა ავად გავხდები, მაშინ მოგმართავო“. ბევრჯერ ბევრნაირად ვეცადე და ვერა შევასმინე-რა. ბოლოს ამ წამლობის კარაბადინიც მაყიდინა, წაიკითხა თავისნაირი ავადმყოფობის წამლობაზე, რომ ასე და ასე კარგა რჩებაო, მაგრამ ის სხვაგან გადაიყვანეს და კარაბადინი კიდე სხვის დარჩა უქმად, „კაის მთქმელს კაი გამგონე უნდაო“, რა გავაწყო?

განსვენებული ალექსანდრე ეპ. მაშ სულელი იყო, რომ, რაკი ორი წელი ვერავინ მოარჩინა, 1892—93 წლებში, გულის სიმსუქნისა, წვივების ძნელი სიმსივნისა და ბუასილიდან და რამ წამს გამოუცხადე, რომ ღირსეული მამულიშვილი ბრძანდებით, მოადგილე რიგიანი არ გვიჩანს და მინამ მ. ლეონიდი, მაშინ ჯერ უბრალო ბერი, მოგესწრობა, მინამ ძალი-ძალად გაცოცხლებთ ჩემგან ნარჩევი ექიმი-მეთქი. მაშინვე ჩემი რჩევა მიიღო, აწამლებინა, მორჩა კიდეც სრულად. თავის ალაგზე თავის სასურველი ლეონიდი გაამწესებინა და უჭირველად იცოცხლა 1907 წ. დამლევამდე. თავის მორჩენის სამადლობელად და სახსოვრად მანვე ხელი შემიწყო ამ წამლობის შესწავლაში და თავის მწამლებელს გლებოკოშანსკის სთხოვა: მ. ნიკილოზსაც ასწავლე თქვენი წამლობა, ხომ არა დაგაკლდებათ რა, გაუშვი ერთმა ქართველმაც იცოდეს შენი წამლობა, რომ საცოდავ ქართველებს უწამლოს და არგოს, თქვენი სულისთვის კარგიაო“ და მანაც პატივი სცა მის თხოვნას და თან მატარებდა ავადმყოფებში და მასწავლიდა, თორემ წინად მე ბევრი ვეხვეწე, მასწავლე: როგორ ვიწამლო მეთქი, ფულიც ვაძლიე, მაგრამ

პირჯვარი ვერ დავაწარინე: „ფული მამეცი და გიწამლებო, სწავლებით კი ვერ გასწავლიო“. ამით ვარ მე ეხლა უზომოდ ბედნიერი, რომ არაფერი სასიკვდინე სენისაგან არ მეშინიან. კურთხეულიმცაა ხსენება მისი. (ამაზე აქ გვ. 117 ვრცლადაა და წიგნში: „სიტყვები და წერილები ყდ.-სამღვდელო ალექსანდრეზე“ ქართულად. გამოცემა 1910 წ. ზ. ჭიჭინაძისა. ფ. 20 კ.) ოჰ, ღმერთო, ქართველების ღმერთო, სადა ხარ? ეს რა ცოდვის კითხვაა ჩვენზედა, რომ იმნაირ დიდებულ წინაპართ, როგორთაც ვიცნობთ ჩვენს მამა-პაპათ ისტორიულ-არქეოლოგიურ და ლინგვისტიურ ნაშთებით, ასეთი დაკნინებული, დალაჩრებული, შნო გაწყვეტილი იქამდე, რომ აბანოშიც კი არ გვინდა ხელი გავძრათ და ვიბანოთ და ვიღაც ჭირიან მეფუთეს ვებანინებით და ვექმევინებით; ერთმანეთის თვალის მთხრელი, მტრის გამხარებელნი, ჯიბე ცარიელნი, გოგრა ცარიელნი, ყურდაგდებულნი და დაუდევარნი ყველაფერში როგორ გავხდით? „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და არ მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგანო“, უბრძანებია ჩვენს სულ-განათლებულ კათალიკოზს ანტონ პირველს-მეორე ოქროპირს და ეს სიტყვები სწორედ სულ-განათლებულ ეპ. ალექსანდრეზედაც ზედ-გამოჭრილია. განა ისეთი კარგი რამე დაიბადებოდა, რომ იგივე ქართველებისთვისაც არ მოეწადინნა? და ეს წამლობაც მიტომ ასწავლებინა ჩემთვის, მაგრამ ვით უხორთუმო სპილოსა, საექიმო მეცნიერება გაუვლელს, არ შემიძლიან, რომ ჯეროვანი ნაყოფი გამოვიღო მახლობელთ თუ შორეულთ უნდობლობის გამო. მაღირსებს მე ისეთ საექიმო მეცნიერება-მიღებულს შვილს, რომ წადილი გულისა ამისრულდეს, რომ ამის გამო ქვეყანაც ენდობოდეს? მაშინ ნახეთ სასწაულები და განკვირვება ქვეყნისა. ჩემი უფროსი შვილი მეკამათება: მაშ ალოპატები კი ვერავის არჩენენო? მართალია არჩენენ ასიდან ოცს ან ორმოცს, მაგრამ ელექტროგომეოპატია კი ასიდან ასსვე, ყველას არჩენს, და თუნდ ყველას არა, სამოცზედაც რომ მეტს ვერ

არჩენდეს, მაინც ელექტრო-გომეოპატიას უნდა მიეცეს უპირატესობა-მეთქი. კაცს ჯეელობაშივე ერთი ცოლი მოუკვდა და მეორეც უბედურებაში ჰყავს ალოპატიურ წამლების გადამკიდე და კიდევ ალოპატიას ესარჩლება და მეკი 54 წელს გადავცილდი და ყველაფერი უბედურება თავიდან ავიცდინე ელ-გომეოპატიით და ამაშიც არა ჩანს ამ წამლების უებრობა და უკეთესობა? ვინც გონების თვალით ბრმა არ არის, რატომ არ უნდა ჰხედავდეს ამას? ამიტომ ანდერძს ვაგდებ: წყეულ იყოს ყველა ჩემი ჩამომავალი, და მათ მოსადევარი, ვინც ამდენი ხნის ჩემგან გატკეპნილ ბილიკს გადუხვიოს შეუდარებლად, გამოუცდელად და ბეჯიშობით ელექტროგომეოპატიას სხვა წამლობა არჩიოს და მიჰყევს.

განსვენებული ეპ. ალექსანდრე მიბძანებდა ხოლმე: როცა მოციქულები გაგზავნა მაცხოვარმა სახარების საქადაგებლად, ამცნო მათ და რქვა: „გზასა წარმართთასა ნუ მიხვალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხვალთ, არამედ მივედით უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა. არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა“. ამისთვის ის კურთხეულიც ყოველთვის და ყოველგან ცდილობდა აღდგენას წარწყმედულისა სახლისა ქართველთასა და მეც ესევე ჩამინერგა გულში· ერთხელ, განსვენებული ნიკო ჰავჰავაძე რომ დავმარხეთ, რომელმაც ორი ათასი თუმანი დასტოვა ქართულ საქმეებისთვის, ეპ. ალექსანდრე ვინახულე. მან, ცხონებულმა, უკმაყოფილობით მითხრა: მაგ ნიკო ჰავჰავაძემ თურმე ანდერძი დასტოვა, რომ მე მივეწვიეთ და ქართულად აგვეგო ანდერძით და მაგ თავ-შერცხვენილებმა ვინ ქნეს, რომ რუსის არქიელი და რუსის მგალობლები მიიწვიესო? ისინი ხომ „განუსვენე უფალო სულსა მონისა შენისასას“-ს მეტს არას იტყოდნენო! განა ქართულ ანდერძის აგებას შაედრება რამეო? თუ კაი წამკითხველი კითხულობს ანდერძს, იგი ისეა შემკობილი, რომ აღარც ქადაგებაა საჭირო, აღარც სხვა რა-

მეო. ნეტა რა ეხათრებათ ყაზახების მგალობლებისა ან იმ „ბობოლასი“, რომ სამშობლო ენაზე ანდერძს „იბრეულს“ ამჯობინებენ ხოლმეო? ქართველ მეკუბოვე კიკნაძეს სწუნობენ: მქლე ცხენები ჰყავსო და ნემეც შაერს ეყვლეფინებიანო! მე უნდა ანდერძი დავაგდო, რომ სულ „ქართულად“ ამიგონ ანდერძიო“. საწყალ ნიკო ჭავჭავაძესაც დაუგდია მაგისთანა ანდერძი, მაგრამ ვინ გაიგონა, საქმე ამსრულებელზე და ზედამდეგლებზე ჰკიდია-მეთქი, მოვახსენე. მე ზედამდეგელსაც იმ ნაირს დავნიშნავ, რომ ანდერძი წმინდად შეასრულოსო და მართლაც ასე იყო: უნაკლულო ქართული ანდერძი აუგეთ ცხონებულს მისგან აღდგენილ-გაახლებულ შიო მღვიმის მონასტერში, სადაც ეგზარხოსიც არ ამობძანებულა.

წინამძღვარნო ერისანო! ინტელიგენციავ, სამღვდელოებავ და ექიმებო! მიაქციეთ ყურადღება ამ ჩემს გოდებას, უშველეთ გადაშენების და გაწყვეტის გზაზე მდგარს ჩვენს ხალხს. თუ უგულოდ მოეკიდებით და ესეც ქართულ, შეუნდობელ დაუდევრობას და გულგრილობას გამოიჩენთ, მაშინ სამართლიანად დაიმსახურებთ სასჯელსა ქარისტე ღვთისასა: ვაი თქვენდა, მწიგნობარნო, წინამძღვარნო ბრმანო, რამეთუ დამალენით კლიტენი მეცნიერებისანი, თქვენ არა შეხვალთ და შემავალთა აყენებთ. (ლუკ. XI—52) ვითარმე განერნეთ სასჯელსა მას გეენიისასა? ამ წამლების შესწავლისთვის 1910 წ. ზაფხულში „სახ. გაზეთში“ № 9-ში და სინათლეში 1911 წ. № 62. გამოვაცხადე: ვუთმობ ორ კაცს მუქთა ბინას: სოფლის მასწავლებელთ, მღვდელთ და ინტელიგენტთ, ვინცთ საჭიროებს საწამლებლად თბილისში ყოფნას-მეთქი“. ვთქვი ვუწამლებ, წამლობას ვასწავლი, წავა თვითაც სხვას გამოადგება მეთქი და ასე გამრავლდება ამ წამლობის მცოდნე-მეთქი, საგრამ ყურიც არავინ გაიბერტყა. ძალიან რომ ვაქებ ამ წამლებს, არავისა სჯერა, ეგრე რომ იყოს, აქამდე ყველა ექიმი შეისწავლიდა მაგასაო, განა ვის ესიამოვნება ტყუილად ფულის ბოჭა და ნიადაგ მარცხი სენთან

ბრძოლაშიო? მე ამაზედ ცოტა სიტყვას გადაუხვევ: წმ. მეფის დავით აღმაშენებლის მემატიანე განცვიფრებულია ამ საკვირველი მეფის კაცად-კაცობით და მეტის მეტ დიდბუნებოვანებით ყოველ საქმეში და სწერს: „ვითარცა იტყვის თვით სადამე ალექსანდრიელი: არა დიდ იყავ აქიველი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა ომიროზსაო", (ჰომერს)... „ქონებოდესცა ამათ ბერძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორებისა მსგავსად და მაშინღა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა, და თუმცა დავითს სპარსთა მეფობა ჰქონებოდა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინღა.

გენახნეს ნაქმნარნი მისნი და სხვათა ქებულთანიო". (250—260 გვ). ვით მემატიანე სწუნობს თავის თავს დავით მეფის შესაფერ ქებაში, ისე მე: კი არ ვაზვიადებ ამ წამლების უებრობას, არამედ ვწუნობ ჩემ თავს ელექტროგომეოპატიის შესახებ ქებაში და აღწერაში, მას უკეთესი შემსწავლელი და მეცნიერი ეკუთვნის და უკეთესი კალამი, რომ ქვეყნად განთქოს მისი ღირსეული სიკეთენი, რომ ქვეყნად აღარ იყვნენ სხვათა ტვირთად ამ წამლების მეოხებით ეხლანდელებურად სნეულბისაგან დასახიჩრებულნი: ბრმანი, კოჭლნი, ყრუნი, გიჟნი, ბნედიანნი და სხვ... "ბრძენი ჰხამს მისად საქებრად და ენა ბევრად ასული".

1910 წ. ივნისში, სახელოვანმა მოღვაწე-მამულიშვილმა ი. გოგებაშვილმა „სახ. გაზეთში" წერილი დაბეჭდა აგარაკ ცემშს ჰავის ქებისა და ბძანებდა: „მე გულის სიგანივრე მაქვს და ცემის ჰავა, როგორც მაღლობ ადგილისა, არა მრგებსო". ჩემი დღენი მეყურებოდა მისი ავადობა და არ ვიცოდი კი: რა იყო? რა კი გავიგე ეს, ვეახელ და ამ წამლობის კარაბადინიც მივართვი გასაცნობად და გამოუცხადე ზემო თქმულისამებრ წმინდა და გულწრფელი მიზანი დავურჩიე სულ მუქთად და ადვილად შეგასწავლი წამლობას, თან გიწამლებ და უექველად გარგებს. ოც წელს კიდევ ადვილად იცოცხლებ-მეთ-

ქი. კარაბადინი გადამალ-გადმომალა და დამიბრუნა: მე ეხლა ამისთვის არა მცალიანო, რჩევისთვის გმადლობო და ცივად გამომისტუმრა. მე ჯერ სამადლობელი არა მიქნიარა თქვენთვის, გულწრფელ მადლობას მაშინ მეტყოდით, როცა ჩემი დანაპირები შეგისრულდებოდათ მეთქი, უთხარი და წამოველ. ამ ნაირ გულცივად მიღება უკეთეს მოკეთედ მისაღები კაცისა, მე ცოტა არ იყოს, მეწყინა და ასეთი წერილი მივწერე: „ბ. იკობ! თქვენ დაგვიწერეთ“ მამულისთვის თავ-დადებულნი“ და მით გსურთ მამულისთვის თავ-დადება გვასწავლოთ და ეხლა, დრო და გარემოება იმნაირ თავდადებას აღარ გვთხოვს და თქვენისთანა მამულიშვილის სიცოცხლე რომ შეუნახო მამულს, ესეც მამულისთვის ერთგვარი თავდადება იქნება-მეთქი“. დუმილი იყო მისი პასუხი.

ლ. ბაირონისა არ იყოს: მამულისთვისა მუდამ მზად იყო, რომ ჩასულიყო თვით სამარეში“ და ასეთი მამულიშვილისთვის მიმენებებინა თავი, რომ სიკვდილისკენ პირი ექნა? და მე მის საშველად მაინც საცდიელს არ ვაკლებდი. ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, რომ საქართველოს სხვა მხარეებშიც ჩვენი ხალხი გაწყვეტის გზაზე დგას და გულქვა უნდა იყოს კაცი, რომ ამას მარტო მხრების აწევით და დანანებით, თავის გაქნევით, უპასუხოს. ბავშვობისას წაკითხული მქონდა და ახლა კი თვით გამოცდილებით დამიმტკიცდა, და ეს ყველა ანბანის მცოდნემ უნდა იცოდეს, რომ გომეოპატიისაგან და ელექტროგომეოპატიისგან ვნება არ მოელის არავითარი კაცს წამლობაში და, თუ საჭიროებისამებრ ვერ არგო წამლობამ კაცს, არც თუ აწყენს რასმე და ბ. იაკობს რათ დაეზარა მისი გამოცდა? გოგებაშვილი ავადობდა ძველი სენით გულის სიგანივრით და ახლით მალარიით და როგორც თვით სწერდა გაზეთში ეკ. გაბაშვილის იუბილესადმი მიძღვნილ წერილში: „თუმცა ლოგინად ვერ ჩამაგდო, მაგრამ კარში გამოსვლას კი ვერ ვბედავო“. ასე, ტროპიკულ მცენარესავით კაცი „ბანკაშია„ ჩაკეტილი ამდენ ხანს, მე კი შე-

მცძლო, რომ მივეშვი, ძველი და ახალი სენიც შესამჩნევად შემენსუბუქებინა, რომ არც კარში გამოსვლა და არც სხვა რამ საქმე სახიფათო ბღარ ყოფილიყო მისთვის.

„დიდ კაცს დიდი ჭკუა აქვსო“, გამიგონია და მეგონა ასეთი გულწრფელი დაწიქებული რჩევით მას დავიყოლიებდი წამლობაზე, თუ შევეცდებოდი, მაგრა ის კი მავიწყდებოდა, რომ კაცს: დიდ ჭკუასთან დიდი გრძნობაც უნდა ჰქონდეს თავში, რომ სანდო რჩევა მართლა სანდოდ იცნოს და მიილოს კიდეც და ჩანს, რომ დიდ ჭკუას ყოველთვის თან არ ახლავს დიდი გრძნობაც. ასე მოიქცა ბ· აკაკი: მენდო გრძნობით, ცოტა რამ ხანს იაქიმა ჩემებურად და კაის მეტი მას მით არა უგრძვნია-რა... ამის მერე გავიდა 8—9 თვე და კაცი ისევ წინანდებურად სახლში იყო ჩაკეტილი და გულმა არ გამიძლო და კიდევ მივწერე ასეთი წერილი ორშაბათს 1911 წ. მაისის 16 თარიღით: ბატონო იაკობ სვიმონისო! გთხოვთ უმორჩილესად წაიკითხოთ წითელ ყწრანდაშით დანიშნული სტატიები: „უდ. სამღვდელო ალექსანდრეს სნეულება“ და „სინათლეში“ ელექტროგომეოპატიურ წამლობაზე, სადაც ერთ ალაგას ბრალსა გდებთ, რომ თქვენის და სხვათა უნდობლობით ეს 17 წელია ამ წამლობას სახელი ვერ გაუთქვი იმ ნაირი, რანაირი უებარიც იგია, რომ სოფლის მღვდელთ, ინტელიგენციას და მასწავლებელთ უქვდას მოეკიდნა ამ წამლობის შესწავლისთვის ხელი და მიშველებოდნენ გაწყვეტის გზაზე დამდგარს ჩვენ ხალხს. თქვენ ახლაც ავად ბძანდებით. 12 წლის მალიარია მე ვერაფრით ვერ მოვირჩინე ელექტროგომეოპატიის გარდა და ვერც თქვენ მოირჩენთ, რადგან ხანში შესულისთვის ეს ძალიან ძნელია და მაშინ, მე თუმცა უფრო ახალგაურდა ვიყავ, მაგრამ მაინც ალლოპატიამ ვერა მიშველა რა, ვერც თქვენ გიშველით. რა მიზანსაც მე, შივდევ, ამ წერილებიდან მიხვდებით და ამ მიზნის გულისთვის უნდა უეჭველად მაწამლებინოთ. კაცო ღვთისაო, გონიერი კაცი ხართ, განსაჯეთ! გუშინდელ სახარებაში

(იოანე 9 თ. 2 მუხლი), იკითხება: „რაბი, ვინ სცოდა, ამან (ბრმამამაო), ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმა იშვა?“ „რქვა მათ იესო: არცა ამან სცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ, რათა გამოცხადნეს საქმე ღვთისა მაგას ზედა“. თქვენი სენიც მის ნაირია, რომ უნდა გამოცხადდეს „საქმე ღვთისა თქვენს ზედა“ და ამაზედ ამცნოთ ქვეყანას თქვენი წერილით და ამით კაი სახელი გაუკეთდება ელექტროგომეოპატიას, ყველანი მიაქცევენ მას ყურადღებას, შეისწავლიან და ჩვენს ხალხს მაშინ წამალი დაედება. მოღალატე იქნებით თქვენი თავისა და მამულისაც, თუ არც ახლა შეისმენთ და არ მაწამლებინებთ, თუ არა, ჩემი სტატიები გაზ. „სინათლეში“ მოთავსებულნი, უკან დამიბრუნეთ და ეს წერილიც, რომელზედაც თქვენს გადაწყვეტილებას ზედ მიაწერთ.

თქვენი პატივისმცემელი და სიცოცხლის მოსურნე, მთავარი ქვაშვეთისა ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი. სამების ქ. № 3.

იცით, რა პასუხი მივიღე ამაზე? გაზეთები და წერილი ერთ დიდ კანვერტში ჩაეწყო და ზედ დაეწერა ჩემი ადრესი და ეს სიტყვები: „ვერ წავიკითხე, რადგანაც ავად ვარ. ნუ სწუხდებით და ნურც მე მაწუხებთო“! საწუხარზე მარტო მკვდარი არ იწუხებს. განა ძარღვების მაგიერ თოკები მაქვს ხორცში გაყრილი ან სისხლის მაგიერ დო მიდგა ძარღვებში, რომ არ ვიწუხო?

„რა ძნელია მოყვასისთვის
საშიშ ადგილს კაცს ხედვიდეს,
მას შაეძლოს მისი დახსნა,
შემწეობას ვერ აძლევდეს“! ერთი ლექსიდან.

მით უმეტეს ვწუხ, რომ მართლა შემეძლო მისი მორჩენა, თორემ არც ასე თავს გამოვიდებდი, არც უნუგეშობის დროს მეტის მეტად ვიწუხებდი, ბედს დავემორჩილებოდი და ვიტყოდი: რას იზამ, თუ კი მისი გამკურნავი წამალი არ იშოვება-მეთქი?

მით უმეტეს, რომ ამ ცდით და მისი გააშკარებით ბევრ ჩვენს

ხალხს წამალი დაედებოდა და სიკვდილი შემცირდებოდა. ყალბი რომ იყოს ჩემი წამლობა, მაშინ ისიც სიყალბეს გამოააშკარავებდა და განა გიჟი ვიყავ ასე მოვქცეულიყავ და ჩემი დასაკლავი დანა მევე გამომეჩინა? ჩვენი ძველები სულსაც, ხორცსაც და რჯულსაც სწირავდნენ მამულის სადიდებლად და სასარგებლოდ და ეხლა კი, ქვეყნის სამარგებლო მიზნის გულისთვის თავის თავზე ასეთი უვნებელი ცდაც ვერ გაუბედიათ, მით უმეტეს, რომ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჰპოებენ რჩენას, არა თუ წყენას.

..... ქართლისა ბედმა სჯულის გამოცვლა რომ
გთხოვოს მსხვერპლად,
ამა სოფელზე ხელაღებული,
დასთმობ იმ სოფელსც შეუნანებლად?
—ვიცი, იქ ტანჯვა უკუნისამდე
არ მომეშლება, არ არს ადვილი!
მაგრამ, ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,
მას არა ჰქვიან მამულისშვილი"! „ბაგრატ მეფე," აკაკისა.

მე ამას ვეტყვი ყველა ქართველს, რომელთაც მე დასახმარებლად ვეახლები ხოლმე, ჩვენს მოღვაწეებს და ან სულ ისე სხედან უწამლოდ, რადგან ეუბნებიან ექიმები: მაგისთანა სატკივრის წამალი ქვეყანაზე არ იშოვება აპერაციის გარდაო და ამით მოჯადოებულნი დანის ქვეშ თავს აკვლევინებენ, როგორც თბ. ქალაქის თავს ჩერქეზიშვილს, სარაჯიშვილს მოუვიდათ და ჩემ უვნებელ წამლობის გამოცდას კი გაურბიან! ბ. პროკლე ფალიაშვილს, მუსიკოსს, ჩუმი ანთება ჰქონდა ბრმა ნაწლევისა 1911 წ. ზაფხულს. ექიმები ეუბნებოდნენ თურმე: ეგ ამოუჭრელად ვერ მოგირჩებაო და ამოჭრაც ენკენისთვემდე არ იქნებაო, მინამ არ აგრილდებაო". ეს რომ შევიტყე, სახლში ვეახელ, როგორც მისი ძმებისა და ოჯახის პატივისმცემელი და შინ არ დამიხვდა, ცოლს უთხარი, რომ ასე და ასე: დასალევ-დასაზელი წამლებით მოვარჩენ, რომ სახიფათო აპერაცია არ დასჭირდეს მეთქი,

ერთ თვეს რომ იწამლოს, კმარა მეთქი და ასე ვარწმუნებდი, რაც არა ერთხელ გამომცდია და დამპირდა: კარგი, გადავცემ ჩემ ქმარსაო... მისი ცოლი საზებიო ინსტიტუტში ჩემს ქალთან ერთად სწავლობდა. იმან ნახა როგორც ჩემი ქალი ელენე გახდა ავად 1909 წ. სისხლის ნაკლებობითა და ერთ თვეს კონკითლა ძლივს დადიოდა, რომ ფეხით არ შეეძლო და ამხანაგები და იქაური ექიმ-მასწავლებლები ხან რკინის წვეთებს ურჩევდნენ: სვიო, ხან: კანში ნემსები აჩხვლეტინეო. ჩემი ქალი კი ეუბნებოდა: ეგეები არაფერი არ მინდა, მამაჩემი მწამლობსო და კიდეც მამარჩენსო და მართლაც მოვარჩინე. ეს სუყველამ დაინახა და პ. ფალიაშვილის ცოლმაც და მისმა ქმარმა კი ვერ გაბედა, რომ ჩემი მუქთი დახმარებით ესარგებლა, ეცადნა, მინამ აპერაციისთვის სახერხო დრო დაუდგებოდა და ასე უწამლოდ ელოდა ორ თვეს და ენკენისთვეში ამოაჭრევინა... ასევე ურჩიე ბ. ე. ხრამელაშვილს სახიფათო აპერაციის ასაცდენად, ვერც მას შევასმინე რამე. რამდენიც გინდა კედელს ცერცვი შეაყარე, განა დადგება? ჩვენს ინტელიგენციას კარგის და ავის გარჩევის შნო და უნარი თითქოს დაკარგოდეს, თორემ დიმიტრი ყიფიანისა და ილია წინამძღვარიშვილისთანა მამულიშვილთა კვალს ამ შემთხვევაშიც არ უნდა გაჰყოლოდნენ? საკვირველია, ღმერთმანი, ნათქომია: „ცუდათ ჯდომას ცუდათ შრომა სჯობიაო„ და ამის ნაირად: ცუდათ ჯდომას ხომ სჯობია ეცადნა ასეთი უვნებელი და უებარი წამლობა და ცდა ხომ ბედის მონახევრეა ხოლმე ხშირად? საკვეყნოდ დამტკიცებულია, რომ საზოგადოთ ელ.-გომეოპატია უვნებელი წამლობაა, ნუთუ ეს არ გაეგებათ ზოგ ჩვენ ნასწავლებს, რომ მის ცდას ჭირივით გაურბიან, მაშინ, როდესაც ამ ცდაზე სულ ცოტა იხარჯება ფული.? მე მეუბნებიან ზოგიერთნი: „თურმანიძიანთ გვარში ჭრილობის უებარი მალამო იციანო და თავიანთ ქალებსაც არ ასწავლიანო: რომ გათხოვდებიან, წამალს გააქვეყნებენო და თუ მართლა უებარი იცით რამე,

რას ყვირი, სხვას რათ ასწავლი, შენთვის იცოდე და ვინც მოვიდეს უწამლეო“ მაგრამ მე ამ ვიწრო შეხედულობისა არა ვარ, ოღონდ ჩვენს ქვეყანას ეშველოს, ძე ჩემ სამსახურით ერთი ლუკმა არ დამაკლდება და არც ვინანებ, თუნდ მის ჭირის სანაცვლოც გავხდე. თურმანიძიანთ წამალი კი რა სახსენებელია ჩემს წამალთან? მათი წამალი, ისიც მარტო გარეგნული, უბრალო ჭრილობას არჩენს, ჩემი კი მაშინაც არჩენს, თუნდ შხამიან იარაღით იყოს დაჭრილი ან გველის ან ცოფიანის ნაკბენით და ვისაც ეს არ სჯერა, ჩემს თავზედვე ვცდი, მხოლოდ საბრიყოდ კი ასი თუმანი სანაძლეო დადოს ჩემი წვალების სამაგიეროდ. ქართველებმა ასე ვიცით: მე ვარ რაცა ვარ, სხვები ვინ ყრიანო? მაშინ მე გურამიშვილისას ვიტყვი: „ვინც დაღმა ხნული აღმა ფარცხოს, ის მე ნურაოდეს მაჰმევს, რაც იქიდან გამოაცხოს“...

25 ივნის 1911 წ. „სახალხო გაზეთში“ ბ. გოგებაშვილმა ერთი წერილი დაწერა დ. სარაჯიშვილის სიკვდილის გამო. ამ წერილის გამო მე მივწერე შემდეგი:

1911 წ. 25 ივლისი. დიდათ პატივცემულო, ბ. იაკობ სიმონისო! ნუ გეწყინება, გენაცვალე, ხომ არაფერს ჰკარგავთ და დღევანდელ თქვენს წერილზე „სახალხო გაზეთში“, ორიოდე ჩემს აზრს მოგახსენებთ. გილოცავთ კარში გამოსვლას და იმდენათ „გაჯანმთელებას“, რომ ეს გაბედეთ. თქვე დალოცვილო, ეგრე რათ გეფუქსავატებით თვალში მე ჩემის ექიმობით? ქრისტე რომ ქრისტიანობას ჰქადაგებდა, ისიც რომ თქვენსავით დაეფუქსავატებინათ და არ გაეშოთ: ნუ იქადაგებ, რადგან სღვთისმეტყველო განათლება არ მიგიღია, არას დაგიჯერებთო! ნუ თუ ჰკუიანნი ასე შვრებიან და კაცის რაიმე ნაირ ქადაგებაში ჰაზრთა მსვლელობას, ჰკუასთან დაახლოებულ მტკიცებას და გულწრფელობას არაფერ ფასს არა სდებენ? მე გრაფ ტოლსტოის მეგობარს ბ. ვლადიმირ გრიგორის ძე ჩერტკოვს მივწერე მის ხელებზე სირსველის წამლობაზე და მადლობა მამწერა და თქვენებრ არ

დამიფუქსავატა თვალში. ისო ზირაქი ბძანებს: ამხილე ბრძენსა და შეგიყვაროს შენ და ნუ ამცნებ უგუნურსა, რათა არა მოგიძულოსო“. თქვენც ბრძენი და გამოცდილი კაცი ბძანდებით და თქვენგანაც მასვე მოველოდი. თქვენ დამიბრუნეთ ჩემი გაზეთები წაუკითხავად, ვითომ ავადმყოფობის გამო, ასე უნდა? ძველებს რომ უთქვამთ: „კაცი სცადე და სახლი ააზატეო“, ეს აზრი აქვს? ნუ თუ ისე უგულისხმო კაცად მიგაჩნივართ, რომ ჩემი სტატიები არც კი წაიკითხეთ? დალოცვილო, მათგან კეთხოვნება ხომ არ შეგეყრებოდათ? კარგი, ჩემი ექიმობა არა გწამთ, ეს თქვენი ნებაა, მაგრამ, იქ განა ექიმობის გარეითად კაი და ღირს მოსასმენი აზრები არაფერი იყო? თევზის უნახავად „თევზი წყალში ხომ არ დაფასდება“, და აზრთა მოუსმენლად კი კაცი დაფასდება და მოიძულება კიდეც?! კონვერტზე, რომ დაგეწერათ ჩემთვის: „ნუ სწუხართო“, მაშ თქვენ რაღად სწუხართ ახლა სარაჯიშვილის ადრეულად დაკარგვაზე? მაშ შეგნებული კაცისთვის საწუხარი არ უნდა იყოს, როცა სოფლის პატრონი, სოფლის „მარილი“ განქარვების—სიკვდილის გზას ადგა და იცი, რომ სხვა ვერავინ უშველის? ამაზედ რომ არ ვწუხდე, უნდა სისხლის მაგიერ დო მედგას ძარღვებში, ძარღვის მაგიერ კანაფი მქონდეს ტანში და თავში კიდევ ბზე მეყაროს! კარგად არ მიცნობთ თქვენს ცოტა ხნის ნაშაგირდალს, მაგრამ, ნუ თუ, მაშ, ასეთად მიცნობთ? რათა და როგორ? ჩემზე უაუგო და შეუფერებელი რა გაგიკონიათ, რა წაგიკითხავთ? მაშ, პატარა კაცი რომ ვარ, სულელი ვარ? თქვენისთანა მასწავლებლისაგან კარგს ვერას შევითვისებდი!? დღევანდელ თქვენს წერილში ბძანებთ: „ძალიან კარგი იქნება და ფრიად სასარგებლო, თუ ამ უბედურების შემთხვევით ისარგებლებენ ქართველი ექიმები და განუმარტავენ ქართველ საზოგადოებას, თუ: რა მიზეზი ჰბადებს კუის ავადმყოფობას და რა გარემოებანი უწყობენ ხელს მის გაძლიერებას, რა ღონისძიებით შეუძლიან ადამიანს ამ სენის თავიდან აცილება? მართა-

ლია, ეს საკითხი ჯერ სავსებით გამოკვლეული არ არის, მაგრამ რაც ამ ჟამად სამეცნიერო მედიცინამ იცის კუს შესახებ, იმის განმარტებაც ზოგს მაინც იხსნის ამ სენის შეხვედრისაგან და ეს კი დიდი ღვაწლი იქნება ჩვენის ექიმების მხრივ“-ო. ამის პასუხი თვით თქვენსავე წერილშია ზოგი: გამოჩენილი ექიმ-ხირურგი პიროგოვი ამ სენით მოკვდაო, სწერთ. ის მოკვდა 1881 წ. 71 წლისა. თუ მაშინ ჯერ არ იყო კუ გამოკვლეული, მალინინი ექიმი ხომ ამ ახლო წლებში მოკვდა, რომელსაც თქვენვე ასახელებთ. მაშინ თუ პიროგოვმა თავის თავს ვერა უშველა რა, მაშ ეხლა რატომ მალინინმა კი ვერა უშველა რა თავის თავს? აი, ბატონო იაკობ, ასეთი უსუსური იყო მათი მკურნალობის ყალბი მეთოდი და იმნაირივე უსუსურია იგი ეხლაც და იმნაირივე დარჩება მომავალშიც და მათგანი ჭკუიანს რამეს ვერას გეტყვიან, ტყუილი იმედი გაქვთ. ექიმ—ალლოპატები რომ ვარგებულიყვნენ, მე 12 წელს მალარიით ვიავადებდი ან თქვენ—ამდენ ხანს? რადგან მათ მეთოდის სიყალბეში დავრწმუნდი, მეც სხვა გზა მოვნახე და ღმერთმაც მიშველა: შემახვედრა მცხეთაში ვინმე ბერიკაცს, ინჟენერს გლებოკოშანსკის, გამაცნო თვისი მეთოდი, მიწამლა, მაპარჩინა, თქვენსავით კი არ მოვერიდე! იმავ დროს ალექსანდრე ეპისკოპოზსაც უწამლა და ისიც მოარჩინა 1893 წ. გულის სიგანივრე-სიმსუქნისაგან და წვივებფეხების საშინელი სიმსივნისაგან, თირკმელების სისუსტისაგან და ბუასილისაგან და სწორედ მიტომ იცოცხლა ალექსანდრე ეპისკოპოზმა 14 წელი უჭირველად და მშვიდობით მიიცვალა 1907 წ.... ალექსანდრე ეპისკოპოზს სანდოდ მიაჩნდი, როგორც ლეონიდის ნაამხანაგრი, ორი წელიწადი რამდენი ექიმები მოდიოდა და ვერა არგეს რა და ეს „არა—ექიმი“ კი მე უპოვე და კაი ექიმადაც გამოადგა! შემდეგ ცხონებულ გაბრიელ ეპისკოპოზს გაუგზავნე რჩევის წერილი, რომ ამ კაცისთვის ეწამლებინებინა, მაგრამ ის ფანატიკოსივით ტრადიციულ რწმენა-ჩვეულების გამო ამ არა მეცნიერულ წამლო-

ბას თქვენსავით ვერ ენდო და ექვსი თვის მერე გარდაიცვალა და მისი წერილი დღესაც მაქვს ამაზე სახსოვრად! აბა, მაშ ამ ნაირი წამლობა არ გამიტაცებდა? ყდ-სამღვდელო ალექსანდრემაც წამაქეზა, იმ გლებოკოშანსკისაც სთხოვა, რომ ჩემთვის ეს ექიმობა ესწავლებინა და მანაც მასწავლა სისრულით მართო მის თხოვნის გამო თორემ, წინადაც ბევრს ვეხვეწებოდი მას, სწავლებაში ფასსაც ვაძლევდი, მაგრამ პირჯვარი ვერ დავაწერინე! აი ასე და ამ გვარად: ბევრი ჭირი გადავიხადე ამ წამლობის შესწავლაზე და თქვენ კი გგონიათ იარმუკაზე შემისწავლია თუ რამე, ან ყური თუ მოვკარი სადმე რასმე. თქვენი დღევანდელ სტატიის გულის ნადებზე მე ამ კვირა რუსულად დავამზადე სტატია და დღეს პ. გოთუას გადავეც და დამპირდა: იქით კვირას დავბეჭდამო. აბა, თუ მოგდით მისი გაზეთი, წაიკითხეთ სტატია „Еще одна жертва людскаго невѣжества“*), თუ არ მოგდით, მომთხოვეთ და მოგართმევთ! მაშინ გაიგებთ, საქებარი ვარ თუ საგმობარი. ის სტატია შეინახეთ და თუ დაწერეს რამე ამაზე ქართველმა ექიმებმა, ერთმანეთს შეადარეთ და დარწმუნდებით: რა უსუსურია ალლოპატიური მეთოდი და მათი ექიმობა! ილია ზარაფიშვილიც შარშან ენის კუით მოკვდა. მე ურჩიე ჩემი წამლობა და მუქთი დახმარება და არ გამიგონა თქვენსავით და რას ვარგებდი? სარაჯიშვილსაც სამი წლის სიკვდილის წინად მივწერე, ჩემი წამლობა ურჩიე, რადგან ტყუილად ფლანგავდა საზღვარ გარედ ფულებს, არც მან გამიგონა. ამაზე სრულად იმ სტატიაში იქნება, თუ არ შემიმოკლეს და არ დამიმახინჯეს მით. ახლა კი მოკლედ ამას მოგახსენებ, რომ ჩემ თავს და რვა შვილს გეფიცები, ორნივე დღეს ცოცხლები იქნებოდნენ, რომ ჩემი რჩევა მიეღოთ. ახლა გკითხავთ, როგორც ჭკვიან კაცს: ამდენი ვისმესთვის მირჩევია

---

*) რედაქციამ ასე გადააკეთა: По поводу кончины Д. З. Сараджева იხ. აქვე გვ. 77.

ჩემი წამლობა და გონიერება მოიხმარეს, რომ ჩემგან სიცოცხლე არ მიიღეს და ალლოპატ-ექიმების ხელში დაიხოცნენ? რატომ ამას არა ფიქრობთ: თუ კი ჩემი თავის და წამლების იმედი არა მქონდეს და მოტყუება მინდოდეს, რადა ჩვენი ქვეყნის მოღვაწეებს ავირჩევდი ამისთვის? თუ მატყუარა ვიყო, აქამდე არ დამიმტკიცებდნენ? დაბალ ხალხს რამდენ ვისმეს ვწამლობ და ვარჩენ! პეტრე უმიკაშვილის ბიოგრაფიაში სწერია: ყური ასტკივდაო, ექიმი მორჩენას ჰპირდებოდაო, მაგრამ ყურიდან ანთება ტვინზე გადავიდა და კაცი მოკვდაო. ასეთი ყალბია ალლოპატია: ერთ სენს სწამლობს ვითომ, იმას ვერ არჩენს და დამატებით: სხვა სენი უჩნდება! მეც მამივიდა ამ დღეებში ყურის ანთება ერთ ღამეს არც დამაძინა, არც მამასვენა, არც საკმაო წამლები მქონდა შინა, რომ ჩქარა განმექარვებინა, მეორე დღეს ძალიან დამისივდა, მივიყარე ყველა წამლები, მესამე დღეზე სიმსივნემ იკლო, გუშინ კარგა ვიყავ, დღეს უკეთესად, ასე ხელად ვძლიე. მისი სიმწარით მთელი ნახევარი თავი მტკიოდა. თუ არ ჩემი წამლები, სხვაფრივ ცუდად იქნებოდა ჩემი საქმე. გწერს თქვენი პატივისმცემელი და არ მოსაძულარი მთ. ნ. ოქრომჭედლიშვილი.

ეს წერილიც უკან დამიბრუნა ბ. იაკოფმა ზედ წარწერით: „გიბრუნებთ ამასაც წაუკითხავადო“. ბ. გოგებაშვილს პედაგოგია სპეციალურად არ შეუსწავლია აკადემიაში. ჩვენს სხვა ისტორიკოს-მწერლებს ისტორიულ-არქეოლოგიური განათლება სპეციალურად არ მიუღიათ, მაგრამ, წადილი რაკი ჰქონდათ ხალხის რგებისა და სინათლის მოფენისა, მიჰყოლიან საგანს და დახელოვნებულან და საყურადღებო შრომა და ღვაწლი შეუქმნიათ და ბ. იაკოფიც საყურადღებო მოღვაწედ ამისთანა მეცადინეობამ გამოიყვანა ა რატომ სხვაში არ უნდა სწამდეს ამისთანა რამე ღვაწლის გამოჩენა? მეცნიერები ცხოვრებაში მეცნერდებიან, არა თუ მარტო სასწავლებლებში და ცოდნა დედის მუცლიდან არავის დაჰყოლია და მეც ეგრე; მეცნიერი არცა ვარ და არც ვიკვეხი, მაგრამ

ელქტრო-გომეოპატიური წამლები როგორი ყვენებელი და-უებარიცაა, ეს კი ჩემზედაც, ჩემი ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებზედაც და სხვა ბევრნაირ ავადმყოფობაზე გამომიც-დია და ვამტკიცებ, რომ ასე უებარია ყველაფერში მეთქი და წერილის არ წაკითხვა რაღა უბედურებაა? განა შინათ განვითარებულთ არ აჯობეს მეცნიერების ქურუმთ და მათ არ მოიგონეს: ტელეფონი, ტელეგრაფის რკინის გზა, ზღვის ორთქმავალი, ფონოგრაფი და სხვანი?.. იმ იაკოფის გაზე-თის წერილმა ისე უქმად ჩაიარა და ამდენი ხანი მიდის, რომ ალოპატ-ექიმებმა მას თხოვნა-წადილი ვერ შეუსრულეს ისე მოკვდა და ვერ აუხსნეს კუს ავადმყოფობის ამბავი: წამ-ლობა ან წინასწარი მისი აცილება. იცოდა საწყალმა იაკო-ფმა, რომ მასაც სარაჯიშვილივით ნაწლევის კუით მოე-ლოდა სიკვდილი? სწორედ კაი დროს მივატანე: ეს სა-შინელი სენიც ასცდებოდა ჩემი წამლობით და ძველი სენიც რჩენას დაიწყებდა, მაგრამ ვინ გამიგონა? აი ასეთი უსუსუ-რია მათი ვითამდა მეცნიერება, ელექტრო-გომეოპატიაში კი კარგაა კუის წამლობის საქმე და მისი მორჩენაც და აცილე-ბაც შესაძლებელია თავის დროზე წამლების ხმარებით და ეს არავის უნდა დაიჯეროს და არც არის ამ წამლობისას თა-ვიანთი ცდით იკვლევენ ალოპატ-ექიმები. სარწმუნოება მრა-ვალგვარია. ქრისტიანმა რომ თქვას: არაფერი სხვა სარწმუ-ნოება არ არსებობს, გარდა ქრისტიანობისაო, განა ამ თქმით სხვა სარწმუნოებანი მოისპობიან? ისე კიდე ალოპატ-ექიმებმა რომ თქონ: არ არის სხვა მკურნალობა და სამკურნალო მეცნიერება, გარდა ალოპატიისაო, ამით ელექტრო-გომეოპა-ტია არ მოკვდება, მაგრამ ეს კი დიდად სამწუხაროა, რომ ბრკოლდება კი ამეებით მკურნალობის გავრცელება ფართო ხალხში და საზოგადოებაში და ამის გამო ამ წამლობით ბევრი ადვილად გასაკურნებელი სენი, უკურნებელი დარჩება და ამის გამო ჩვენს მოღვაწეებს ზედი-ზედ სამარეს ვაბარებთ. ქვეყნის მოღვაწე უნდა მეტად გაფთხილებული იყოს და ამ

ნაირ გაფთხილებით იყო სწორედ ცოცხალი დღემდე იაკობი. ღვინო-არაყს ერიდებოდა, ისეც ბრალიან უბრალო საქმეებს, და ავადმყოფობა არ უარესდებოდა და დღეგრძელობდა კაცი ამდენხანს. მის ალაგას გაუფთხილებელი კაცი დიდიხნის დამარხული გვეყოლებოდა. ბ. აკაკისგან გამიგონია ერთი ანეკდოტი მის მეტის მეტ სიფთხილეზე: „გოგებაშვილს რაღაც ბოღმა შემოსწოლოდა გულზე და თავის დასაღრჩობად წასულიყო და მინამ არჩეულ ალაგს მიახრწევდა, სადღაც ქაობში შეეტოპა და ფეხები რომ დასველებოდა, ისევ უკან შინისკენ გამოქცეულიყო: ვაიმე, ახლა რევმატიზმის ქარები არ გამიჩნდეს ფეხებშიო“... მართლაც მოღვაწე კაცს, მერე ქართველ მოღვაწეს თუ მწერალს, ეს ნიადაგ უნდა ახსოვდეს და თავის თავს უფთხილდებოდეს ყოველ ნაირად, ამ ნაირი უებარი წამლობით და სხვაფრივაც მართებული ქცევით, თორემ რა ჰქვაა, რომ პატრი თამარაშვილივით ზღვის ტალღებს შევებრძოლო ვინმე კაცის გადასარჩენად და ჩემი თავი კი ზედ წავაგო და ან ყაზბეგივით და ვლ. ლორთქიფანიძესავით წარა-მარა ქცევით დაუკარგო ისეც ობხრებულ თვის ქვეყანას, მოღვაწეებით ღარიბს, შეუდარებელი მოღვაწე? „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, ამისთვის არ უთქვამთ ჩვენს ძველებს? თუ ყველაფერი განგების ხელშია და „არ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა, არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენაო“? როგორც ბძანებს სულ-განათლებული შოთა? და მიტომ „სადაც იყოს ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“, როგორც ამბობს ჩვენებური ანდაზა? მაგრამ სიფთხილეც არის და სიფთხილეც, რაც ქვეყნის სასარგებლოდ გამოსაკვლევ-დასამტკიცებელია, ამის, არამც თუ უნდა გაურბოდნენ ჩვენი მოღვაწენი, არამედ თვით უნდა ეტანებოდნენ, რომ რამე ნაირად ჩვენი ქვეყანა გაწყვეტისაგან დაიხსნან—თუნდა თავისი თავიც წააგონ ქვეყნის სიკეთისათვის თავგანწირულთა. ეს კი მხოლოდ ერის რჩეულთ ხვედრია, მაგრამ, ნუ თუ ჩვენს მოღვაწეებში რჩეულნი არ ურევიან?

მე კი ვამტკიცებ, რომ აქ რჩეული არაფერს შუაშია და ელექტრო-გომეოპატიის გამოსაცდელად და მის უებრობის დასამტკიცებლად ღმერთი, რჯული: არაფერი სახიფათო თავგანწირულება არავის შეხვდება, არავის რას ავნებს ეს წამლობა და ნუ თუ, თუ არა-მეცნიერს, მე, როგორც მრავალ წლის გამოცდილს, არაფერი დამეჯერება? რატომ?... ისტორია იქნება თქვენი პირუთნელი მოსამართლე. ჩემი რვა შვილით, მათი ცოლებით და ქმრებით ყველანი ამ წამლობაში ვმოღვაწეობთ და ბევრ ჯიუტს და ურწმუნო თომებს დავაკვრევინებთ ხოლმე ცხვირს ამ წამლობის შეუდარებელ უებრობაზე და სანამეტნაოდ მაშინ თუ ჩემი შვილების ესრეთ წოდებულ „მეცნიერულად“ გაექიმებაც მეღირსა, თორემ ჩემი, როგორც „უპატენტო“ ექიმისა, არა სჯერათ რა არავის.

ერთხელ ერთი წერილი ვატარე ერთ წელიწადზე მეტ ხანს ჩვენ მოფრანგულე ინტელიგენტებში, 3—4 კაცს ეგდოთ შინ რამდენიმე თვე გადასათარგმნად, ამ წამლობაზე ერთ რამეს ვეკითხებოდი ლონდონის ელექტრო-გომეოპატიურ ჟურნალს „Modern Medicine“-ს რედაქციას, მაგრამ შნო გაუწყდათ და არ გადამითარგმნეს. მოდი და ამათთანა ხალხში იკეთილე რამე! ბოლოს ა. ა—შვილი და ა. ყ—ელი დამპირდნენ გადათარგმნას და იმათ კი არც გადამითარგმნეს და აღარც დამიბრუნეს წერილი და ბოლოს ახალი დავწერე და უცხო კაცს გადავათარგმნინე და ჩვენიანებს კი მადლძაღლებს, შნო გაუწყდათ, რითაც დამიმტკიცეს, მქვეყანა და ქვეყნის საქმეც და შენი ხათრიც ფეხებზეც მკიდიაო... სირცხვილი მათ!

ამ წამლობის ჩემგან შესწავლის და ა. ხახანაშვილის გაცნობა—დამეგობრების 1893 წ. შემდეგიდან სული კბილით მეჭირა, რომ მას უდროო დროს არა დაშავებოდა რა და როგორ უჩხიკინებდი, რომ ელ.-გომეოპ ტიისთვის წაევლო ხელი, ამ მისდამი სიკვდილის წინ მიწერილ დაზღვეულ წერილიდანაც, № 324, შეიტყობთ. რომელიც ფოსტამ, მისი უპოვნელობის

გამო, უკან დამიბრუნა—ზედ წარწერებით: „Возвращается обратно за не нахожденіемъ адресата“. ფოსტის გადაკრულებულობას უყურე: ეს წერილი კი ვერ მიეცათ და „სინათლის“ ნომრები კი მიეცათ მის ექიმ ბ. ნემსაძესთვის, მაგრამ მაშინ სნეული უკანასკნელ დღეში ყოფილიყო და რაღა ამეების სცხელოდა?

„ღმერთმა ქნას: კიდევ მენახო
მხიარული მხიარულსა.“ შოთა.

ჩვენო სასიქადულო მოღვაწევ და მამულისშვილო ალექსანდრე სოლომონისო! ჩემი ეპისტოლე რომ მოგივათ, ბძანებთ: ის ოხერი მთავარი რას გადამკიდებია, ხომ იცის, რომ მე მას არას უჯერებო? ეს ასეა ხომ, მაგრამ მაინც კიდევ გწერ შოთას თქმულისამებრ: „ასი გმართებს თქმა და რჩევა, არ გეყოფის არ ერთხელიო“ და მეოთხედაც მიტომ გწერ, რომ, თუ ახლაც არ გამიგონებ ჩემს ასეთ ჩამოკიდებაზე, ერთს მაინც გაიცინებ და ავადმყოფობაში გაცინებაც კაი წამალია. მე ამით ჩემს მოვალეობას ვასრულებ: „ნუ დაფარავთ სიმართლესაო“, გვიბრძანებს საღმრთო წერილი... ამასთან უბრალო ბანდეროლით გიგზავნით „სინათლეში“ დაბეჭდილ სტატიებს, საიდანაც მიხვდებით ჩემს წმიდა მიზანს და ახლა კი იმედი მაქვს, რომ იმდენი გრძნობა კიდევ გექნებათ, რომ იცნოთ კეთილი და უტყუარი მრჩეველი და რჩევა შეისმინოთ. მე რა ჰასაკში ვარ (53 წ.) ამ ხნის კაცს სიზმარიც დამეჯერება სრულ ცნობიერ კაცისაგან. დღეს წავიკითხე გაზეთებში თქვენს ავადმყოფობაზე და გეფიცები ყოველივეს: ცისას და ქვეყნისას, რომ ჩემის რჩევის გარდა, სხვა ვერა გამოგადგება რა, სხვა წამლები უფრო მოგშხამავს. სწორედ მაგას მინდოდა ამერიდებინე წინანდელი წერილებით, რომ გირჩევდით ელექტროგომეოპატიის შესწავლას და ხმარებას დაჰირების დროს. მაშ როგორ გეგონათ: შეგრჩებოდათ ის, რომ სქელ სქელ წიგნებს სწერდით და საკვლევ საგნებს თავს აკლავიდით? მაგისთანა ფიზიკურ-გონებრივ მუშაკს სჰირია სწორედ სათიე

ჯადოსნურად უებარი წამლობა, როგორც ელექტროჰომეოპატია და ვერა შეგასმინე რა, არ ვიცი ჩემის გაგონებით რასა ჰკარგავდი? თუ არა გწამს ეს წამლობა, გაუშვი ნუ გწამდეს, თუ მიჰყვები ჩემს რჩევას უწამებლადაც გარგებს იგი, გარწმუნებ, ღმერთს გაძლევ თავდებად. თუ მოღალულობაა თქვენი ავადმყოფობის მიზეზი, აყიდვინეთ მანდაურ ჰომეოპატიურ აფთიაქში ორი წამალი: Scrafoloso № 1 და Scrofoloso Giappone........ აქ ვწერდი, როგორც უნდა ეხმარა ეს წამლები........ არც დასალევს და არც მარცვლებს წამლის გემოს ვერ შეატყობთ, მაგრამ აბა ყური უგდეთ, როგორ ჩქარა წამოგიყვანოთ წინ. მათ უგემოობით ნუ დაიფუქსავატებთ. სისხლს დაგიწმენდავს, ღონეზე მოგიყვანს, მადას მოგცემს, საჭმელს ადვილად მოგანელებინებს და კაი გუნებაზე დაგაყენებს. თუ ფილტვის სიქლექეა, მაშინ ესენი არ კმარა, მას სხვა წამალი აქვს და შემატყობინეთ და გამოგიწერთ მასაც იტალიიდან, რუსეთში კი ის სრულიად არ იშოვება, რადგან არც არავინ იცის მისი ვარგისობა და მე კი ჩემი ჰირკოდილობით ვიცი ყველა ესენი. ვნება ყოველ შემთხვევაში არა მოგელით რა ამ წამალთაგან და და ამიტომ ექიმებს მათზე ნურას დაეკითხებით. თქვენთან თქვენი ნათესავები წამოსულან და მათ გააკეთონ ყველა ესენი და ექიმები კი ვერას გაიგებენ მაგ წამლობისას, ვერც ქიმიური ანალიზით, ვერც გემოთი. არ ვიცი: რა ნირშია თქვენი ავადმყოფობა, თორემ სულაც ჩემთან წაგიყვანდი სოფელში და იქ მოგარჩენდი. თუ მაინც არ გამიგონებ ახლაც, მაშინ თქვენი წარწერით უკან დამიბრუნეთ ყველა ჩემი გამოგზავნილები მომავალ ისტორიისთვის ჩემგან ამ წამლობის გავრცელებაზე საქართველოში. მართალია: პროფესორი ბძანებით, მაგრამ მეც უნდა დამიჯეროთ ცოტა რამ, რადგან ეს 18 წელია რაც მე „პროფესსორი“ და გამავრცელებელი ვარ საქართველოში ამ წამლობისა და ბევრი ვინმე გადამირჩენია სიკვდილს და ხელის და ფეხის მოჭრას, მაგრამ დაბალი ხალხიდან ვინ რას გაიგებდით ამეებს, რომ თქვენც გერწმუ-

ნათ ჩემი „პროფესორობა“? ამიტომაც მინდა სწორედ ერთი ვინმე ჩვენი ცნობილი მოღვაწე მოვარჩინო, რომ გაზეთში გამოაცხადოს ამ წამლობის უებრობაზე, თორემ დაბალ ხალხისგან მიტანილს არას ბეჭდავენ, ასე ჰგონიათ, რომ ისინი ჩემი რეკლამისთვის სწერენ და არა თუ მიტომ, რომ მართლა მორჩენილან. აბა, თუ გნებავთ, შეეკითხეთ: თბ. სემინარიაში მასწავლებელ ივანე მათესძე გორტინსკის, ან სახალხო სკოლების დირექციაში: ინსპექტორს ტიმოთე გვლადიმერისძე კალენიჩენსკოს, ან ცნობილ კასპარ ქრისტეფორესძე ლომიძეს: რანაირად არგოთ ამ წამლობამ და ქართველები კი გადაბრჯნილ ხართ და არას მიგონებთ, თითქოს განგებ სასიკვდილოდ თავი გადადებული გქონდესთ, თუ არ ვიცი ჩვენი ქვეყნის უბედობისაგან არის ესა. „ბედი უბედო ჩვენზედა, მიწყივ ავისა მქნელიაო“, ბძანებს შოთა. მანვე ბძანა: „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსაო“ და კიდევ „მას მკურნალმა ვითა ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირსაო“ და ამიტომ კარგი იქნება შემატყობინოთ: თუ გულის ფრიალიც გაქვთ ან სხვა რამენაირი წუხილი: ღვიძლის, თირკმელების ან ელენთის ტკივილები, მაშინ ჩის დაგვარად დაგიყენოთ წამლობა და თუ არც ფილტვის სიჭლექე და არც ხსენებული ორგანოები არ გტკივათ, მაშინ ზემოხსენებული ორნაირი წამალიც გეყოფათ. რადგან მე თქვენგან გულგატეხილი ვარ და შეიძლება არც ეხლა შემისმინოთ და არც რამე ამბავი შემატყობინოთ, ამიტომ ვგზავნი ამ წერილს დაზღვეულს უკან დასაბრუნებელი ბარათით. გრიგოლ ვლადიმერისძე ჩერტაკოვისაგანაც მაქვს მადლობის წერილი, რომ ხელებზე სირსველის წამლობა ვასწავლე და ქართველები კი ჭირივით გამირბიან, ვისი შველაც მე ყველაზე მეტად მეწადა, მაგრამ ასეა: „არა არს შეწყნარებულ წინასწარმეტყველი თვისსა მამულსაო“. სხვა რაღა თავი შევაწყინოთ მეტის წერვით, ახლა ჯერ ამას ვიკმარებ. **Sapieut sat!** დავშთები თქვენი დღეგრძელობის მაველრებელი ქვაშვეთის მთავარი ნი-

კოლოზ ოქრომჭედლიშვილი. ორბელიანთ ქუჩა № 20.
P. S. თუ ეშმაკს შეაფურთხოთ და მომწეროთ რამე ივლისის განმავლობაში, მაშინ ამ მისამართით მამწერეთ, რადგან სოფელში ვარ ერთ თვეს დათხოვნილი და რაც საჭიროა, იქიდანაც მოგიხერხებთ. 1-ლი საათი ღამისა. აქ ჩემი სოფლის მისამართს უწერდი. წამლები თუ მანდ არ იყოს გომეოპატიურ აფთიაქის უქონლობის გამო, მიბძანეთ და მე მოგართმევთ უფრო ახალს, თორემ ზოგნი ყალბ წამლებსაც ასაღებენ, რადგან ფიქრობენ ვითომ მის მხმარებელნი ფსიხოპატები ვიყვნეთ: „სულ ერთია, თუნდ იტალიიდან მოსული წამალი მივცე, თუნდ ჩემი გაკეთებული „ცარიელი“ შაქრის მარცვლებიო“ და ცარიელები კი ვის რას არგებენ, მაშინ როდესაც უკეთესობა ამ წამლისაგან ორიოდე დღეს უნდა იგრძნოს სნეულმა და ყალბ წამლის მყიდველთან მეორედ ვინლა მივა? იგივე.

აბა წაიკითხეთ „სახ. გაზეთის“ გუშინდელი № „ი. გოგებაშვილის უკანასკნელი წუთები“, სწერია: თითქმის მორჩა და კარგა გამოიხედებოდაო, ადგომას და გასეირნებასაც აპირებდაო და როცა მორჩენილი ეგონათ ალოპატებს, სწორედ მაშინ კვდება! ასეთია ალოპატია, ნუ ენდობით, ავადმყოფს როგორც ცარიელი ჰაერით გაბერილ ტიკს, ისე აჩვენებს და და ჰხედავ: როდამაც სული გააყრევინა ავადმყოფს; ელექტრო-გომეოპატიის მორჩენილი კი საბოლოო და საიმედოა და ამას ასეთი საჯაყი საქმე თავის დღეში არ დაემართება, დამიჯერეთ ყველამ, როგორც 19 წლის გამოცდილს, არა თუ ზეპირად მრჩეველს და ამაოდ გატაცებულს.

სტატისტიკური გამოკვლევით ბ. თ. ღლონტი „სახალხო გაზეთში“ ფელეტონში „იმერეთის კულტურა“, № 951, ამტკიცებს, რომ „იმერეთში მეტის მეტად ხშირია ხალხის ავადმყოფობა და სიკვდილიო“ და ჩვენი ნასწავლი ხალხი კი ნაცარ-ქექიობას მისდევს. თუ ნაცარ-ქექიაობა არაა ეს, მაშ, რაა, რომ მთელ ქართველობაში გომეოპატიას მარტო ორი ჰყოლია მიმყოლი: ცხონებული დ. ყიფიანი და ბ. ილია წი-

ნამძღვრიშვილი? იმავ „სახალხო გაზეთში“ № 986, ბ. სვიმონ ხუნდაძე სწერს „წინამძღვარიანთ-კარის სკოლაზე“ სხვათა შორის: „ბ. ილია წინამძღვრიშვილი დღესაც ისე, როგორც 30 წლის წინად, თავს ევლება თავის სკოლას დაუშრეტელი ენერგიით. საკვირველი და გასაოცარია ამ კაცის ბუნება! 30 წელი ასეთი მძიმე ტვირთი ატარო და არ დაიღალო, განა ჩვენში მსგავსი რამ ვაგიგონიათო?. „თუ იცით, რომელი თილისმა აძლევს ბ. ილიას დაუშრეტელ ძალღონეს, ენერგიას და ჯანმთელობას? ამაში ბ. ილია დამემოწმება, რომ ასეთი თილისმა მისთვის გომეოპატიური მკურნალობაა, რომელიც ადამიანის ჯანმთელობას იცავს და დაუშრეტელ ენერგიის მიმცემი კიდევ ტკბილი სამშობლოს დიდი და უტყუარი სიყვარულია. ახლა გეკითხებით ყველას: თქვენგანმა ვინ მიჰბაძა ბ. ილიას ამ წამლობის შესწავლაში, ვინ მიიღეთ და აასრულეთ ამ წამლობაზე მისი ქადაგება? არავინ! რატომ? თუ აქამდე ამას არავინ გრძნობდით, ეხლა მაინც იგრძენით ეს: შეისწავლეთ გომეოპატიაზე, ჩემის 19 წლის გამოკვლევით დამტკიცებული, უფრო უებარი და უფრო ადვილად შესასწავლი, უფრო ადვილად სნეულებასთან მისაყენებელი ელექტროგომეოპატია და უშველეთ თქვენს თავს და ჩვენს ხალხს. აკაკი პაპავა „სახალხო გაზეთში“, ფელეტონში „ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე“, № 973, სხვათა შორის, სწერს ბ. ვაჟაფშაველაზე: „იგი მუდამ სამშობლოს უდგა დარაჯად და როცა, უკვე დაავადებულ საქართველოს ახალი თაობა გაურბოდა, ვაჟა მარადის თავის კერასთან იყო, მისი კვნესით კვნესოდა და წარსულის მდიდარ ცხოვრებაზე დამღეროდა, რომ იმედ გაცრუებულ ხალხს სიცოცხლის წყურვილი მოსდებოდაო“ და სხვანი... მისი მშობელი ხალხი თანდათან წყდება სხვა და სხვა სენით, უფრო კი სისხათი და რასაც სნეულება აკლებს, იმას თვით უსრულებენ თავის თავს და სისხლის აღებით ერთმანეთს ელეტენ და ბ. ვაჟა კი ლექსებსა სწერს, თითქოს მეტი არაფერი გვიჭირდეს. ამდენი ...

ნი ჩამოვკიდებივარ ელ.-გომეოპატია შესწავლე და შენს მშობელ ხალხს გამოადექი, რაც შენთვისაც უსარგებლო არ იქნება მეთქი და თითქოს გამიგონა, კაობადინი შეიძინა. მერე ენახე, მითხრა: გულის ფრიალი მოვირჩინეო და ჩემი ცოლიც მოვარჩინეო და შემდეგ კიდევ შემხვდა და ვკითხე: როგორ განვითარდი წამლობაში მეთქი და მიპასუხა: რის მაქნისი წამლობააო? აი ასე ზერელედ ეკიდება ის ამ წამლობას და ამ წიგნით კი, მგონი, ძლიერ საფუძვლიანად დავამტკიცე ელ.-გომეოპატიის უებრობა-ღირსებანი და ვაჟასთანების შეხედულების სიყალბე. არც ახლა დაიჯერებთ? ამისთანა თითქმის უკვდავების წამლობის შესასწავლად ვაჟა ერთხელაც არ გაისარჯა ჩემთან მოსულიყო და ჩემი მორჩენილნი, ამ წიგნში მოხსენებულნი ავადმყოფნი ენახა და მხოლოდ მაშინ დარწმუნდებოდა: რის მაქნისიცაა ეს წამლობა. ვაჟაზე ბევრს ვიტყოდი, მაგრამ შემდეგისთვის დარჩეს. ამას კი ვიტყვი, რომ საქმით უნდა ჩვენ ხალხს შველა, საქმით და არა მარტო ლექსების წერით. მქადაგებელი, თუ მწერალი, თავის ქადაგებას ყველაზე წინ თითონ უნდა ასრულებდეს. გრაფ ტოლსტოის წერილები წავიკითხე „Руск. слово“-ში 14 აპრ. 1913 წ. № 87 და 8) რიცხვის ქვეში ეწერა: „გუშინ გადავათვალიერე რომანები, მოთხრობები და ლექსები მგოსნის ფეტისა. მოვიგონე ჩემს სამშობლო იასნა პოლიანაში ოთხ ფორტოფიანზე შეუწყვეტელი მუზიკა და ისე ცხადად წარმომიდგა, რომ ყოველი ეს: რომანები, ლექსები და მუზიკა არაა ხელოვნება, როგორც უაღრესი და საჭირო საზოგადოდ ხალხისთვის, არამედ სანებივრო, სალაღობო..... ცხოვრება კი, მთელი ცხოვრება დუღს თავის კითხვებით: საჭმელზე, მოწყობაზე, შრომაზე, სარწმუნოებაზე, ხალხთა დამოკიდებულებაზე.... სირცხვილია, საზიზღარია. შემეწიე მე, ღმერთო მამაო, რომ ამ სიცრუის ახსნით შენ გემსახურო“-ო. მეც ამავე აზრისა ვარ ლექსებზე და მოთხრობებზე: ისინი დამწერების მეტს, სხვას ვერავის პურს ვერ მისცემენ. გემო

წამხდარი გვაქვს და მეტის მეტად ცამდე აგვყავს ჩვენი მელექსეები, თითქოს დიდი რამ სამსახური გაეწიოთ ხალხისთვის. აბა ერთი იკითხეთ ხალხში: რა ღვაწლი მიუძღვით მათთან მელექსეებს, ვინც გინდა იყოს? არც კი იცნობენ ამათ ისინი, რადგან საქმენი მათნი მკვდარ არიან. ჩვენი ინტელიგენცია კი მათ დიდებულ იუბილეს უმართავს, თითქოს ბ. ილია წინამძღვრიშვილივით მართლა ღვაწლი რამ მიუძღოდეთ თვით ხალხთან. ჩვენი მწერლების ნამეტანი წილი ყოვლად ურწმუნო ხალხია და საყდარში, თუ ქუდს არ შეუგდებთ, არც კი შევლენ. აბა, ახლა უყურე ინგლის-ამერიკელ მწერლებს და მეცნიერთ, რა ნაირი მორწმუნენი ყოფილან ყველა იგინი, ერთმანეთზე მჯობნი მჯობნი. რაზედაც მოგვითხრობს მწერალი ტაბრუნი წიგნში „Религіозныя вѣрованія совр. ученыхъ" ინგლისურიდან გადმოთარგმნილი 1912 წ. გამოცემული წიგნთ გამომცემლობა „Творческая Мысль"-ისა, გვ. 153 ფასი 1 მ. Москва.

გამოკითხვა, ანკეტა, მოუხდენიათ 1911 წ 133 კაცის პასუხია მოთავსებული, (18 კი პასუხი არ გაუციათ), ბოტანიკოსებისა, ვარსკვლავთ-მრიცხველებისა, გეოლოგებისა, მათემატიკოსებისა, ბიოლოგებისა, ფილოსოფიის პროფესორებისა და სხვა, თითქმის ყველა ჯურის მეცნიერებისა, ზოგნი ჯერ ისევ ცოცხალან და ზოგნი ახლა ხანს გადაცვლილან, რომელთაც თავის სპეციალ საგნისდა მიხედვით უფრო მეტი საბუთი ჰქონდათ ღვთის უარ-ყოფისა, მაგრამ ამას ვერავინ მათგანი ვერა ბედავს და სარწმუნოების უძლიერეს საჭიროებას ხალხისთვის ყველა მათგანნი აღიარებენ, და ჩვენში კი: ვისაც ორიოდე რამ ჩიქორთული ლექსი ან სხვა რამე დაუჩხაპნიათ, თავიანთ სიბრძნეს ღვთის უარყოფით ამკობენ ხოლმე, ან ვისაც ანაბანა უსწავლია, ისინიც მათ ჰბაძავენ. ამისი ნაყოფი ისაა, რომ ნადირებად იქცა ჩვენი ხალხი და მათთვის წმიდათა წმიდა აღარაფერში აღარ არსებობს და თუ გაიყიდებოდეს, დედის ძუძუს მოსჭრიან; მაშ რას მიაწერო ი. ჭავჭავაძის მოკვლა და გელათიდან დავით

ალმაშენებლის ბეჭდის გატაცება, რომელიც, როგორც ოქრო, მცირე ფასისა იყო, მაგრამ როგორც დიდებულ მეფის ნაქონი, ყველა ქართველისთვის წმიდათა წმიდა უნდა ყოფილიყო! აი ბატონო მწერლებო, ინტელიგენციავ, საით მიგყავთ ხალხი თქვენის უპრინციპობით და დაუფიქრებელი ქცევით. განიფითხეთ ყველამ ძილი და ხალხს კაი მაგალითი აჩვენეთ. ჩვენს ბევრ მწერალთაგანს სიცოცხლეში ეკკლესიაში ძნელად თუ შეუხედიათ, არამც თუ ზიარებულიყვნენ და რომ მოკვდება ვინმე მათგანი, მაშინ კი მათ ეკკლესიაში გამოსჭიმავენ ხოლმე. სირცხვილია, სირცხვილი! თუ არ მოიქცევით მომავალი ისტორია უფრო მეტად დაჰგმობს თქვენს ქცევას. ვაი თქვენ მწიგნობარნო, რომ ღმერთიც პასუხს მოგთხოვთ დღესა მას სასჯელისას! ერთმა უცხოთაგანმა იოხუნჯა ქართველებზე: „საქართველოს ოთხივ კუთხივ ვირის თავებია ჩაფლული და მინამ იმ ვირის თავებს არ ამოაგდებენ ქართველები, მინამ სულ ვირის ჰკუაზე ივლიანო“. ეს თავისი თავის გალანძღვაა, მაგრამ განა ღირსნი არა ვართ გალანძღვისაც და უარესისაც? საქვეყნო საქმე თუ საკუთარი საოჯახო სულ უხერხულად და ვირის ჰკვაზე მიგვყავს. არაფერი სიკეთე არ გვეტყობა: არც ერს, არც ბერს, არც მღვდელთ, რომელნიც ქალაქში, ზოგნი უფრო კარიერისტები არიან და თვისი წმიდა თანამდებობა ჯილდოებისთვის დაუმორჩილებიათ და ჯილდოს მისაღებად „იბრეულად“ მოუქცევენ იქაც კი, საცა საიდუმლოდ და არა სხვის სასმენად არის რამე სათქმელი, მაგალითად: კვეთის დროს. მაშ ამისთანა შემთხვევებში „იბრეული“ მოსათბენია? ეს ვირის ჰკვაზე სიარულზედაც უარესია, იმისთვის, რომ ვირი თავის ყროყინს არაფრის გულისთვის კატის კნავილზე ან ტურის ჩხავილზე არ გასცვლის ჩვენ—უბადრუკებსავით... ერთი მღვდელი სახარებას რომ კითხულობდა, რვალის მაგიერ, ძვალს ამობდა, ღორთას მაგიერ პორთას ამობდა, ძოწეულის მაგიერ—როწეულსა, წვილის მაგიერ—წულსა, ტალავრის მაგიერ—ხალვარსა და ათას ნაირად ამახინჯებდა წმიდა სიტყვებს.

ერთხელ ხუმრობით თავისმა დიაკვანმა უთხრა: „მამაო, სულ გაზეთებს ჰკითხულობ და მათ მაგიერ სახარება რომ იკითხო, კაი კითხვას შაეჩკეოდი სახარებისას და უმჯობესი იქნებოდაო“. ამ მღვდელმა ერთხელ თქო: ჩემი ყმაწვილი ძილში ჰკრთებოდაო და ჩემ ცოლს ერთი დედაბერი მოეყვანა და ყმაწვილს ასე ულოცავდაო: „ქრისტე ჩემია, მე ქრისტესი ვარ, ქრისტეს ბეჭდითა დაბეჭდული ვარო“. მე უთხარიო: „ეგ როგორი ლოცვაა, მაგან უნდა მოარჩინოს ბავშვიო, მე უფრო კაი ლოცვები არ ვიციო და გავიპინტრიშე დედაბერიო“. იმ დიაკვანმა ჩვეულებრივ შენიშნა: „ქრისტემ არა ბძანაო“, სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდეთო? იმ დედაბერსაც ქრისტეს სახელით ულოცნია ბავშვისთვის, აქ ცუდი და ტყუილი არაფერიაო. თქვენ, მამაო, კაი ლოცვები იცით, მაგრამ სარწმუნოებრივ არა ხმარობთო და იმ დედაბერს კი უკეთესად უხმარიაო, თავისი ნამდვილი მნიშვნელობითაო. ახლა იფიქრეთ: რა მღვდელი უნდა იყოს ის, რომელსაც ეს უბრალო საქმეც არ ესმის?!?

ამ წიგნში ფრინველთ წამლობაზე რომ ვწერდი, ვისაც ამის ცდა გნებავთ, ორნაირ წამალთან ერთად (სკროფოლოზო 1 და ფებრიფუგო 1) უნდა შეიძინოთ თბილისში, ძვ. სამენარიის ქვემოთ ჭურჭლის დუქანში „კერამიკა“ში №5 ფრინველებისთვის ახლად შემუშავებული თიხის წყლის სასმელი წამლობაში გამოსადეგი—ორი. ერთში სკროფოლოზოს ხსნილს ჩაყენებთ და მეორეში ფებრიფუგოსას და ქათმები თან სვამენ და თან გამოდის წამალი და არც ილვრება და არც ჭუჭყიანდება მტვრით ან ფრინველთ ფეხებით. თითო ღირს სამი აბაზი, ორი—ექვსი აბაზი, ორი წამლისაც მანეთ უზალთუნი, სულ 11 აბაზუზალთუნი. ამის გამეტება არავის გაგიძნელდებათ. აბა სცადეთ, თუ თავის დღეში თქვენ ჭირისგან ან სხვა სნეულებისაგან მოგიკვდეთ თუნდ ერთი ქათამი. უამჭურჭლოთ წამალს ფრინველი გააჭუჭყიანებს, გაფუჭდება და სულ აღარას არგებს. ლითონის ჭურჭელი კი წამალს ჰკილავს და არ გამოდგება.